სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 6 აპრილი 2000 №63 (1085) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

2 ტური

გამოტოვებული მატჩი

«ა» ზონა

5 აპრილი, ოთხშაბათი

ბათუმი	2
ტორპედო	1

ტორპედო	5	3	1	1	13:5	28
ბათუმი	5	4	1	0	12:1	26
დინამო	5	1	4	0	2:0	24
ვიტ ჯორჯია	5	3	2	0	4:1	23
კოლხეთი	5	1	2	2	4:5	18
სიონი	5	2	0	3	7:9	17
იბერია	5	1	0	4	2:15	12
დილა	5	0	0	5	4:12	10

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

ბოლოზე

იხილეთ მესამე გვერდი

გაინტერესებთ, რას მოგვითხრობს მიხეილ შესხი (ცხადია, გულწრფელად!) ნოდარ ახალკაცზე, კონსტანტინ ბესკოვზე, 300 ათას მანეთ ქრთამზე, დიდ მიშაზე და ბევრ სხვა რამეზე?

გაინტერესებთ, რას ნიშნავს ბემ, ბემ, ბემ! ანუ რა მოსწონს და რა არა უელსელ გრეჰემას ქართულ რაგბიში?

გაინტერესებთ, როგორ ვითარდებოდა საფეხბურთო ტაქტიკა ან რას ამბობს ვლადიმერ სტეფანიაზე ექსკლუზიურ ინტერვიუში შეჯიქ ჯონსონის დუბლიორი დეკიდ რიეერსი?

შეიძინეთ

ჟურნალ სარბიელის

მეორე ნომერი,

რომელიც პირველზე ლარით იყიდა და მოიდვნო კვირაში იხილავთ ჯიხურებში.

ფასი 2 ლარი

რეალობა:

ჩელსი	3
ბარსელონა	1
ვალენსია	5
ლაციო	2

REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ლაციო 5:2. ვალენსიელი ხერარდი — რომაელთა კარში სამი გოლის ავტორი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მეოთხედფინალი I წრე

დამარცხებულთა მიზანი:

ბარსელონა	2
ჩელსი	0
ლაციო	3
ვალენსია	0

ორ მატჩში 11 გოლი... შესვენებამდე — 7... ერთი ჰეთ-თრიკი... ერთი დუბლი... ვირტუოზული ოსტატობა ლონდონში და იტალიელთა წარმოუდგენლად სუსტი დაცვა ვალენსიაში... ეს ყველაფერი წუხელ, შუაღამისას, საათნახევარმა დაიტია. იმავ საათნახევარმა დიდი ინტრიგაც დაგვიტოვა: ვინ გავა ნახევარფინალში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ჭადრაკს მეფე-დედოფალი ჰყავს

მოულოდნელი შედეგით დასრულდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გუშინდელი, რიგგარეშე ყრილობა. ფედერაციას ორი წლის განძილზე ორი თავჯაცი ეყოლება. ერთი — მოქმედი პრეზიდენტი, ზურაბ აზმაიფარაშვილია, მეორე კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ალმაგ ციცარიშვილი

გაფრინდაშვილი და აზმაიფარაშვილი ქართულ ჭადრაკს ერთად უპატრონებენ

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი
1 წრე. 5 აპრილი

CHAMPIONS LEAGUE

ჩელსი 3:1 ბარსელონა

1:0 ძოლა (30), 2:0, 3:0 ფლო (34, 38), 3:1 ფიგუ (64)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (დი მატეო 72), ბაბაიარო, ტომე, ფერერი, დესაი, დეშამპი, მორისი, უაიზი, ძოლა, ფლო (სატონი 88)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი (ლიტმანენი 46), აბელარდო, ფ. დე ბური, ბოგარდი, ხავი, გაბრი, კოკუ, ფიგუ, რივალდო, კლუივერტი (დანი 72)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: პეტრესკუ, ფიგუ, გაბრი, ძოლა, კოკუ
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
33 662 მაყურებელი

ვალენსია 5:2 ლაციო

1:0 ანგულო (2), 2:0 ხერარდი (3), 2:1 ს. ინძაგი (27), 3:1, 4:1 ხერარდი (39, 81), 4:2 სალასი (86), 5:2 კლაუდიო ლოპესი (90)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ანგულო, ფარინოსი, კილი გონსალესი, ხერარდი, სანჩესი (ოსკარ გარსია 82), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
ლაციო: ბალოტა, ნეგრო, მიხაილოვიჩი, გოტარდი, პანკარო, ალმეიდა, სიმეონე (სალასი 76), სტანკოვიჩი (კონსეისაო 62), ვერონი, ნედვედი, ს. ინძაგი (ბოკშიჩი 68)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი
გაფრთხილება: ს. ინძაგი, ხერარდი, ალმეიდა
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
50 000 მაყურებელი

REUTERS ფოტოქრონიკა

ჩელსი — ბარსელონა 3:1. ჯანფრანკო ძოლამ (ზევით) სტუმრებს ერთი გოლი გაუტანა, ხოლო ტორე ანდრე ფლომ ორი

ინგლისი

გადადებული მატჩი
უენსდი 0:1 ასტონ ვილა
0:1 ტომპსონი (90)

I დივიზიონი
მანჩესტერ სიტი 2:0 ბოლტონი
1:0 ჰორლოკი (18), 2:0 დიკოვი (23)

III დივიზიონი
როჩდეილი 1:1 ტორკი
დარლინგტონი 2:2 შრიუსბერი

შოტლანდია

გადადებული მატჩი
სელტიკი 4:0 მოზერუელი

პოლონეთი

ლიგის თასის ნახევარფინალი
პოლონია 4:0 ოდრა (0:0)
პოგონი 1:1 *ლეგია* (0:4)

რუსეთი

თასის მეოთხედფინალი
ლიპეცკი 1:2 *ლოკომოტივი*

მოგზაურობა უცხო პლანეტაზე
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში

UEFA CUP

უეფას თასი. ნახევარფინალი. 1 წრე

არსენალი VS ლანსი

„ლანსი“, უფრო ზუსტად კი „რასინგ ლანსი“ დღეს სხვა საფეხბურთო პლანეტაზე აღმოჩნდება. ეს სხვა საფეხბურთო პლანეტა ლონდონის სტადიონი „ჰაიბერია“, რომელზეც ფრანგები დიდ კლუბს, „არსენალს“ უნდა დაუპირისპირდნენ.

„ლანსის“ პრეზიდენტი ჟერვეზ მარტელი, რომელმაც ჩრდილოური გუნდი ორი წლის წინ ისტორიაში პირველად მიიყვანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულამდე, ამბობს, რომ მისი თანამემამულის, არსენ ვენგერის გაწვრთნილი „არსენალი“ მათთან შედარებით მართლაც სხვა სამყაროდანაა:

„აბა ლონდონელებს „ლანსს“ როგორ შევადარებ. ჰკითხეთ ვენგერს რამდენს უხდიან. როცა ტიერი ანრი დაშავებული ჰყავს, თადარიგში დენის ბერხკამპი და დავორ შუკერი ეგულება. თუმცა მე არ ვწუწუნებ, შარლ-ედუარდ კორიდონი და იულ მავენეც ერთობ მაკმაყოფილებს. დიახ, ჩვენ უცხოპლანეტელებს ვეთამაშებით, მაგრამ მერწმუნეთ, არ ვეჭვიანობ“.

მარტელი იმედოვნებს, რომ მის ფეხბურთელებს მაინც შეუძლიათ ისე ითამაშონ, როგორც გასულ სეზონში, ამავე გუნდების ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში. გეხსომებათ, ლანსში მეტოქეებმა 1:1 ითამაშეს, ხოლო „უემბლიზე“ ფრანგებმა 1:0 მოიგეს. მაშინ მიშელ დებევის გოლმა „არსენალი“ პირველ ჯგუფური ეტაპიდანვე გამოთიშა შეჯიბრებას.

მიმდინარე სეზონის დასაწყისში „ლანსმა“ ერთობ უსახური და უშედეგო ფეხბურთი ითამაშა, რასაც მწვრთნელის, დანიელ ლეკრეკის თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვა, თუმცა შემდეგ გამოყოჩალდა და ახლა, ერთადერთი ფრანგული გუნდია, რომელიც ევროშეჯიბრებას შემორჩა.

„ის ფაქტი, რომ ევროპაში ბოლო ფრანგული გუნდი ვართ, სულაც არ მახარებს“ — დასძენს პრეზიდენტი.

„ლანსის“ მწვრთნელს, ფრანსუა ბრისონს დაცვაში აქვს გარკვეული სირთულეები. ბარძაყი სტკივა იან ლაშორს, ხოლო ჟოზე პიერ-ფანფანი და ვალერიან ისმაილი დისკვალიფიცირებულნი არიან.

„არსენალი“ კი მართალია ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას პირველსავე ჯგუფურ ეტაპზე გამოეთხოვა, მაგრამ უეფას თასზე ერთობ ამბიციურად განაგრძო სვლა. ლონდონელთა ძალა „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ შეხვედრებშიც გამოჩნდა: „ჰაიბერიზე“ მათ 5:1 მოიგეს, თუმცა არც მერე, მეოთხედფინალში ჰქონდათ ფავორიტისთვის შეუფერებელი შედეგები, მაგალითად ბრემენის „ვერდერს“ შინ 2:0 აჯობეს სტუმრად კი 4:2.

„არსენალის“ განწყობას პრემიერლიგაში ზედიზედ ხუთი გამარჯვებაც ასვამს თავის დადებით დაღს, მაგრამ ლონდონელთათვის უსიამოვნო მომენტი ტიერი ანრის არყოფნა იქნება. ანრიმ ბოლო 9 თამაშში 8 გოლი გაიტანა, ოღონდ 23 მარტს, „ვერდერთან“ შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

დევიდ ოლირი



ფატიჰ თერიმი

კაპიტანი და მცველი ტონი ადამსი, რომელმაც ბოლო ორი მატჩი ტრავმის გამო გამოსტოვა, ამბობს, რომ ვერც ამ თამაშისთვის გამოჯანმრთელდება.

სავარაუდო შემადგენლობები
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლუენი, სილვინიო, გრიმანდი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ბერხკამპი, კანუ
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, ბარული, მავენე, კოლი, ბლანშარი, ნიარკო, მორეირა, კუედრუ, დეზირე ჟობი, როდრიგესი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

გალათასარაი VS ლიდსი

„გალათასარაი“ „ლიდს იუნაიტედთან“ თამაშის წინ საგანგებო განწყობაზეა. ის გრძნობს, რომ ისტორიამ სწორედ მას უბოძა უდიდესი შანსი გახდეს პირველი თურქული გუნდი, რომელიც ევროპულ ჯილდოს მოიპოვებს. ხუმრობა ხომ არაა, ინგლისელებთან შეხვედრამდე სტამბოლელებმა გზიდან ესპანელები, გერმანელები და იტალიელები ჩამოიშორეს.

მეოთხედფინალში „გალათასარაიმ“ „რეალ მალიორკა“ დაამარცხა, რამაც, ბუნებრივია, ეიფორია გამოიწვია, მაგრამ მოყვარის დასახმარებლად თურქეთის პირველობაზე მოთამაშე გუნდებმა, სუსტმა „ერზურუმსფორმა“ და ძლიერმა „ფენერბაჰჩემ“ გამოიღეს ხელი. პირველმა უეფას თასის ნახევარფინალისტს 0:0 გაუხერხა, მეორემ კი 1:0 მოუგო და მიწაზე დააბრუნა.

დაახლოებით იგივე ბედი ეწია „ლიდსსაც“. გასულ შაბათს მას „ჩელსიმ“ 1:0 მოუგო და პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას ფაქტობრივად ჩამოაშორა. დარჩენილ 7 ტურში კი იგი 10 ქულით დაწინაურებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ წესით ვეღარ უნდა დაეწიოს.

„გალათასარაის“ მწვრთნელი ფატიჰ თერიმი ამბობს, რომ მის გუნდს ლიდსელ ახალგაზრდებთან გამკლავების უნარი შესწევს და სტამბოლელ ქომაგებს „ალი სამი იენის“ სტადიონზე ცნობილი ჯოჯოხეთური გარემოს შექმნისკენ მოუწოდებს.

„ამ შეხვედრაში ჩვენი მთავარი წარმმართველი ძალა გულშემატკივარი იქნება. „ლიდს იუნაიტედს“ ჩვენებურად გავუმასპინძლდებით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში“ — ამბობს თურქეთის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი.

როდესაც თერიმს ინგლისელებთან ბოლო შეხვედრას ახსენებენ — „გალათასარაიმ“ შინ, ჩელსისთან 0:5 წააგო — ის ამბობს: „იმ და დღევანდელ დღეს შორის უზარმაზარი განსხვავებაა“.

ამ დროს კი „ლიდსის“ კაპიტანი ლუკას რადებე აცხადებს, რომ მისი მეგობრები სტამბოლში თამაშის წინ არანაკლებ თავდაჯერებულნი არიან, რაც მნიშვნელოვანწილად მეოთხედფინალში „რომას“ დამარცხებამ განაპირობა.

„ახლა ბიჭები გრძნობენ, რომ გზის გავლა ბოლომდე შეგვიძლია. „ლიდსი“ მტკიცე ხასიათის გუნდია. ჩვენი დამმარცხებელი მართლაც ძალიან ძლიერი უნდა იყოს“ — თქვა რადებემ.

„ვაღიარებ, რომ ვერც წარმოვიდგენდი უეფას თასის გათამაშებას აქამდე თუ შემოვრჩებოდით — გაცილებით მოკრძალებულია ინგლისელთა მწვრთნელი დევიდ ოლირი — კარგად ვიცი, რომ პრემიერლიგაში „ჩელსისგან“ ნაწნევი მარცხის შემდეგ გონს მოსვლა გვჭირდება და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავანაწილოთ ძალები“.

სტუმრებს არ ეყოლებათ კარგა ხნით დაშავებული დევიდ ბეტი და მუხლნატკენი მარტინ ჰიდენი, თუმცა მაიკლ ბრიჯისი და მეტ ჰოპკინი გამოჯანმრთელდნენ.

დაბოლოს, დავუბრუნდეთ „გალათასარაის“. როგორც ზოგიერთი მოკირკიტე წყარო იტყობინება, კლუბს უკვე 40 მილიონი დოლარი ვალი აქვს, ხოლო ფეხბურთელთა ერთი ნაწილი კარგი ნახევარი წელიწადია მუქთად თამაშობს. ამბობენ, ერთადერთი, რამაც შეიძლება თურქებს უშველოს უეფას თასის მოპოვებააო. ამ შემთხვევაში თასის მფლობელისთვის განკუთვნილი თანხის გარდა „გალათასარაის“ მშობლიური ქვეყნის ხელისუფლება თურმე საჩუქრად 3 მილიონ დოლარსაც ჰპირდება.

სავარაუდო შემადგენლობები
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, ბიულენთი, პოპესკუ, ოკანი, ხუათი, ბელოზოღლუ, ერგუნი, ჰაჯი, არიფი, ჰაკან შუქური
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, მაკფაილი, ბაკე, ჯონსი, კიუელი, ბრიჯისი
მსაჯი: ჰელმუ კრუგი (გერმანია)

„არსენალი“ ფრანგებთან		
1969-70	უთ	რუანი — არსენალი 0:0, 0:1
1993-94	უთ	პარი სენ ჟერმენი — არსენალი 1:1, 0:1
1994-95	თთ	არსენალი — ოსერი 1:1, 1:0
1998-99	ჩლ	ლანსი — არსენალი 0:1, 1:1
1999-00	უთ	არსენალი — ნანტი 3:0, 3:3
„ლანსი“ ინგლისელებთან		
1998-99	ჩლ	ლანსი — არსენალი 1:1, 1:0
„გალათასარაი“ ინგლისელებთან		
1978-79	უთ	გალათასარაი — ვესტ ბრომვიჩი 1:3, 1:3
1993-94	ჩთ	მანჩესტერ იუნაიტედი — გალათასარაი 3:3, 0:0
1994-95	ჩლ	გალათასარაი — მანჩესერ იუნაიტედი 0:0, 0:4
1999-00	ჩლ	ჩელსი — გალათასარაი 1:0, 5:0
„ლიდსი“ თურქებთან		
1972-73	თთ	ანგარაგიუჯიუ — ლიდსი 1:1, 0:1

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
2 ტური
გამოტოვებული მატჩი

პირველი ბოლოზე

გუშინდელის წინა, ბოლო „ბათუმი“ — „ტორპედოც“ 2:1 დასრულდა

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ბათუმი
5 აპრილი
16 საათი
დინამო
15 000 (ტევადობა 20 000)

ბათუმი 2:1 ტორპედო

1:0 მუჯირი (16), 1:1 ჯანაშია (30), 2:1 ღლონტი (90)

ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, ხუჯაძე, სიდამონიძე (ი. მახარაძე 80), აფხაზავა (მაჭუტაძე 70), გელა ქორიძე, ხომერიკი, თ. ტუღუში (ღლონტი 65), ა. მუჯირი

სათადარიგონი: ჩლაიძე; რომანაძე, კობიძე, ქაცარავა

ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (მეგრელაძე 53), მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (მაღლაკელიძე 83), დ. ჯანაშია, ჩხეტიანი, იონანიძე

სათადარიგონი: ზოიძე; ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე, ამისულაშვილი, მედოევი

გაფრთხილება: იონანიძე (10), ვადაგიანი (43), მინდაძე (72)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

სფფ-ის დელეგატი: დ. ქლიბაძე

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

შეგახსენებთ, ეს თამაში ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურისა გახლდათ. ბუნების ჭირვეულობა რომ არა, იგი 11 მარტს უნდა გამართულიყო. თავსხმის შედეგად დატბორილი მოედანი იყო მისი გადადების მიზეზი.

„ბათუმ“ — „ტორპედოს“ მაშინაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და არც სახუთაპრილოდ დაუკარგავს აქტუალობა.

იმ გამოტოვებული თამაშის შემდეგ „ტორპედომ“ და „ბათუმმა“ 7-7 ქულა შემატეს აქტივს: ორ-ორჯერ მოიგეს და თითოჯერ ფრედ ითამაშეს, თანაც ორივემ 0:0 და ორივემ „დინამოსთან“. „ტორპედოს“ და „ბათუმს“ მაშინაც შუაში ჰყავდათ მომწყვდეული ათგზის ჩემპიონი და გუშინდლამდეც ასე იყო. წარმატების შემთხვევაში ორივე გუნდს კარგი პერსპექტივა ესახებოდა.

თითქმის ერთდროულად, შარშან ივნისში ჩაიბარეს გუნდები დავით ყიფიანმა და იტალიელმა ჯანი კარნევალიმ. ისე მოხდა, რომ გუშინდლამდე „ტორპედოს“ და „ბათუმის“ გზები არ გადაკვეთილა. ოფიციალურ თამაშს ვგულისხმობთ, თორემ, ამხანაგურად ყიფიანის და კარნევალის შეგირდები ორჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს, ორჯერვე ქუთაისში და ტორპედოელებმა ორივეჯერ დაჯაბნეს მეტოქე — 4:0, 3:1. თუმც ეს რა სახსენებელია. გუშინდელ თამაშთან ის ამხანაგურები ახლოსაც ვერ მოვა. მართლაც რომ უპრინციპულეს მატჩს უმასპინძლა გუშინ აჭარის დედაქალაქმა. ანშლაგს ცოტაღა დააკლდა „დინამოზე“ და არა გვგონია, მხოლოდ იმიტომ, რომ მატჩზე დასწრება უფასო იყო. არა, ერთმანეთს ჩემპიონობაზე დაგეშილი გუნდები ხვდებოდნენ და სკამებაყრილ ტრიბუნებზე ხალხმრავლობის მთავარი მიზეზიც ეს იყო.

ქომაგობა კი, წინასწარ გეტყვით, არცერთ გუნდს დაკლებია. მართალია, „ტორპედოს“ ფანობა სიმრავლით „ბათუმისას“ ვერ შეედრებოდა, მაგრამ საკეთებელს ისე ართმევდა თავს, თქვენი მოწონებული.

შესავალი გაგვიგრძელდა და თამაშზე ვთქვათ.

დებიუტში მეტოქეები ფრთხილობდნენ, არ ჩქარობდნენ, მათი მოქმედება უფრო ურთიერთდაზვერვას გავდა. ამ ფონზე უკეთ მაინც „ტორპედო“ გამოიყურებოდა. ქუთაისელები დინჯად, გააზრებულად ათამაშებდნენ ბურთს და მეტოქის დაცვაში სუსტ ადგილებს ეძებდნენ. ასე გაგრძელდა 15 წუთს. მეთექვსმეტეზე კი...

სტუმართა კარის დალაშქვრის პირველსავე მცდელობას შედეგი მოჰყვა — ამირან მუჯირმა ქუთაისელთა ნახევარზე ცენტრალურ წრესთან ახლოს მიიღო ბურთი და უმალ დაუსნტლტა შეყრილაძეს, ბათუმელმა დაახლოებით ათი მეტრით წაიწია და ძლიერად დაარტყა, ჭანტურია წინ იყო გამოსული, მოსაგერიებლად უხერხული პოზიცია ეჭირა და აკი ვერც მიწვდა თავს ზემოთ გადაფრენილ ბურთს.

მასპინძლები დაწინაურდნენ. გოლიდან ხუთ წუთში „ბათუმმა“ მძლავრად შეუტია და გაორების შანსიც მიეცა. თემურ ტუღუში აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში — ბათუმელმა საჯარიმოს წინა ხაზიდან დაურტყა ჭანტურიას მისგან მარცხენა დაბალ კუთხეში, მაგრამ ამჯერად იმარჯვა ქუთაისელთა მეკარემ და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

„ტორპედო“ მალე მოეგო გონს და თანდათან ინიციატივასაც დაეუფლა. პირველი მწვავე შეტევა სტუმრებმა შუა ტაიმში განახორციელეს, მაგრამ იონანიძეს არ გაუმართლა — ჯანაშიას პასის შემდეგ მისი ახლოდან დარტყმული მცირედით ასცდა ტოგონიძის კარს. სამაგიეროდ, იონანიძეს რამდენიმე წუთში დაუფასდა გარჯა — ზურაბმა მარჯვენა ფლანგზე ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი და საპირისპირო მხარეს გრძელი, დიაგონალური გადაცემა გააკეთა პარტნიორის მისამართით. სიჩქარეაკრეფილმა ჯანაშიამ საჯარიმოს კუთხესთან მიუსწრო ბურთს და ძირს დაუშვებლად უძლიერესი დარტყმა მიაყოლა. ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა ქვევიდან, ძირს დაეცა და მერე შეარხია ბადე.

ულამაზესი გოლის გამო თვით „ბათუმის“ ქომაგებმაც ვერ დამალეს აღტაცება. ანგარიში გათანაბრდა და თამაშის ტემპიც შენელდა. ტაიმის დარჩენილი დრო მეტოქეებმა პოზიციურ ბრძოლაში გალიეს, ისე, რომ ოდნავ საინტერესოც არაფერი შეუქმნიათ.

მეორე ტაიმი კი „ბათუმისა“ იყო. მართალია, თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთში დავით ყიფიანმა ნახევარმცველი ახვლედიანი თავდამსხმელ მეგრელაძით შეცვალა, მაგრამ „ტორპედომ“ ამით ვერაფერი მოიგო. ალბათ იმიტომაც, რომ ჯანაშიამ დაიხია უკან, ნახევარდაცვაში ირჯებოდა და პირველ ტაიმთან შედარებით იშვიათად აწუხებდა მეტოქის დაცვას.

იონანიძეც ცდილობდა იერიშებში ჩართვას, მაგრამ მას სიდამონიძე მეურვეობდა მჭიდროდ, თანაც უხეშობას არ ერიდებოდა. ბათუმელი ხშირად ხელით იჭერდა ქუთაისელთა გოლეადორს, მაგრამ არბიტრი ამას რეაგირების გარეშე ტოვებდა. რაც მართალი, მართალია, მეორე ტაიმში „ბათუმი“ ბევრს უტევდა, „ტორპედო“ კი მეტწილად თავს იცავდა. 52-ე და მე-60 წუთებზე, შესაბამისად, მუჯირმა და მინდაძემ შორიდან სცადეს სტუმართა კარის დალაშქვრა, მაგრამ ააცილეს.

62-ე წუთზე ხომერიკმა ტუღუშს დაუგდო დასარტყმელად და ვერც ამან ივარგა.

70-ე წუთი იყო, „ტორპედოს“ აშკარა საფრთხე რომ დაემუქრა — ხომერიკი 6 მეტრიდან ურტყამდა კარში, მაგრამ ჭანტურია უშიშრად გადაეფარა ბურთს. ტორპედოელები მალე ხუჯაძის მიერ შორიდან „გასროლილს“ გადაურჩნენ.

თამაშს უკვე ფრის სუნი უდიოდა, რომ საეჭვოდ უმატა სტვენას არბიტრმა. ფანიაშვილი მიყოლებით აჯარიმებდა ტორპედოელებს. 84-ე წუთზე მუჯირმა საჯარიმოს წინა ხაზიდან კარგად მოჭრა, ოღონდ ხარიხას გადააცილა. ორ წუთში ისევ ჯარიმა — მუჯირი 20 მეტრიდან ძლიერად ურტყამს, ჭანტურია იგერიებს, გადმოვარდნილს მაჭუტაძე ამატებს, მაგრამ არაზუსტად. სამი წუთი დაამატა ძირითად დროს არბიტრმა და სწორედ ამ დამატებულში გაიხარეს მასპინძლებმა.

ფანიაშვილმა მაღლაკელიძე დააჯარიმა. მალხაზ მახარაძემ ქუთაისელთა საჯარიმოში ჩააგდო ბურთი. ხომერიკმა მცველებს დაასწრო და თავით უკან ღლონტს დაუგდო დასარტყმელად, ავთანდილმაც არ დაახანა, ზუსტად იმ ხვრელში გააძვრინა, ჭანტურია რომ ვერ ხედავდა — მეკარეს ორივე გუნდის მოთამაშეები ეფარებოდნენ.

ასე, ბოლო წუთზე გატყდა „ტორპედო“. ქუთაისელებმა მეთერთმეტე ეროვნულში პირველი მარცხი იგემეს. აჯობა კარხეკალიმ ყიფიანს, თუმც მატჩის შემდეგ...

ჯანი კარნევალი: ძალიან მძიმე მატჩი გვქონდა. გულახდილად გეტყვით, პირველ ტაიმში თამაშით „ტორპედო“ გვჯობდა. მეორეში მეტოქემ უკან დაიხია, კონტრშეტევის იმედზე იყო. ჩვენ ამით ვისარგებლეთ. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

— ჩემპიონობისკენ გეხსნებათ გზა...

— ო, ჩემპიონობა კარგია, მაგრამ ჩვენ უეფას თასზე უფლების მოპოვებაც დაგვაკმაყოფილებს.

— დაგიჯეროთ?

— ისე არც „სკუდეტოზე“ ვიტყვით უარს.

— თქვენი აზრით, ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი?

— ყველაზე მეტი შანსი „ტორპედოს“ აქვს. დღესდღეობით საუკეთესო გუნდია საქართველოში.

ანატოლი მილჩენკო: ძნელად სამსაჯო მატჩი იყო. მეტოქეები ხისტად თამაშობდნენ, თუმც ზღვარსაც არ გადასულან. არბიტრმა მართებულად დაამატა სამი წუთი. კი, ფანიაშვილმა რამდენჯერმე შეცდა, რასაც მე პატაკში აღვნიშნავ, მაგრამ იმის თქმაც შემიძლია, არბიტრს ისეთი შეცდომები არ დაუშვია, თამაშის შედეგზე ემოქმედა.



ჯანი კარნევალი

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ავთანდილ ღლონტი

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

რატომ ურჩევნია სილაგაძეს ვლადიკავკაზი რიგას

მისი საფეხბურთო კარიერა თავიდანვე კარგად აეწყო. ნიჭიერი რუსთაველი მცველი მაშინდელ „მეტალურგში“ დიდხანს არ მოცდენილა და რევაზ ძოძუაშვილის ძალისხმევით მალე ლატვიურ „სკონტოში“ დამკვიდრდა. ძოძუაშვილისა და ლევან სილაგაძის ხმაშეწყობილ ურთიერთობაზე ადრეც ბევრი თქმულა. ფაქტია, იგი „მიხიჩას“ რჩეული და საყვარელი ფეხბურთელია და არცთუ უსაფუძვლოდ. როგორც ჩანს, ჩვენში სახელდაგდებულმა სელექციონერმა სილაგაძეში თავისი თავი აღმოაჩინა. უთქვამს კიდეც ძოძუაშვილს — ეს ბიჭი ჩემს თამაშს მახსენებსო. „სკონტოს“ ღირსებას რომ იცავდა, სილაგაძე იმავდროულად ჯერ ახალგაზრდულ, შემდეგ კი ეროვნულ ნაკრებში წარმატებით გამოდიოდა, თანაც ევროსარბიელზეც გვახსენებდა თავს — „სკონტოსა“ და „ბარსელონას“ მატჩში სონი ანდერსონის წინააღმდეგ ისე ითამაშა, სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. დღეს ლევანი ვლადიკავკაზურ „ალანიაში“ ირიცხება და ამით ერთგვარად კმაყოფილიცაა — ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ხშირად ნახულობს, სხვა კი რა უნდა სახლ-კარს დანატრებულ ფეხბურთელს. კვირასაც რუსთაველი იყო. ჯერ აშქელონში ისრაელთან, წინადღით კი რუსეთის ჩემპიონატში „ფაკელთან“ დიდბრძოლაგადატანილი მშობლიური გუნდის — „გორდას“ მატჩს დაესწრო. მასთან ინტერვიუც „ფოლადზე“ შედგა.

გურამ დოლიძეაშვილის ფოტო

— „ფაკელთან“ მატჩის შემდეგ დაუყოვნებლივ წამოვედი ვლადიკავკაზიდან, რუსთავში ორიოდე დღით ჩამოვირბინე. ეს კი საკმარისია იმისათვის, ახლობლებსა და ოჯახის წევრებს რომ მოვეფერო. „სკონტოში“ თამაშისას ასეთ ფუფუნებას მოკლებული ვიყავი და ვცდილობ, მაშინდელი დანაკარგი ახლა ავინაზღაურო.

— „ფაკელთან“ საშინაო მატჩში „ალანიას“ ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, თქვენ კი ანგარიშის გათანაბრება შეხვედრის მიწურულსღა შეძელით...

— ამას თავისი მიზეზები აქვს. პირველ ტურში „სპარტაკთან“ დამარცხებამ შოკში ჩაგვაგდო და ვორონეჟელებთან ფსიქოლოგიურად სათანადოდ ვერ განვეწყვეთ. თანაც ეს მატჩი რომ გენახათ, ჩვენი ცოდვით დაიწვებოდით. ბურთი არაფრით გადიოდა მოწინააღმდეგის კარში, მეტოქის მეკარე სასწაულებს ახდენდა. თანაგუნდელებმაც ბევრი მომენტი გააფუჭეს, ერთი რეალური შანსი მეც გავუშვი ხელიდან. მერე თედეევმა პენალტიც ვერ გაიტანა და ამან საბოლოოდ წაგვახდინა.

— ყურადღებით ვადევნებდი თვალს „ალანიას“ ჩემპიონატისწინა მზადებას. მაშინდელი საკონტროლო მატჩების შედეგებით გუნდს კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია, ჩემპიონატშიც პირველ ორ შეხვედრაში ქულის აღება შეძლო. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვლადიკავკაზურ გუნდში ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. შენ როგორ ფიქრობ?

— პირიქით, ყველაფერი რიგზეა და ეს მალე გამოჩნდება კიდეც. გუცაევს ზღვა სამუშაო ჰქონდა და თავი არ დაუზოგავს. ახალწვეულთა გასინჯვას, სასურველი ფეხბურთელების დატოვებას, შეთამაშებას, თითოეული სათამაშო რგოლის დახვეწას გარკვეული დრო სჭირდება და ჩემპიონატის სტარტზე ამგვარი ჩავარდნისთვის გარკვეულწილად მზადაც ვიყავით. აი, ნახავთ, ყველაფერს მოევლება, გუნდი კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რაც მთავარია, ერთსულოვნება არ გვაკლია. ასე რომ...

— ლევან, წლების მანძილზე „ალანია“ ერთ-ერთი ფინანსურად მძლავრი კლუბი იყო რუსეთის ჩემპიონატში, დღეს როგორაა ამ მხრივ საქმე?

— ამჟამად სხვანაირი სიტუაციაა. რასაც გვპირდებიან, პირნათლად გვისრულებენ, თუმც ფინანსურად ძლიერ გუნდს „ალანიას“ ვერ უწოდებ. მაგრამ ამას ჩვენი ერთსულოვნებით ავანაზღაურებთ და ნახეთ, ეს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება წლეულს. ჩვენი მიზანი კი მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვებაა.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველივე მატჩის შემდეგ (ალბანეთთან 1:0) ეროვნულ ნაკრებში ვლადიმერ გუცაევს აღარ მიუწვევიხარ. მაშინ ბევრი გუცაევ-სილაგაძის ერთგვარ კონფლიქტზეც ალაპარაკდა. რატომ არ მოგიწვიეს მაშინ და როგორი ურთიერთობა გაქვს ამჯერად გუცაევთან?

— გუცაევს, ალბათ, სხვა შეხედულებები ჰქონდა, თუმცა მასთან არანაირი კონფლიქტი არ მომსვლია. ერთიცაა, მეც არ ვიყავი სათამაშო ფორმაში და ამიტომაც დავრჩი კარგა ხანს უნაკრებოდ... გუცაევთან ამჯერად მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, კარგად ვუგებთ ერთმანეთს, მენდობა და მეც მჯერა მისი...

— „ალანიამ“ ჩემპიონატისწინა სამზადისი კვიპროსზე გაიარა, იქ სხვა გუნდებიც იყვნენ ჩასულნი და ბუნებრივია, ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულს საფეხბურთო სელექციონერები არ მოაყლდებოდნენ...

— კვიპროსზე ჩვენს მატჩებს მართლაც ბევრი დამკვირვებელი ჰყავდა. ისიც გავიგე, რომ რამდენიმე მათგანს ჩემთან შეხვედრა სურდა, მაგრამ ასეთ დროს კლუბი სელექციონერთან არ მიგიშვებს და შენც არავის გაგაკარებს. მიზეზი მარტივია — „ალანიას“ ვჭირდები და ამ ეტაპზე ჩემი გასხვისებაც წარმოუდგენელად მიმაჩნია. გეცოდინება, კონტრაქტის ვადაზე ადრე დარღვევას ჩვეული არ ვარ, და, ალბათ, უახლოეს ორ წელსაც ვლადიკავკაზურ გუნდში გავატარებ, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ევროპულმა გუნდმა ჩემი შეძენა არ მოინდომა.

— ისრაელთან ამხანაგურ მატჩში ეროვნულმა ნაკრებმა მართლაც დიდი გამოცდა გაიარა. რას იტყოდი ამ თამაშზე?

— მინდა ყველამ გაიგოს, რომ დღეს საქართველოს ისეთი ნაკრები ჰყავს, რომელსაც ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია თანაბრად თამაშიც, ოღონდ მობილიზებულნი გავდით. მოკლეზე პირველივე წუთებიდან მეტოქემ მასპინძლის ჩვეულებისამებრ შემოგვიტია, მაგრამ ამ დაწოლას ორგანიზებულად გავუმკლავდით. მერე ბურთიც კარგად დავიჭირეთ და მოწინააღმდეგე ვაიძულეთ, ჩვენი პირობებით ეთამაშა, ამან ერთობ დააბნია ისრაელის ნაკრები და პოზიციებიც დათმო... გიოს გოლი კი ზღაპარი იყო. არა, ამ მატჩით მართლაც ყველა კმაყოფილი დავრჩით, გავაკეთეთ ის, რაც გვსურდა, რაც მწვრთნელებმა დაგვავალეს და რაც მთავარია, ყველანაირი ფსიქოლოგიური ბარიერი გადავლახეთ.

— გუცაევისდროინდელ და დღევანდელ ნაკრებებს შორის რა სხვაობა-მსგავსებას ხედავ?

— მე ადრეც ასე ვფიქრობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ — დღესაც ფაქტობრივად ის ნაკრები გვყავს, რაც ორი წლის წინ, მაშინ კი დიდი ჩავარდნა გვქონდა, ხოლო ამისგან დაზღვეული არავინაა. ყოველთვის მწამდა, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდებოდა და ჩვენც მოგვეცემოდა თავის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობა. მიმაჩნია, დღეს ამის ჟამი დადგა და ამიერიდან ჩვენი აღმასვლაც დაიწყება. მე არ მეშინია ამ სიტყვების, თამამად ვამბობ, რომ საქართველოს ნაკრები ამ შესარჩევ ციკლში ბევრჯერ გაახარებს ქომაგს და მისი გულშემატკივრობისა არავის შერცხვება.

— ბევრი სპეციალისტი და გულშემატკივარი კი ერთობ სკეპტიკურად უყურებს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს...

— მე არ ვფიქრობ ასე, მჯერა ჩვენი წარმატებისა, მთავარია, პირველივე მატჩში გავიმარჯვოთ სტუმრად ლიტვასთან. მათ ფეხბურთს კარგად ვიცნობ, „სკონტოში“ თამაშისას არაერთხელ შევხვედრივარ ლიტვურ გუნდებს და მართალი გითხრათ, მათზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა არ შეიქმნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს ჯეროვნად არ ვაფასებ, მაგრამ არ ჰყავს ლიტვას ისეთი გუნდი, ჩვენი შეჩერება შეეძლოს... პირველ მატჩში გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდანაც გავალთ, ერთი სიტყვით, ჩვენ გვჯერა ჩვენი თავის.

პაატა კვანტალიანი

რა ხდება რუსთავში?

გორდას აზოტი სჭირდება, აზოტს — ფოლადი

ორ აპრილს საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „გორდამ“ „ხობს“ უმასპინძლა. რუსთაველებმა უპრობლემოდ სძლიეს აუტსაიდერ თანაზონელს და რჩეულთა შორის დარჩენისთვის დიდი ნაბიჯიც გადადგეს. ნამატჩევს რუსთაველთა გასახდელში სიხარულის ნაცვლად მწუხარებას და იმედგაცრუებას დაესადგურებინა. ფეხბურთელები უკმაყოფილო სახეებით ტოვებდნენ გასახდელს და ბევრი მათგანი უკმაყოფილებას ხმამაღლაც გამოხატავდა. ყოველივე კი „გორდას“ თავს დატრიალებული ბოლო მოვლენების ფონზე საკვირველიც იყო. ადრეც ვიუწყებოდით, რომ კლუბის სათავეში „აზოტი“ და ქალაქის მერია აპირებდნენ მისვლას და გულმოცემული გორდელებიც გაორმაგებული მონდომებით ეკიდებოდნენ თითოეულ მატჩს, მაგრამ...

პრობლემა მაშინ დაიწყო, როდესაც კლუბის პატრონობის მსურველებმა აღმოაჩინეს, რომ შესაძლოა უსტადიონოდ დარჩენილიყვნენ. მეტალურგიული ქარხნის ვალებიდან „ფოლადის“ გამოხსნა რატომღაც დიდ პრობლემად იქცა, არადა, ყველაფერი მარტივად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. პრივატიზაციის კანონის თანახმად, ქალაქის მერიას უფლება ჰქონდა, სტადიონი თავის ბალანსზე გადაეყვანა და შემდეგ „აზოტისთვის“ მის იჯარით გადაცემასაც წინ არაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ფაქტია, მერია ან არ, ან ვერ აკეთებს ამას. შესაბამისად „აზოტი“ უსტადიონოდ, „გორდა“ კი კვლავაც უპატრონოდ რჩება. იქაურთა თქმით, პრობლემას ხელოვნურად ქალაქის მერია ძაბავს და სტადიონის „აზოტისთვის“ იჯარით გადაცემის პროცესს აბრკოლებს. ფეხბურთელები კი უკვე კარგა ხანია, დაპირებებით საზრდოობენ და „ხობთან“ მატჩის შემდეგ იმედგაცრუებულნიც ამიტომ იყვნენ. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს თამაშსაც არა აქვს აზრიო და არ გაგიკვირდეთ, თუ მომდევნო ტურში მთელმა გუნდმა ბოიკოტი გამოუცხადა ეროვნულ ჩემპიონატს და თსუ-სთან სათამაშოდ არ გავიდა. ეს რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მანამდე არაფერი შეიცვალა. შესაცვლელი კი მართლაც მნიშვნელოვანი რამ არის. ფაქტია, ვიღაცის უგერგილობით და პირადი მოსაზრებით გუნდი სოლიდურ პატრონს კარგავს, ჩვენს ფეხბურთში ბიზნესმენთა მოსვლა კი ერთობ მნიშვნელოვანია.

თავის მხრივ ქალაქის მერია პრობლემის გაჭიანურებაში მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს. ჩემპიონატის მეექვსე ტურამდე კი (როცა „გორდა“ თსუ-ს ეთამაშება) არც ისე დიდი დროა დარჩენილი, ფეხბურთელები კი ბოიკოტით იმუქრებიან.

რუსთავულ ამბებთან დაკავშირებით ვრცელ ინფორმაციას ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

პაატა კვანტალიანი

სოსო გრიშიკაშვილი

პაპუნა ძაბილაძის ფოტო

გრიშიკაშვილი მალე დაიწყებს

წინა ოთხშაბათს ისრაელ — საქართველოს ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა. აშქელონში გამართული შეხვედრის 23-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა მასპინძელთა მორიგი შეტევისას ისრაელის ნაკრების თავდამსხმელი უდი კფირი კარიდან გამოსულ გრიშიკაშვილს ძლიერად დაეჯახა, რის შედეგადაც კფირმა მძიმე ტრავმა მიიღო, ფეხიც მოიტეხა და მკლავიც. ებრაელი თავდამსხმელი ფეხბურთს იქნებ ველარც დაუბრუნდეს, გრიშიკაშვილი კი შედარებით იოლად გადარჩა. მან ტვინის მცირე შერყევა მიიღო. მიუხედავად დაშავებისა, ჭართველმა მეკარემ მატჩის პირველი ტაიმი მაინც ჩაამთავრა, მერე კი დავით გვარამაძემ შეცვალა.

გრიშიკაშვილის ტრავმა არც ისე სერიოზული ყოფილა. ექიმების რჩევით, იგი ჯერჯერობით ისვენებს, თუმც როგორც თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ გუშინ გვითხრა, სოსო ვარჯიშს ორ დღეში შეუდგება. გრიშიკაშვილი საქართველოს ჩემპიონატის მორიგ ტურს სრულ მზადყოფნაში შეხვდება — 14 აპრილს „დინამო“ ბოლნისის „სიონს“ მასპინძლობს. ასე რომ, ექსალანიელ მეკარეს მხოლოდ ერთი მატჩის გამოტოვებამ მოუწია — შაბათს საქართველოს ათზგის ჩემპიონმა „ეროვნულზე“ სამტრედიის „იბერიას“ 2:0 სძლია. თბილისელთა კარს ამ შეხვედრაში გერმანიიდან დაბრუნებული ნიკა ჩხეიძე იცავდა, რომელიც ამჟამად „დინამოში“ გრიშიკაშვილის ჩრდილში იმყოფება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „იბერიასთან“ „დინამომ“ ზედიზედ მეხუთედ არ გაუშვა გოლი, წინა ოთხ მშრალ მატჩში კი უდიდესი წილი სწორედ გრიშიკაშვილმა დაიდო.

შეგახსენებთ, იმავე „იბერიასთან“ შეხვედრაში „დინამოს“ რიგებში სამარის „კრილია სოვეტოვის“ ყოფილი თავდამსხმელის, მამუკა მინაშვილის დებიუტი უნდა შემდგარიყო, თუმცა იგი ამ თამაშში მოედანზე არ გამოჩენილა. „მამუკას საკითხი ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია, თუმცა 14 აპრილამდე ყველაფერი მოგვარდება და „სიონთან“ ალბათ ითამაშებს კიდეც“ — გვითხრა კორღალიძემ.

მინაშვილი ჯერაც სატრანსფერო ფურცელს ელის. იგი „კრილია სოვეტოვისგან“ თამაშის ნებართვას მას შემდეგ მიიღებს, რაც „დინამო“ რუსულ კლუბს მიზერულ თანხას — 1000 დოლარს გადაუხდის.

ვანო ოქროპირიძე

იაფი საქონელი თუ ლომის ფიტული?

ვადიმ ბაბარიკის ფოტო

ჯანი კარნევალი ქართული სკუდეტოს ხელში ჩაგდებას ლამობს

„ტორპედოსა“ და „ბათუმის“ პაექრობას მხოლოდ გუნდების პაექრობად რომ არ ვთვლიდით, ეს ოთხშაბათის „სარბიელშივე“ განვაცხადეთ — აქ მწვრთნელთა ჭიდილიც უნდა ყოფილიყო. ფსიქოლოგების, ტაქტიკოსების, სტრატეგების ჭიდილი.

ჯანი კარნევალიმ აჯობა დავით ყიფიანს და ერთხელაც დაადასტურა — მისი სახით „ბადმინტონის მოყვარული გასტროლიორი“ ნამდვილად არ ჩამოუყვანიათ ბათუმში. ამ შეფასებას ნუ-რავინ ჩაგვითვლის ქუთათურებთან ბათუმელების გამარჯვების აღტაცებულ გამოძახილად, „ბათუმის“ პროგრესი აშკარაა, „ბათუმი“ ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი ქართული გუნდია. კარნევალი კი ის კაცი გამოდგა, რომლმაც სტადია-სტადიად, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოაყალიბა ისეთი „ბათუმი“, რომელიც სხვებზე სოლიდურ გუნდად გვესახება დღეს და აკი შედეგიც სახეზეა.

მწვრთნელის რაობა ყველაფერზე მეტად შედეგში აისახება-ხოლმე, მაგრამ მარტო სატურნირო სიტუაციითა და მშრალი ციფრებითაც ვერაფერს დაასკვნი, ბუღალტერია არც ეგრე საინტერესო რამაა, მთავარი გუნდის თავკაცის მოქმედების სტრატეგია, აღებული კურსი, წვრთნის სისტემა, სელექციის უნარი და უამრავი წვრილმან-მსხვილმანი ნიუანსია, რომელიც საბოლოო ჯამში ამა თუ იმ მწვრთნელის კვალიფიკაციაზე შეხედულებას გვიქმნის.

აქედან გამომდინარე კი სიტუაცია ჯანი კარნევალის სასიკეთოდ ვითარდება. საუკეთესო რვა გუნდში სხვებზე არცთუ უკეთესი მარაგით მოხვედრილი „ბათუმი“ ხუთი ტურის შემდეგ ჩემპიონობის სერიოზულ კანდიდატად მოგვევლინა და აღარც კარნევალის „ქართული სკუდეტო“ გვეჩვენება ემოციური იტალიელის როყიო წამოძახილად.

თუ საძირკველი დანგრეულია...

ნებისმიერი სახლის შენება საძირკვლით და საძირკლიდან იწყება, ფეხბურთშიც, სხვათა შორის, საფუძვლიდან მიხედავენ-ხოლმე საკეთებელს (ყოველ შემთხვევაში, ცივილიზირებულ გუნდებში ასეა). აქ სხვათა მაგალითებით ტკინს არავის გავუბურღავთ, ისევ ნოდარ ახალკაცისეულ „მშიერთა დაპურების“ მეთოდს გაგახსენებთ და რახან ჩვენი მენტალიტეტისთვის არც ვალერი ლობანოვსკი და კიევის „დინამოა“ უცხო, „ვასილიჩის“ ინიციატივასთანაც გავავლოთ კარნევალისეული ძცევების პარალელი.

ნოდარ ახალკაცმა „დინამოში“ მოსვლისთანავე მოითხოვა ფეხბურთელთა ჯგუფის დამსახურებისდა მიხედვით დაფასება — ბინა, მანქანა, გარკვეული უპირატესობანი... ეს არ ჭირდა მაშინ. ვალერი ლობანოვსკიმ კიევის დინამოელები არა მხოლოდ ჩამანქანიან-ჩაბინიანა, ფეხბურთელებს „პურის და ჯიბის შეძლეს მწვრთნელის მოთხოვნათა გარკვეულ დონემდე დაკმაყოფილება).

ვერ დავიჩემებ, იტალიელს მაგიდაზე ხელის ბრახუნი დასჭირდა-მეთქი თავისი პოზიციის განსამტკიცებლად (საქართველოში ვერ იტანენ ბრახუნს), მაგრამ ჩხიკვის ენამ ისიც თქვა, სწორედ მოთხოვნების წაყენებისას და მაგიდაზე ხელის ბრახუნისას ეტკინა მარჯვენა სინიორ კარნევალის და იმდენადაც, რომ შეხვევა-გადახვევებიც დასჭირდაო.

ასე იყო თუ ისე, ბათუმელთა მწვრთნელმა წააყენა და დაიკმაყოფილა მოთხოვნები და დადგა სხვა დროც — ჟამი ავანსების გამართლებისა.

აქ წინა პლანზე უნდა წამოსულიყო მწვრთნელის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა — რად იქცეოდა კარნევალის ხელში „ბათუმი“ — გააგრძელებდა წინამორბედების კურსს „იტალიანო“ თუ ახალ „სპაგეტის“ შემოგვთავაზებდა ქართულ საფეხბურთო მენიუში?

მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრი არაფერი შეუცვლია სინიორ ჯანის. საუბარია გუნდის შემადგენლობაზე. მან ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ფაქტობრივად იგივე დატოვა „ბათუმის“ სქემატური განლაგება მინდორზე, შეინარჩუნა ძველი „არმადა“, მეტი ყურადღება მიაქცია რგოლებს შორის კავშირს და სელექციური ნიჭის გამოსამჟღავნებლადაც არსად გაქცეულა, იქვე სარფიდან ჩოლოქამდე მოიძია ფეხბურთელები.

აჭარული ხაჭაპური თუ საგანელოვის პონჩიკები

სელექცია დიდებული რამეა, ისეთი ინვარში მარწყვს რომ არ მოგანატრებს და ახალზელანდიური კივის პლანტაციების სანახავადაც აქვე ყურისძირში (ვთქვათ ხობში) წასვლა გეყოფა კაცს.

აფხაზავა, თედორაძე, კობიძე, რომანაძე... აი, არასრული ჩამონათვალი იმ ფეხბურთელებისა, რომელთაც კარნევალის ფრთებქვეშ უხდებათ დაფრთიანება, ამას თბილისიდან წაყვანილი თარგამაძეც დაუმატეთ და აგერ, საიმედო ცვლაც. ეს ფეხბურთელები კარნევალიმ გააცნო ქართულ საფეხბურთო სამყაროს (საფუძვლიანად), თამაშებიც მისცა ბიჭებს და დღეს რომ ტულუშს, მუჯირს, ლლონტს, ხომერიკს, მახარაძეებს ღირსეული ბიჭები უმშვენებენ გვერდს, ესეც სინიორ ჯანის წისქვილზე ასხამს წყალს.

მწვრთნელი რომ კარგად ერკვევა სელექციაში ამას არაფერი სჯობს და თუ შევსებას თავისი გუნდის ფარმკლუბის ხარჯზე აკეთებს, ორმაგად სასიამოვნოა — ასე ხომ ფულიც იზოგება და ნერვებიც.

თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო, ჩვენს ფეხბურთს დღეს არ უხდება. არ გვცალია (ამ ეტაპზე) ბაღდადში სარბენად, უმჯობესია, როგორმე საკუთარ წვენში მოვიხარშოთ. ამიტომ აჭარელთა მაგილითი ყველამ უნდა გაითავისოს — თუკი აჭარული ხაჭაპურის გაშანსვა შეგიძლია (ბათუმში), მცხეთაში საგანელოვის პონჩიკისთვის არ უნდა გაიქცე (იგივე ოღონდ შებრუნებით უნდა გააკეთოს მცხეთელმა — საგანელოვის პონჩიკი იმყოფინოს და აჭარული ხაჭაპური გაშანსვა მომავლისთვის გადასდოს).

მოემზადეთ... თამაშ-თამაშ!

ჩვენს გუნდებში ერთი არასწორი ტრადიცია დამკვიდრდა — სეზონისწინა და საშუასეზონო მომზადებას მწვრთნელები რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური მატჩების ჩატარებას უწოდებენ. წავლენ სადმე (ანთალიაში მეტწილად) და რუსეთის გუნდებთან უკიდეგანო სპარინგებში ცდილობენ „მზადებას“. მართავენ დღეში ერთ, არცთუ იშვიათად ორ ამხანაგურ შეხვედრას — იგებენ, აგებენ, ითვლიან გატანილ და გაშვებულ ბურთებს და ეს ჰგონიათ ის ურთულესი პროცესი, რასაც გუნდის სეზონისთვის მზადება ჰქვია.

ვისაც ხელეწიფება, ჯურჩევთ, ჩახედოს სარბიელისეულ საშუასეზონო „მიდი-მოდის“. იმ გუნდებიდან, ვისაც შეკრებების გავლის საშუალება ჰქონდა, ყველაზე ცოტა მატჩი „ბათუმმა“ ჩაატარა (და ისიც ნახევარსაათიანი ტაიმებით, ანაც ნახევარი მატჩებით). ვერავინ დაიჩემებს, ბათუმელთა სპარინგ-პარტნიორები ვინმესაზე ნაკლები არიანო, მაგრამ ბევრ თამაშს ისევ ბევრი ჯარჯიში ამჯობინა კარნევალემ და ა, ბატონო, შედეგიც.

გუნდის სეზონთშორისი მზადყოფნის საზომად ამხანაგური მატჩები ჩინებული რამაა, მაგრამ ამხანაგური მატჩებით ვერც ერთ გუნდს ვერ მოამზადებ სეზონისთვის.

საჭიროა წვრთნა, ვარჯიშთა სისტემა, წინასწარ დაგეგმილი პროცესი, რომელიც უწვრილეს ნიუანსამდეა გათვლილი და ამათ შორის სპარინგიც შეიძლება.

მეთერთმეტე ეროვნულის მეორე სტადიამ ჩვენი მოსაზრებისა და ჯანი კარნევალის ტაქტიკის სისწორე დაასაბუთა — „ბათუმი“ გადაეჩვია ბუბლიკებს, ბევრი ქულა ამოუაჩა უშუალო მეტოქეებს და, რაც ყველაზე მთავარია, თითქმის ყველა მათგანთან გაიმარჯვა ფსიქოლოგიურ ჭიდილში. ამ გუნდს ხელეწიფება გადამწყვეტი მატჩების მოგება. ეს კი კარნევალის ყველაზე მეტად ამკობს.

გამწე ძალაზე და ლომის ფიტულებზე

კაცია და ხასიათი — ზოგს შაშვი უყვარს, ზოგს ბულბული. ერთ კატეგორიას ცოცხალი ვირთხა ურჩევნია ფარშევანგის ფიტულს და ვერც შეეკამათები — გემოვნებაზე, კარგა ხანია, აღარ დაობენ.

ჩვენ დიდებული, ლომებივით ფეხბურთელები გვყავდა, გვქონდა მშვენიერი საფეხბურთო წარსული, მაგრამ დღეს ყოველივე გაქრა — სიზმრებს კი სადაზღვეო კომპანიებიც აღარ აზღვევენ.

რა ვქნათ, ვიცხოვროთ მირაჟ-მოგონებებით, თუ „ახალი სისხლი“ ვირჩიოთ? მეორე სჯობს — ფეხბურთი ისეთი მახინაა, ლომის ფიტულს, მუშა საქონელი ურჩევნია. კარნევალი იაფი იტალიელია, არც გადასარევი („B“ კვალიფიკაცია), მაგრამ ჩვენს მწვრთნელებს ნამდვილად ჭყოფნის და საქმეც ესაა.

ის კი, სინიორ ჯანიმ რომ „აიწყვიტა“, დროის და ტაქტიკის კანონზომიერებაა — მან პროცესი მოუგო მოწინააღმდეგეებს.

და არა მარტო ერთი რომელიმე მატჩი. მისი საშუასეზონო წამოძახილი „ქართულ სკუდეტოზე“ კი ეგებ ვერც ახდეს, მაგრამ „ბათუმი“ მაინც გამარჯვებულია — აჭარული გუნდი სწორ გზაზე დგას, ბათუმში სწორად შრომას ასწავლიან.

კონსტანტინე გოგიშვილი

ბოლო გაჩერება: მერანი

აკაკი დევაძე

თბილისის „შევარდენი 1906“, თბილისის „დინამო“, ზესტაფონის „მარგვეთი“, ფოთის „კოლხეთი 1913“, რუსული როსტოვის „როსტსელმაში“, ებრაული ტაიბის „ჰაპოელი“ და ამდღდის „ირონი“ — აი იმ კლუბთა ჩამონათვალი, რომელთა ღირსებაც თავისი კარიერის განმავლობაში დაუცავს ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად მეკარე აკაკი დევაძეს. ცოტა ხნის წინ დევაძე საქართველოში დაბრუნდა და ახალი კლუბიც იოლად მოძებნა. ახლახან თბილისის „მერანმა“ 28 წლის მეკარესთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

დევაძე აგერ უკვე სამი დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა „მერანის“ ხელმძღვანელობა მის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანას არ ჩქარობს. მიზეზი მარტივია — მეკარე დიდი ხნის უვარჯიშებელი ყოფილა და ჩვეული ფორმის აღსადგენად გარკვეული დრო ესაჭიროება. არ არის გამორიცხული, დევაძე მიმდინარე ჩემპიონატის ბოლომდე შეიყვანონ განაცხადში და „მერანში“ რამდენიმე მატჩიც ჩაატაროს. მართალია, სატრანსფერო სეზონი საქართველოში დახურულია, მაგრამ ეს წესი, შეგახსენებთ, უცხოთიდან მობრუნებულ მოთამაშეებზე არ ვრცელდება. მათი განაცხადში შეყვანა ნებისმიერ დროს შეიძლება. დევაძეც სწორედ ასეთ ფეხბურთელად ითვლება, რადგან იგი ბოლოს ისრაელის უმაღლესდივიზიონელ აშდოდის „ირონში“ თამაშობდა. მისი პირველი კლუბი კი აწ არარსებული თბილისის „შევარდენი 1906“ იყო, სწორედ აქ დაიწყო დევაძის კარიერაში აღმასვლა, რომელიც საქართველოს ნაკრებში მიწვევით დაგვირგვინდა. ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობისას დევაძე ეროვნული გუნდის პირველ მეკარედ ითვლებოდა და რამდენიმე მატჩი ძალიან მაღალ დონეზეც ჩაატარა. ქართველი მეკარე „როსტსელმაშის“ კარსაც საიმედოდ იცავდა, დაღმასვლის პერიოდი კი აღთქმულ მიწაზე გადაბარგების შემდეგ დაიწყო, სწორედ მას შემდეგ დაკარგა ადგილი ქვეყნის ნაკრებშიც. დროებით-თუ სამუდამოდ, ამას დრო გამოაჩენს. ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, იქნებ კაკო დევაძემ კვლავაც დაიბრუნოს ძველი ფორმა. მით უმეტეს საქართველო ძლიერი მეკარეებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს.

ვანო ოქროპირიძე

აშვეთიას ძმსპრესი დაიძრა

ვლადიკავკაზური „ალანიაში“ დროებითი ტრანსფერით მოთამაშე მიხეილ აშვეთიამ უკვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. მართალია, მისმა გუნდმა სეზონი სუსტად დაიწყო, მაგრამ ამ საქმეში საქართველოს მეათე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს მწირი წვლილი მიუძღვის. რუსი ფეხბურთის სპეციალისტები და სპორტული ჟურნალისტები ერთხმად აღიარებენ აშვეთიას ოსური კლუბის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად. სამომავლოდ მასში ექსალანიელი გიორგი დემეტრაძის ღირსეულ შემცვლელსაც ხედავენ. თუმცა წინასწარი შეფასებებისგან თავს იკავებენ.

გაზეთმა „სპორტ ეკსპრესმა“ რუსეთის ჩემპიონატის პირველი ორი ტურის მონაცემები შეაჯამა. სამწუხაროდ, ამპლუათა მიხედვით საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მხოლოდ ერთი ჩვენებური, მიხეილ აშვეთია მოხვდა. არადა, მოგეხსენებათ, ჩრდილოელი მეზობლის უმაღლესი დივიზიონის სხვადასხვა გუნდებში კიდევ ცხრა ქართველი ლეგიონერი თამაშობს.

„სპორტ ეკსპერსმა“ ყველა ამპლუაში გამორჩეული ხუთეულები დაასახელა. ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე მოთამაშეთა შორის ალანიელმა აშვეთიამ მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო სამარელ ზურაბ წიკლაურთან და დინამოელ ლაკი იზიბორთან ერთად. წიკლაური ქართველ ლეგიონერად ვერ ჩაითვლება. იგი რუსეთის მოქალაქე და იქაური საფეხბურთო სკოლის აღზრდილია.

მიხეილ აშვეთია რუსეთში მოთამაშე საუკეთესო უცხოელთა ხუთეულშიც მოხვდა, რომელიც მასთან ერთად კამერუნელმა ტჩუისემ („ურალანი“), ბრაზილიელმა რობსონმა („სპარტაკი“), ნიგერიელმა იზიბორმა („დინამო“) და უკრაინელმა ლევიცკიმ („ჩერნომორეცი“) შეავსეს.

იმედია, „სპორტ ეკსპრესის“ ერთადერთი ქართველი რჩეული მომავალშიც საუკეთესოთა მარაქაში იქნება და მისი წყალი რუსეთში მოთამაშე სხვა ჩვენებურებსაც გადაესხმება.

ხვიჩა სანიკიძე

ვადიმ ბაბარიკის ფოტო

ვეტერანი ფეხბურთელის ზაზა როსტიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა ჭაბუკთა ტურნირი, რომელშიც თბილისის 10 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ტურნირის ორგანიზატორი, საფეხბურთო კლუბ „კავკასიონის“ გუნდი და „სიხარული“ გავიდნენ. 6:4 გაიმარჯვა „სიხარულმა“ (კლუბის პრეზიდენტი დემურ ჭაფოძე, მწვრთნელი იუზა წილოსანი).



ლუის ფერნანდესის პირველი დღე ბილბაოში

ბასკეთი ბასკებისთვის

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი...

ესპანეთში ჯერ სეზონი არ დასრულებულა და უკვე იმაზე საუბრობენ, მომავალ გათამაშებაში რომელი მწვრთნელი რომელ კლუბს უხელმძღვანელებს. თადარიგიანი ხალხი ცხოვრობს პირინეებზე.

დღეისთვის გადაწყვეტილი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ფრანგი ლუის ფერნანდესი ბასკთა უპირველეს გუნდს — ბილბაოს „ატლეტიკს" დატოვებს. გეხსომებათ, ფერნანდესს ბილბაოში ჩინებული დებიუტი ჰქონდა. „ატლეტიკი" პრიმერა დივიზიონის პრიზიორი გახდა და ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა. დღეს კლუბი არასახარბიელო მდგომარეობაშია. გათამაშების ცხრილში მე-10 ადგილი თავმოყვარე ბასკებისთვის უდიდესი წარუმატებლობაა.

რაკი ძველი მწვრთნელი მიდის, ახალიც მოსაძებნია. ფერნანდესის სავარაუდო მემკვიდრეებად ხოსე ფრანსისკო როხოს და ანდონი გოიკოეჩეას ასახელებენ. პირველი ამჟამად „სარაგოსას" უდგას სათავეში და გუნდიც აშკარად აღმავლობის გზაზეა. სარაგოსელები წლეულს ჩემპიონთა ლიგასაც უმიზნებენ. ჭორი ჭორად, მაგრამ თავად როხო რას ფიქრობს მშობლიურ ბასკეთში დაბრუნებაზე? ის თავშეკავებულია: „ნორმალურ მოვლენად ვთვლი, რომ ჩემი სახელი ამოტივტივდა. არ გამკვირვებია, რადან „ბილბაოში" ფეხბურთელიც ვიყავი და მწვრთნელიც. სამუშაო ადგილის შეცვლაზე კი რა მოგახსენოთ. სარაგოსაში თავს ჩინებულად ვგრძნობ, თუმცა ბასკეთი ხომ ჩემი სამშობლოა". რას გადაწყვეტს როხო, ამას დრო გვიჩვენებს. ისე, მისთვის ოფიციალურად ჯერ არავის არაფერი შეუთავაზებია. მხოლოდ ის დავუმატოთ, რომ ბილბაოში დაბადებული და იქ მოთამაშე ხოსე ფრანსისკო როხო სანამ 1998-90 წლების სეზონში „ბილბაოს" მწვრთნელი გახდებოდა, იქამდე ამ კლუბის მეორე შემადგენლობას ავარჯიშებდა.

მეორე სავარაუდო კანდიდატი კი, როგორც ვთქვით, ანდონი გოიკოეჩეა გახლავთ. კარგი ფეხბურთელი იყო — 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გვახსოვს, სადაც 8-ნომრიანი მაისურა ეცვა. გოიკოეჩეა ერთი პერიოდი ბასკთა მესამე კლუბს, „ალავესსაც" წვრთნიდა (ადრე იყო მესამე, ეხლა კი „ბილბაოს" და „სოსიედადს" ახლოსაც არ იკარებს). დღეს იგი „ნუმანსიას" თავკაცია.

„ნუმანსიას" გათამაშების ცხრილში მე-13 ადგილი უჭირავს. ესეც რომ არა, „ბილბაო" „ნუმანსიას" ბევრად სჯობს და ტრადიცია-ტიტულებიც მეტი აქვს. ამიტომაც განაცხადა ანდონი გოიკოეჩეამ: „ბედნიერი ვიქნები, თუ სამშობლოში დაბრუნების საშუალება მომეცემა".

ასე რომ, დაველოდოთ. „ბილბაოს" ლუის ფერნანდესის სახით ერთადერთი უცხოელი ჰყავდა (უფრო ზუსტად, სეზონის ბოლომდე ეყოლება), მომავალი სეზონიდან კი... არა, ამ კლუბს უცხოელთა ლიმიტზე და ამგვარ რამეებზე კამათი სულაც არ აღელვებს.

გიორგი დარჯანია

ხესუს ხილმა ატლეტიკო დაღუპა

თქვენს მტერს, მადრიდის „ატლეტიკოს" რომ დროება დაუდგა. ერთის მხრივ ფეხბურთელებმა თუ მწვრთნელებმა მოისვენეს. როგორი საქმეა ყოველდღიურად ხესუს ხილის გაუთავებელი პრეტენზიების მოსმენა. არადა, მადრიდელთა ხუშტურებიანი პრეზიდენტის ბატონობის ხანა მთელი ცამეტი წელი გრძელდებოდა, მაგრამ ხილი ისე როგორ წავიდოდა (ცხადია, იძულებით), კუდი არ მოქნია.

სენსაციური ამბავი მოვიდა ესპანეთიდან. მადრიდის „ატლეტიკო" გაკოტრების ზღვარზეა. კლუბის ვალებმა ჯამში 70 მილიონი დოლარი შეადგინა. ვერაფერს იტყვი, კარგი მემკვიდრეობა დატოვა აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა. თავად ხილს კი 53 მილიონის გაფლანგვაში ედება ბრალი. დამეთანხმებით, მცირე თანხა როდია, თუმცა შეჭმული ფულის ასავალ-დასავალს გამომძიებლები დღემდე ეძებენ.

ხესუს ხილი ინტრიგებში გამობრძმედილი კაცია და თავს თვითონ მიხედავს. აი, „ატლეტიკო"? ნუ გაიკვირვებთ და კლუბს გადარჩენის იმედი მაინც აქვს. უცნობმა ოკეანისგაღმელმა ინვესტორმა უკვე გამოთქვა „ატლეტიკოს" შეძენის სურვილი. მადრიდელები დატრიალდნენ და იანგარიშეს, რომ ოღინდელი ამბიციური, ახლა კი სასეგუნდოდივიზიონოდ განწირული კლუბი 120 მილიონი დოლარი ღირს. გადაიხდის ინკოგნიტო ამერიკელი აღნიშნულ თანხას? დავიცადოთ, თუ არა და...

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინელი „სან ლორენსოს" ნახევარმცველი მარკო სარიჩი მშობლების ბინაში მკვდარი იპოვეს. პოლიციის ვერსიით, ფეხბურთელმა თავი მოიკლა. 21 წლის სარიჩი „სან ლორენსოში" 1998 წელს ჩაირიცხა, მან 41 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. ორი კვირის წინ ნახევარმცველი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და მუხლი დაიზიანა. ექიმების ცნობით, იგი დაახლოებით ოთხ თვეს ვერ ითამაშებდა. პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ამ ფაქტმა სარიჩზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა და ფეხბურთელი დეპრესიაში ჩავარდა, თუმცა ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდია და კონკრეტულად არაფერს ამტკიცებენ.

პოლონელ პაველ მიხალსკის სასამართლომ ექვსწლინახევრიანი პატიმრობა მიუსაჯა. 1998 წელს „პარმა" უეფას თასის გათამაშებაში კრაკოვის „ვისლას" მასპინძლობდა. 20 წლის მიხალსკიმ ტრიბუნებიდან მეტალის საგანი ისროლა და პარმელ დინო ბაჯოს თავში გაარტყა. ფეხბურთელი მსუბუქად დაიჭრა, თუმცა სამედიცინო დახმარების შემდეგ თამაში მაინც გააგრძელა. მიხალსკიმ დებოშის მოწყობაც სცადა და პოლიციის რაზმს წინააღმდეგობა გაუწია, საბოლოოდ იგი მაინც დაიჭირეს და პოლიციაში მიიყვანეს. ამ ინციდენტის გამო უეფამ „ვისლა" შერისხა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში აუკრძალა, გარდა ამისა, ერთობ სოლიდური თანხაც გადაახდევინა. პოლონეთის სასამართლომ კი მიხალსკის საქმე მხოლოდ ახლა განიხილა და ბრალდებული ფანი მკაცრად დასაჯა.

ფრანგ თავდამსხმელ სილვენ ვილტორდს მიაჩნია, რომ „არსენალში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საამაყოა და მომავალი სეზონიდან იგი ლონდონში გადაბარგებას აპირებს. „ინგლისი საუკეთესო არჩევანია, საფრანგეთში შვიდი წელიწადი ვიასპარეზე, ახლა 25 წლის ვარ და ვთვლი, რომ მეტი შემიძლია. პრემიერლიგაში ამას დავამტკიცებ. ჩემთვის სასურველი გუნდი „არსენალია". იქ ფრანგი მწვრთნელი მოღვაწეობს და რამდენიმე ჩემი თანამემამულე თამაშობს, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. სულაც არ გამოვრიცხავ, გაისად ლონდონში გადავიდე" — ამბობს თავად ვილტორდი. ტრანსფერის შესახებ ჯერ არ უსაუბრიათ, თუმც ინგლისურ პრესას არაფერი გამოეპარება. ისინი აცხადებენ, რომ „ბორდო" ვილტორდის სანაცვლოდ დაახლოებით 10 მილიონ გრივანქას ითხოვს.

არგენტინელი მოზარდის ვალტერ სამუელის შეძენა „რომამ" მოიწადინა და ფეხბურთელის ამჟამინდელ კლუბ „ბოკა ხუნიორსს" 12 მილიონი გრივანქა შეეძლია. რომაული გუნდის ცნობით, სამუელთან კონტრაქტი თითქმის გაფორმებულია და მომავალი სეზონიდან არგენტინელი იტალიაში იასპარეზებს. „რომას" წეგრობა ხამდვილად საამაყოა — განაცხადა 22 წლის მცველმა — მოხარული ვარ, რომ ვინჩენცო მონტელასა და ფრანჩესკო ტოტისთან ერთად გავალ მინდორზე. მათი თამაში მომწონს და ხშირად ვადევნებ თვალყურს".

გერმანის ბუნდესლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, როსტოკის „ჰანზამ" დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა. გუნდის ხელმძღვანელობამ 27 წლის შვედ მცველ ანდრეას იაკობსონს დაადგა თვალი. კლუბმა ფეხბურთელის აგენტთან მოლაპარაკებაც დაიწყო, სატრანსფერო თანხა და კონტრაქტის ხანგრძლივობა ჯერჯერობით უცნობია. როსტოკელები მეორედივიზიონელი „კოტბუსის" მცველის რაიკ შრიოდერის გადაბირებასაც ლამობენ, რომელსაც თავის კლუბთან ხელშეკრულება დაუსრულდა და შესაძლოა „ჰანზაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდეს.

იტალიის ჩემპიონი „მილანი" კვირას ფლორენციის „ფიორენტინას" ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდება. წინა ტურში, „პარმას" წინააღმდეგ მატჩში, თომას ჰელვეგგმა და ფედერიკო ჯუნტომ გაფრთხილებები მიიღეს, რაც მათთვის რიგით მეორე აღმოჩნდა და ორივე ფეხბურთელი ერთ მატჩს გამოტოვებს. „პარმასთან" შეხვედრაში ესპანელი თავდამსხმელი ხოსე მარი დაშავდა და კლუბის ექიმების ცნობით, 22 აპრილამდე (ამ დღეს ჩემპიონები „რეჯინას" ხვდებიან) ვერ ითამაშებს. მილანური კლუბი ჩვეული სისტემით აგრძელებს სატრანსფერო პოლიტიკას. სელექციონერთა ჯგუფმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეარჩია. მათ შორის ყველაზე სასურველ კანდიდატურებად ბარსელონელ ხოსეპ გვარდიოლას და მონაკოელ დავიდ ტრეზეგეს მიიჩნევენ. მომავალი სეზონიდან მილანურ კლუბში შესაძლოა, „უდინეზეს" მეკარე ლუიჯი ტურჩიც ვიხილოთ.

არგენტინელ ნახევარმცველ ხავიერ ძანეტის რამდენიმე წამყვანმა ევროპულმა კლუბმა დაადგა თვალი. მოსალოდნელია, რომ „ინტერის" ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალში" აღმოჩნდეს. იტალიური პრესის ცნობით, სამეფო კლუბს არგენტინელის შეძენა განუზრახავს. მილანურ და მადრიდულ კლუბებს ჯერჯერობით ოფიციალურად არაფერი განუცხადებიათ. „ინტერმა" კი „უდინეზეს" ნახევარმცველ სტეფანო ფიორეს შეძენა მოისურვა. თანხა და კონტრაქტის პირობები არც აქ დაუსახელებიათ. ცნობილია, რომ უდინელი ფეხბურთელის გადაბირებას კიდევ ერთი იტალიური გრანდი — „ლაციო" ცდილობს.

ჰოლანდიური პრესა იუწყება, რომ დენის ბერხკამპი მალე შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და ჰოლანდიის პირველი დივიზიონის რომელიმე გუნდში ჩაირიცხოს. „არსენალთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს, მომდევნო სეზონს, ალბათ ლონდონში გავატარებ, ჯერჯერობით სხვა არაფერი გადამიწყვეტია. „არსენალში" თამაში მსიამოვნებს და დავრჩები კიდეც". იმასაც ამბობენ, რომ ბერხკამპი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას აპირებს. „მთელ ყურადღებას ევრო 2000-ზე ვამახვილებ, მსურს, ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოვიგო და ამის შემდეგ ეროვნულ გუნდს გამოვეთხოვო — განუცხადა ბერხკამპმა ლონდონურ გაზეთ „ივნინგ სტენდარდს".

ინგლისის პირველ დივიზიონში მოთამაშე „ნორვიჩის" მთავარ მწვრთნელად ბრაიან ჰამილტონი დაინიშნა. ეს სპეციალისტი ადრე ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებდა. რამდენიმე კვირის წინ „ნორვიჩის" თავკაცი ბრიუს რიოქი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და დროებით მწვრთნელად სწორედ ჰამილტონი მიიწვიეს, ახლა კი მას საბოლოოდ ჩაბარეს პოსტი.

იტალიური „ფიორენტინას" დირექტორი ჯანკარლო ანტონიონი მთავარ მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის მოღვაწეობით უკმაყოფილოა და გამოცდილი სპეციალისტის კლუბიდან გაძევებას მოითხოვს. გუნდის პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი და ტრაპატონი უკვე შეთანხმდნენ, რომ მწვრთნელი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, შემდეგ კი ალბათ დატოვებს თანამდებობას, თუმც ფლორენციული პრესა არ გამორიცხავს, ჩეკი გორიმ ტრაპატონის „ფიორენტინას" ტექნიკური დირექტორობა შესთავაზოს. ანტონიონი ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა და მოითხოვს, რომ ტრაპატონიმ გუნდი საერთოდ დატოვოს.

ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი ბუნდესლიგის მომავალი ტურის მატჩს „ულმის" წინააღმდეგ გამოტოვებს. მან გასულ შაბათს „ვოლფსბურგთან" შეხვედრაში წითელი ბარათი დაიმსახურა და მოედნიდან გააძევეს. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ამ საკითხზე იმსჯელა და „ბაიერნის" ფორვარდი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მატჩის მთავარმა არბიტრმა ედგარ შტაინბორნმა, რომელმაც ელბერს წითელი ბარათი უჩვენა, განაცხადა, რომ ფეხბურთელი მეტოქე ჰოლგერ ბალვანცს არასპორტულად მოექცა.

რუსეთის ჩემპიონატის ახალწვეულ მახაჩყალის „ანჟის" თავის სტადიონზე თამაშის უფლებას მისცემენ. რეგიონში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის გამო შიშობდნენ, რომ გუნდი საშინაო მატჩებს ქალაქში ვერ გამართავდა და ნეიტრალურ სტადიონზე მოუწევდა თამაში. თუმც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, საშიშროება თითქმის აღარ არის და „ანჟი" მატჩს თავის სტადიონზე ჩაატარებს. „რეგიონში სიტუაცია უკვე სტაბილურია და აღარ არსებობს იმის მიზეზი, რომ „ანჟიმ" შინ არ ითამაშოს" — განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ ტიხონოვმა. მომავალი ტურის შეხვედრას „ანჟი" ალბათ თავის სტადიონზე გამართავს.

ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ კევინ ფილიპსის ცნობით, იგი ყოველმხრივ ეცდება თავის გუნდს უეფას თასის საგზური მოაპოვებინოს. „მე ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია — ამბობს „სანდერლენდის" ფორვარდი — გულშემატკივრები გოლის გატანას ჩემგან მოითხოვენ, მაქსიმალურად ვცდილობ, ყველა შეხვედრაში გამოვიჩინო თავი. ქომაგთა მოთხოვნა კი სრულიადაც არ მთრგუნავს, პირიქით, პასუხისმგებლობას ვგრძნობ — ვცდილობ, ყოველ თამაშში მოვუმატო. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში უეფას თასზე ვიასპარეზებთ."

ფრანგმა ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ მადრიდის „რეალში" ვარჯიში განაახლა. გეხსომებათ, უდისციპლინობის გამო გუნდის ხელმძღვანელობამ მას 45-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, თუმცა ფრანგმა მხოლოდ 22 დღე გააცდინა და კლუბის გადაწყვეტილებით, კვლავ „რეალთან" ერთადთ ვარჯიშობს. მან საქვეყნოდ მოიხადა ბოდიში და ერთობ სოლიდური ჯარიმა — 360 ათასი დოლარიც გადაიხადა. „საქმე დახურულია და ყველაფერი ძველებურად გრძელდება. მოდით, ინციდენტი დავივიწყოთ" — ამბობს სამეფო კლუბივს ვიცეპრეზიდენტი ხუან ონიეგა. ჯერჯერობით უცნობია, როდიდან გააბწესებს მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე ანელკას გუნდის სასტარტო შემადგენლობაში.

გერმანიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე „შტუტგარტის" მეკარე ფრანც ვოლფარტი სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლას აპირებს. მთავარმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა უმალ დაიწყო შემცვლელის ძებნა და არჩევანი გერმანიის პირველდივიზიონელ „ზანქტ პაულის" კარის დარაჯ კარსტენ ველმანზე შეაჩერა. 27 წლის გოლკიპერს „შტუტგარტის" ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში შეხვდება და სავარაუდოდ ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებს, სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია, თუმც გერმანული პრესის ცნობით, „ზანქტ პაული" დაახლოებით 250 ათას გირვანქას მიიღებს.

სლოვენია. 23-ე ტური. ნოვა გორიცა — დომზალე 2:0; პრეკალიე — დრავოგრადი 1:2; აიდოვშინა — რუსე 0:0; ოლიმპია — ბელტინჩი 3:3; ველენიე — მურა 2:1; მარიბორი — ცელიე 4:0. ჩემპიონატს 53 ქულით „მარიბორი" ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებს 43-43 ქულით „ნოვა გორიცა" და „ველენიე" იყოფენ.

იუგოსლავია. 32-ე ტური. ცრვენა ზვეზდა — პარტიზანი 2:1; რადი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 1:1; ობილიჩი — ჰაიდუკი (კულა) 1:0; ზემუნი — რადნიჩკი (ნიში) 1:0; ჟელეზნიკი — სუტიესკა 3:1; ბორაცი — ჩუკარიჩკი 1:2; მილიციონარი — ჰაიდუკი (ბელგრადი) 2:0; სარტიდი — პროლეტერი 2:0; მოგრენი — ვოივოდინა 0:0; ბუდუჩნოსტი — სპარტაკი 4:0. ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები, „პარტიზანი" და „ცრვენა ზვეზდა" 78-78 ქულით ლიდერობენ. მესამეა ბელგრადისავე „ობილიჩი" — 77 ქულა.

ხორვატია. 25-ე ტური. რიეკა — შიბენიკი 2:0; ოსიეკი — ისტრა 3:1; ვარტექსი — სლავენი 0:0; დინამო — ზაგრაგოვოლიაცი 3:0; ჰაიდუკი — ვუკოვარი 4:0; ზაგრები — ციბალია 1:2. ჩემპიონატს 54 ქულით ზაგრების „დინამო" ლიდერობს, მეორე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი" — 52 ქულა, მესამეა „ოსიეკი" — 44 ქულა.

გულიანი უგოლო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. I წრე

რეალი 0:0 მანჩესტერი

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, კარანკა, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, რედონდო, მაკმანამანი, სავიო (ბალიჩი 75), ივან ელგერა, რაული, მორიენტესი (ოგნიენოვიჩი 85)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ბერგი, ირვინი (სილვესტრი 86), სქოულზი (ბათი 80), კინი, ბექჰმი, გიგზი, კოული, იორკი (შერინგემი 75)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ირვინი, კარანკა
მსაჯი: ჟილ ვეხიე (საფრანგეთი)
77 000 მაყურებელი

8	კარში დარტყმა	2
15	ასცდა	9
10	ჯარიმა	22
14	კუთხური	5
4	თამაშგარე	2
29	ბურთის ფლობა (დროში)	27
51	ბურთის ფლობა (%)	49

REUTERS მადრიდიდან

რეალი — მანჩესტერი 0:0. რობერტო კარლოსის (№3) დარტყმა „კედელსაც“ ასცდა და კარსაც

ჩვენ ხალხს კარგ სანახაობას შეპირდით და, ვფიქრობ, ამ მხრივ ორივე გუნდმა გაამართლა — მადრიდელთა მწვრთნელი დელ ბოსკე დაღონებული სულაც არ ჩანდა.

მართლაც, იყო 0:0, მაგრამ იყო კარგი სანახაობაც. იშვიათია, მაგრამ სხვანაირად ალბათ, ვერც იქნებოდა — „მანჩესტერიცა“ და „რეალიც“ უპირველესად შემტევ თამაშში არიან გაწაფულნი და მეტოქის უპირატესობათა ჩახშობა-განადგურებას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, უგოლო შეხვედრა მეტად თვალსაჩინო რომ გამოდგა.

სახიფათო მომენტი რასაც ჰქვია, აი, კაცს რომ ააღელვებს ისეთი, ათამდე იყო — ამ საქმეში „რეალმა“ უფრო იმარჯვა, თუმცა ნაღდი საგოლე სიტუაცია, გულშემატკივარს თავში ხელს რომ წააშენინებს, თანაბრად განაწილდა — ერთი ერთზე. ორივე ინგლისელებმა შექმნეს: პირველ ტაიმში სტუმარმა კოულმა მეტრნახევრიდან თავურით ააცილა, მეორე ტაიმში კი მასპინძელი მაკმანამანი დარჩა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ავსტრალიელმა ბოსნიჩმა დაღლილ ხელებს ფეხები შეაშველა და თავისი გუნდი გადაარჩინა.

სწორედ მარკ ბოსნიჩი მიიჩნია სერ ალექს ფერგიუსონმა თავის გუნდში საუკეთესოდ: „ბოსნიჩმა გვიხსნა, მან ბრწყინვალედ ითამაშა“. დანარჩენებით კი სქოთი მწვრთნელი უკმაყოფილო იყო. „იმედი განსაკუთრებით იმათ გამიცრუეს, ვისაც ბურთის დაჭერა ვთხოვე. ასე იოლად ბურთის დათმობა არ შეიძლება. ამიტომაც ვთვლი, რომ წლეულს ეს ჩვენი ყველაზე უსუსური თამაში იყო. თითქოს სტუმრად მიღწეული 0:0-ით კმაყოფილი უნდა ვიყო, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს საუკეთესო შედეგი სულაც არაა, მეორეც და მთავარი — ჩვენ გოლებზე დაგეშილი გუნდი ვართ, ამჯერად კი ვერ გავიტანეთ“.

არადა, „იუნაიტედმა“ შეაგდო, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე — სქოულზის საჯარიმოს გარედან დარტყმული კასილიასმა მოიგერია, თუმცა იორკმა დაამატა და... თანამსაჯმა, თამაშგარეო. ალბათ, იყო. ბარემ აქვე მსაჯთა ერთ, ნაღდ შეცდომაზეც ვთქვათ: კარანკამ მეკარესთან პირისპირ გამსვლელი გიგზი მოცელა, თუმცა ფრანგი არბიტრი გაფრთხილებით შემოიფარგლა. „კარანკა [illegible] დები იყო“ — ფერგიუსონმა [illegible] ეს შენიშნა, თუმცა მსაჯის ობიექტურობაში ეჭვი არ შეუტანია. ისე, მასპინძელთა მცველის გაძევებით ალბათ, არც არაფერი შეიცვლებოდა — ეს მხოლოდ საპასუხო მატჩზე მოახდენდა გავლენას.

საპასუხო მატჩი ერთ კვირაშია, „ოლდ ტრეფორდზე“. ყველაფერი იქ გაირკვევა. „ბიჭებმა იციან, რომ დიდი ბრძოლა ელით“ — ამბობს ფერგიუსონი. „მანჩესტერში იმედით მივდივართ“ — რობერტო კარლოსიც ბრძოლას გვპირდება. მითუმეტეს, უიმედოდ არ გახლავთ კაცი, ვისაც „ოლდ ტრეფორდზე“ არაერთხელ უთამაშია: „საუცხოო სტადიონია და იქ თამაში ერთი სიამოვნებაა. თან მატჩს ჩემი ძმაკაცებიც დაესწრებიან. ამ სეზონში ორჯერ გახლდით „ოლდ ტრეფორდის“ ტრიბუნაზე — ერთხელ „არსენალმა“ მოახერხა „იუნაიტედთან“ 1:1, მეორედ — „ლივერპულმა“. ჩვენც ასეთივე ანგარიში გვჭირდება“ — მიხვდებოდით, ეს სტივ მაკმანამანის სიტყვებია.

და ისევ განვლილ მატჩზე. თითქოს უცნაურ მატჩზე, 0:0 რომ დამთავრდა და მაინც ჩინებული შოუ გამოდგა. „შეიძლებოდა 5:2 ან 4:1 მოგვეგო, მაგრამ 0:0-იც არ არის ყველაზე ცუდი შედეგი. კარგად ვითამაშეთ, თუმც მთელი ჩვენი ძალა მაინც ვერ გამოვავლინეთ. გვეგონა, ინგლისელები უფრო მძაფრად შემოგვიტევდნენ, მაგრამ მათ მშვიდად ითამაშეს. ისე, მათთვის ალბათ, ასე სჯობდა“ — ესეც უცნაურია, დელ ბოსკე უფრო კმაყოფილია შედეგით, ვიდრე ფერგიუსონი. რატომ? „იუნაიტედს“ გოლები ყოველთვის გააქვს, ჩვენ კი ვერ გაგვიტანა, ამიტომ შედეგით გაწბილებული სულაც არ ვართ“ — გვპასუხობს „რეალის“ მცველი მიჩელ სალგადო.

ასეა თუ ისე, ორ კვირაში ახალი შოუ გველის — კინით, რობერტო კარლოსით, ბექჰმით, რაულით...

რომ არა ბრაზილიელები

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. I წრე

პორტუ 1:1 ბაიერნი

10 ჟარდელი (47), 1:1 პაულო სერჟიო (80)
პორტუ: ილარიო, ნელსონი, ესკერდინია, პაულინიუ სანტუში, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო, ჩაინიო (დომინგუში 84), დეკო სოუზა, დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო (კლეიტონი 73), ჟარდელი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
ბაიერნი: კანი, ბაბელი, იერემისი, ლიზარაზუ, კუფური, ეფენბერგი, ჰ. ანდერსონი, სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუზი 79), პაულო სერჟიო, ელბერი (იანკერი 72), შოლი (ფინკი 86)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჟორჟე კოშტა, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ჟარდელი, ალოიზიო, იერემისი
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

7	კარში დარტყმა	2
5	ასცდა	8
27	ჯარიმა	17
9	კუთხური	6
10	თამაშგარე	1
23	ბურთის ფლობა (დროში)	24
48	ბურთის ფლობა (%)	52

REUTERS პორტუდან

პორტუ — ბაიერნი 1:1. მიუნხენელი ჯოვანი ელბერი (№9) და პორტუელი ჟორჟე კოშტა

მატჩის შემდეგ პორტუელთა მწვრთნელ ფერნანდო სანტოსს დანა კბილს არ უხსნიდა. როგორი საქმეა, პორტუგალიელები ცალი ფეხით ნახევარფინალში იყვნენ და ახლა ყველაფერი თავიდან დასაწყები გაუხდათ, თანაც მიუნხენში „ოლიმპიაშტადიონზე“. „1:1 უსამართლო შედეგია“ — თქვა დაღონებულმა სანტოსმა — „ჩემმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. მინიმუმ 2:0 უნდა მოგვეგო, რასაც ვიმსახურებდით კიდეც. ბედი არ გინდა, გერმანელებმა ერთხელ შემოგვიტიეს და გაგვიტანეს. რას იზამ, საპასუხო შეხვედრისთვის უკეთ მოვემზადებით და ვფიქრობ, მიუნხენში მაინც ვიმარჯვებთ“.

თამაშის შეფასების თვალსაზრისით ოტმარ ჰიცფელდი თავის პორტუელ კოლეგას ეთანხმება. „ეინი გვაკლდა. თითქოს ჩვენს ფეხბურთელებს ზეზეულად ეძინათ“ — უთქვამს მას, მაგრამ ნახევარფინალში გამსვლელის ვინაობაზე ნურას უკაცრავად, საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო.

თუმცა სანამ მწვრთნელები თავიანთ მოსაზრებებს მოგვახსენებდნენ, შეხვედრის 90 წუთი იყო. პირველ ტაიმში რამდენიმე მომენტი გახლდათ დასამახსოვრებელი. 21-ე წუთი: იენს იერემისმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და „პორტუს“ სათადარიგო მეკარეს ენრიკე ილარიოს ნახტომში მოუხდა ბურთის მოგერიება. 27-ე წუთი: ნუნო კაპუჩომ მიუნხენელთა დაცვაში ნაპრალი შენიშნა და ბურთი ორ მცველს შორის გააძვრინა. დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა. მე-40 წუთი: ლუბინკო დრულოვიჩის დარტყმული ბურთი ოლივერ კანმა მოიგერია. ის იყო, მარიო ჟარდელს უნდა დაემატებინა, რომ პატრიკ ანდერსონმა იყოჩაღა — ბრაზილიელს ბურთი სუფთად აართვა. 41-ე წუთი: შეტევაში პორტუელი მარცხენა მცველი ხოსე ესკერდინია ჩაერთო. კანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბრაზილიელის დარყმულის მოსაგერიებლად.

პირველი გოლი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, 47-ე წუთზე გავიდა. ლუბინკო დრულოვიჩმა მარიო ჟარდელს ჩააწოდა. ბრაზილიელი კარის პირდაპირ იდგა და ოლივერ კანის მოტყუება არ გასჭირვებია. გაშვებულმა გოლმა სტუმრები რამდენადმე გამოაცოცხლა. ერთ მომენტში ჯოვანი ელბერი იყო მიზანთან ახლოს — მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთისთვის მას მხოლოდ ფეხი უნდა დაეხვედრებინა, მაგრამ სულ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა.

შემდეგ იყო 77-ე წუთი, როდესაც კანმა გასაოცარი რეაქცია გამოაჩინა (რაც გერმანელ მეკარეს ჩვევია კიდეც) და ჟარდელს მეორე არ გაატანინა. ამიტომაც მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიცფელდმა უპირველესად კანის ჩინებული თამაში აღნიშნა და მიღწეული ფრე მეკარის დამსახურებად ჩათვალა.

„პორტუს“ ათი წუთიც უნდა გაეძლო. „ბაიერნის“ თამაშის შემხედვარე, ეს სავსებით რეალურად ჩანდა, მაგრამ... გადამწყვეტ მომენტში მასპინძელთა მცველები შეცდნენ. შტეფან ეფენბერგმა საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ბურთმა უმეთვალყურეოდ მიტოვებული პაულო სერჟიო მოძებნა. ბრაზილიელს უფლება არ ჰქონდა, არ გაეტანა და მანაც ზუსტად იმოქმედა — 1:1. მარიო ჟარდელსა და პაულო სერჟიოზე კი შეიძლება ითქვას, არც ერთი იყო პორტუგალიელი და არც მეორე — გერმანელი...

რა იქნება ორი კვირის შემდეგ? ალბათ, უშელავათო ბრძოლა.

აკი ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა: „პორტუს“ ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს. ისინი უაღრესად გამოცდილი და ტექნიკური მოთამაშეები არიან. ეს გვაიძულებს, რომ მიუნხენში ინიციატივა ხელთ ვიგდოთ და გააფთრებით შევუტიოთ“.

აქვე დავამატოთ, რომ „ბაიერნმა“ „პორტუს“ ძველი ანგარიში უნდა გაუსწოროს. 1987 წლის 27 მაისს ვენაში, ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში „პორტუმ“ მეტოქეს 2:1 მოუგო. მართალია, 1990-91 წლების სეზონში „ბაიერნმა“ „პორტუ“ ამავე თასის მეოთხედფინალიდან გამოთიშა (მაშინაც პირველი მატჩი 1:1 დასრულდა), მაგრამ ფინალში მარცხი ისეთი რამ არის, რაც არასდროს გავიწყდება.

ძველებური, სახალისო თამაში

„იუვენტუსმა“ მიმდინარე სეზონში პირველად წააგო. დამარცხდა მდევართან, კონკურენტთან, ერთიხანობა ბევრის მიერ ჩამოწერილ „ლაციოსთან“ და ცხრაქულიანი უპირატესობა სამამდე შეუმცირდა. როგორც საკუთრივ იტალიაში, ასევე მის გარეთ „ბებერი ქალბატონი“ ამთავითვე ჩემპიონად ჰყავდათ შერაცხული, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას წინ დიდი ბრძოლები ელის, ხოლო სერია A-ს გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ ერთობ ძნელი დასასახელებელია.

„ამრიგად, ყველაფრის თავიდან დაწყება გვიხდება, მაგრამ იყო დრო, უახლოეს მდევარს ცხრა ქულით ვუსწრებდით და სწორედ მაშინდელი ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღდგენაა აუცილებელი“ — ამბობს ტურინელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი — „ტრაგედიას ნუ შევქმნით, უპირატესობები ჯერ კიდევ გვაქვს და სჯობს ჩამოვთვალოთ: უპირველეს ყოვლისა სათქმელია, რომ ჩემპიონატს მაინც ჩვენ ვლიდერობთ. „ლაციოს“ სამი ქულით ვუსწრებთ, რაც შესაძლოა, ბევრი არ არის, მაგრამ სუნთქვის საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, ჩვენ სეზონის ბოლომდე ექვსი თამაში დაგვრჩა, „ლაციოს“ კი ჩემპიონატის გარდა ორ სათასო შეჯიბრებაზე აქვს საფიქრალი. ამიტომ, ნება მიბოძეთ გავიმეორო, რაც აქამდეც მითქვამს და, ალბათ, მოსასმენად ერთობ უცნაურია: ჩვენს მდგომარეობას მათ არ გავუცვლიდი“.

საგულისხმოა ანჩელოტის ანალიზი „ბებერი ქალბატონის“ დღევანდელი მდგომარეობის შესახებ: „ფეხბურთი ძველებური, სახალისო თამაშია. დავმარცხებულვართ მაშინ, როდესაც მოგება გვერგებოდა და მოგვიგია, როცა ამის ღირსნი არ ვყოფილვართ. „მილანმა“ და „ლაციომ“ ჩვენი დაცვის შეცდომათა გამო ერთნაირი გოლები გაგვიტანა, მაგრამ აბა მითხარით, არის ქვეყნად ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ „იუვენტუსს“ სუსტი დაცვა ჰყავს? ჩვენ ხომ 10 კაცითაც ძალიან ორგანიზებულად ვთამაშობთ“.

„შავ-თეთრთა“ მწვრთნელი ცალ-ცალკე არც ერთ ფეხბურთელზე არ ლაპარაკობს, არავის გამოჰყოფს, თუმცა, როდესაც თავდამსხმელთა წყვილზე, ფილიპო ინძაგისა და ალესანდრო დელ პიეროზე ეკითხებიან, საუბარი მყის დაცვაზე გადააქვს: „ისინი არც დაღლილნი არიან და არც ცუდად თამაშობენ. ჩემი ფეხბურთელებიდან ყველა კარგ ფორმაშია. ერთადერთი ალესიო ტაკინარდის აწუხებს აქილევსის მყესი.“

რა თამაშები დარჩა „იუვენტუსს“? სტუმრად „ბოლონიასთან“, „ინტერთან“, „ვერონასა“ და „პერუჯასთან“, ხოლო შინ „ფიორენტინასა“ და „პარმასთან“. ანჩელოტი ამბობს, რომ „ინტერთან“ შეხვედრა მას ყველაზე ნაკლებად აღელვებს, რადგან მნიშვნელოვანი თამაში იუვენტუსელთათვის ყოველთვის დამატებითი სტიმულია.

„ტუტოსპორტში“ გამოქვეყნდა ფილიპო ინძაგის კომენტარიც: „რომაელებთან წაგების შემდეგ ყველაფერი შედარებით გართულდა. ამიერიდან ყოველი შეხვედრა ფინალურის ტოლფასი იქნება. უახლოესი მატჩი „ბოლონიასთან“ გვაქვს. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ამ გუნდის კარში ყოველთვის გამაქვს გოლები, ერთადერთი, რაზეც ვწუხვარ, ჩირო ფერარას არყოფნაა“.

იუვენტუსი ამ კვირაში

3 აპრილი, 1932: „იუვენტუსმა“ „ბარის“ 7:3 მოუგო და ზედიზედ ხუთი სკუდეტოდან მეორესკენ გაიკვალა გზა.

4 აპრილი, 1954: „იუვენტუსმა“, მილანში, „ინტერთან“ 0:6 წააგო, რაც კლუბის ისტორიაში სტუმრად უდიდესი მარცხი გამოდგა.

5 აპრილი, 1914: დაიბადა ფელიჩე ბორელი, ფეხბურთელი, რომელმაც 1933-34 წლების სეზონში „იუვენტუსის“ მეტოქეებს 32 გოლი გაუტანა.

6 აპრილი, 1997: „სან სიროზე“ „იუვენტუსმა“ „მილანს“ 6:1 მოუგო.

7 აპრილი, 1976: იუვენტუსელი მარკო ტარდელი იტალიის ნაკრებში პირველად ათამაშეს. ეს გახლდათ მატჩი პორტუგალიელთა წინააღმდეგ. მოგეხსენებათ, ტარდელი 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

8 აპრილი, 1979: „იუვენტუსი“ „ატალანტას“ 3:0-ს უგებს. სამივე გოლი პიეტრო ვირდისს გააქვს.

9 აპრილი, 1905: „იუვენტუსს“ იმ დღეს არ უთამაშია, მაგრამ სხვათა შედეგებმა ცხადყო, რომ ტურინელებს ვეღარავინ დაეწევა და ისინი 25-დან პირველ სკუდეტოს მოიპოვებენ.

უცნობი

ჯანლუკა ძამბროტა

23 წლის ჯანლუკა ძამბროტას შავ სათვალეს თუ გავუკეთებთ და ტყავის ქურთუკს მოვაცმევთ, არაა გამორიცხული გაგვახსენდეს კადრი რომელიმე იტალიური (თუნდაც ამერიკულ-იტალიური) მაფიოზური ფილმიდან. სავარაუდოდ ძამბროტა რომელიმე დონის მცველი უნდა იყოს, რომელსაც ფილმის დასრულებამდე 15-17 წუთით ადრე კაფედან გამოვარდნილი პიჯაკიანები საკუთარ მანქანასთან ან მოტოციკლეტთან მოკლავენ.

მაგრამ, ჯანლუკა ძამბროტას თუ შავ სათვალეს არ გავუკეთებს და ფანტაზიას თავს დავანებებთ, მაშინ ის „იუვენტუსის“ ახალი ფეხბურთელია, შედარებით უსახელო, ჯერაც უტიტულო, მაგრამ მწვრთნელის რჩეული და დინო ძოფის მიერ ნაკრებში გამოძახებული. დღეს 10 ამბავს გეტყვით მის შესახებ და გაგაცნობთ:

1. უცხოთათვის იგი სიტყვაძუნწი და თავშეკავებულია, იქნებ ცოტა მოსაწყენიც, ახლობლები კი ამბობენ, რომ ძამბროტა ურთიერთობაში უშუალოა და ხუმარა.

2. „იუვენტუსთან“ ერთად მოგზაურობისას ძამბროტა ზინედინ ზიდანთან ერთადაა სასტუმროს ოთახში. ზიდანი თავად სიტყვაძუნწია და, ხუმრობენ, მათი ოთახი ხანძრის შემდეგ მიტოვებულ გარეუბნის სახლს ჰგავსო.

3. ძამბროტას მეგობარ გოგონას ვალენტინა ჰქვია. ჯანლუკამ იგი თანაგუნდელის ქორწილში გაიცნო. ვალენტინა ნეაპოლელია, მაგრამ ხშირადაა ტურინში. თავისუფალ დროს წყვილი ჯანლუკა პესოტოსა და ალესანდრო ბირინდელის ოჯახებთან ერთად ატარებს.

4. ძამბროტას საყვარელი საქმიანობა მეგობრებთან ვახშმობა და რობერტ დე ნიროს მონაწილეობით (სასურველია მაფიაზე) ფილმების ნახვაა.

5. ძამბროტას ბავშვობაში, სანამ მთელ დროს პროფესიული ფეხბურთი წაართმევდა, ძალიან უყვარდა წიგნის კითხვა, მისი საყვარელი წიგნი ალესანდრო მანცონის „დანიშნული“ გახლავთ.

6. ფეხბურთამდე ძამბროტა ჭიდაობით იყო გართული, თუმცა შინ ერთადერთი პლაკატი ჰქონდა გაკრული — რობერტო ბაჯოს გამოსახულება „იუვენტუსის“ ფორმაში.

7. ძამბროტას დამთავრებული აქვს „საფეიქრო დიზაინის“ ინსტიტუტი. როგორც კომოში მიღებულია (ის წარმოშობით კომოდან არის), მისი და საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობს და ცხადია, ფეხბურთელის ცოლია. სიძე „იუვე სტაბიაში“ თამაშობს.

8. ძამბროტას მამა შვილის თამაშს მუდმივად უყურებს, ამაყობს და საშინლად აკრიტიკებს. როგორც კი დროს იხელთებს, ჯანლუკა კომოში, მშობლებთან ჩადის და ძველ მეგობრებსაც ხვდება.

9. მისი ჰობი 80-იანი წლების მუსიკა და წყლის თხილამურებია. ძალიან უყვარს ლუგანოსთან (შვეიცარია) ჩერესოს ტბაზე დასვენება.

10. თამაში „კომოში“ დაიწყო, შემდეგ „ბარის“ შემადგენლობაში სერია A-ში მოღვაწეობდა, სადაც ორი სეზონი დაჰყო და ბოლოს „იუვენტუსში“ ამოჰყო თავი.

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

წვიმის კაცები

ამასწინათ ერთ მკრეხელურ აზრს მოვკარი ყური: ინგლისური ფეხბურთის ცქერას შემოდგომის წვიმის ცქერა სჯობსო — ამბობდა ვიღაც საზიზღარი. ახლა, აღშფოთებული, შევეცდები საპირისპირო დავამტკიცო ანუ იმის თქმა მსურს, რომ წვიმის ცქერა ინგლისური თამაშის ცქერას არ სჯობს.

არგუმენტები:

პირველი — წვიმის წვეთები გაცილებით ნელა და ფრთხილად ცვივა, ვიდრე ინგლისის საფეხბურთო მოედნებზე მოთამაშეები დარბიან.

მეორე — ჩამოვარდნილი წვიმის წვეთი მიწიდან ვეღარ დგება, ინგლისის საფეხბურთო მოედანზე წაქცეული მოთამაშე კი ხელხემალშიც რომ იყოს გადატეხილი წამოხტება და კლუბის დიდი ისტორიის, ღერბის, ფანობის, მწვრთნელის, დედოფლის და იმპერიის სახელზე „პადკატს“ გააკეთებს.

მესამე — წვეთი უფანტაზიოა, ზევიდან ქვევით ვარდება, ინგლისის საფეხბურთო მოედნებზე კი ყველაფერი, ბურთით დაწყებული მოთამაშეებით დამთავრებული, ქვევიდან ზევით.

მეოთხე — ჩამოცვენილმა წვეთებმა მოსაწყენი მათემატიკური სიზუსტით იციან რა მანძილზე უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დაცილებულნი, ინგლისურ მოედნებზე შეცვენილ ფეხბურთელებს კი უმეტეს შემთხვევაში ამაზე მხოლოდ პირობითი წარმოდგენა აქვთ, რაც უთუოდ იმპროვიზაციასა და გამომგონებლობაზე მეტყველებს (იხ. „დერბი ქაუნთი“)

მეხუთე — ჩამოცვენილ წვეთებზე არავინ არაფერს წერს, ინგლისურ მოედნებზე შეცვენილ ფეხბურთელებზე კი დაუსრულებლად იწერება. იგივე ითქმის ტელევიზიაზე, რაც ჯამში უეჭველი მტკიცებაა იმისა, რომ ინტერესი ინგლისური ფეხბურთისადმი მეტია.

მეექვსე — წვეთებს ფულს არავინ უხდის, ინგლისური ფეხბურთი კი დიდი ხელფასებით გამოირჩევა. რა არის ეს თუ არა უპირატესობა პროფესიონალიზმში?

მეშვიდე — წვიმა, დიდი-დიდი, ერთი დღე ხმაურობს, ინგლისური ფეხბურთის ლიდერი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი უკვე ორი წელიწადია ღამე არ გვაძინებს.

მერვე — წვიმას შემოქმედებითი შემთხვევითობა არ ახასიათებს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში კი ლამაზ შემთხვევითობას დიდი როლი აკისრია. (იხ. 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის ვიდეოჩანაწერი)

მეცხრე — წვიმა ეროვნულ, რასობრივ, ტერიტორიულ და რელიგიურ ჩარჩოებშია ჩაკეტილი (თუ თბილისში წვიმს ეს ერევანს არ ეხება), ინგლისური ფეხბურთი კი ღია საზღვრებითაა მდიდარი (ინგლისური ფეხბურთი ეწოდება როგორც ტედი შერინგემს, ასევე გუსტავო პოიეტსა და სელესტინ ბაბაიაროს)

მეათე — წვიმა თოვლი არ არის, ენდი კოული კი ინგლისელია.

მეთერთმეტე — ინგლისური ფეხბურთი ოქტომბრის წვიმაზე გაცილებით ნაკლებ სევდიანი სანახაობაა.

პაპუნა ძიდია

ავტორი ფიქრობს, რომ ფიზიკური გადარჩენის მოსაზრებიდან გამომდინარე უახლოეს მომავალში იტალიური ფეხბურთის გამოქომაგებაც მოუწევს.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	40	27	7	6	75:36	88	15	2	3	35:13	12	5	3	40:23
ბარნსლი	40	22	8	10	80:57	74	14	3	3	44:19	8	5	7	36:38
სიტი	39	21	9	9	62:36	72	13	2	4	39:17	8	7	5	23:19
იფსვიჩი	40	20	12	8	60:38	72	13	3	4	33:17	7	9	4	27:21
ბირმინგემი	40	20	9	11	61:42	69	14	4	2	35:15	6	5	9	26:27
ჰადერსფილდი	40	19	10	11	59:40	67	14	4	2	43:16	5	6	9	16:24
ვულვზი	40	17	11	12	55:44	62	12	5	3	38:19	5	6	9	17:25
ბოლტონი	39	16	12	11	52:39	60	11	5	4	36:22	5	7	7	16:17
ბლეკბერნი	40	15	14	11	50:41	59	10	7	3	30:14	5	7	8	20:27
ფულემი	40	15	14	11	40:35	59	11	6	3	25:12	4	8	8	15:23
ქუინზ პარკი	40	13	16	11	52:47	55	7	11	2	25:18	6	5	9	27:29
ნორვიჩი	40	12	14	14	40:44	50	9	5	6	23:21	3	9	8	17:23
შეფილდ იუნ.	40	13	11	16	55:62	50	10	5	5	35:21	3	6	11	20:41
ტრანმერი	39	13	10	16	49:57	49	9	6	4	30:22	4	4	12	19:35
სტოკპორტი	40	11	14	15	43:57	47	7	8	5	28:27	4	6	10	15:30
გრიმსბი	40	13	8	19	38:62	47	10	6	4	25:22	3	2	15	13:40
კრ. პალასი	40	11	13	16	48:57	46	6	10	4	28:20	5	3	12	20:37
პორტსმუთი	40	12	9	19	48:57	45	8	5	7	31:21	4	4	12	17:36
ნოტინგემი	40	11	11	18	45:51	44	8	8	4	26:17	3	3	14	19:34
ქრიუ	40	11	8	21	37:56	41	7	5	8	21:25	4	3	13	16:31
ვესტ ბრომი	40	8	16	16	32:51	40	5	10	6	19:22	3	6	10	13:29
უოლსოლი	40	9	12	19	44:66	39	5	5	10	21:31	4	7	9	23:35
პორტვეილი	39	7	13	19	44:57	34	6	5	9	24:25	1	8	10	20:32
სუინდონი	40	6	11	23	30:67	29	3	6	11	18:34	3	5	12	12:33

ინგლისი. მეორე დივიზიონი

პრესტონი	40	24	10	6	66:33	82	13	3	4	33:21	11	7	2	33:12
უიგანი	39	20	15	4	64:30	75	13	3	4	34:13	7	12	0	30:17
როვერსი	40	22	9	9	63:37	75	12	6	2	30:15	10	3	7	33:22
მილუოლი	40	20	12	8	62:40	72	12	6	2	35:16	8	6	6	27:24
ბარნლი	39	19	13	7	54:36	70	13	3	3	34:16	6	10	4	20:20
ჯილინგემი	38	20	8	10	62:41	68	12	3	4	36:19	8	5	6	26:22
სტოკი	40	18	13	9	59:40	67	9	7	3	30:17	9	6	6	29:23
ნოტსი	40	18	10	12	56:44	64	9	5	6	29:22	9	5	6	27:22
ბრისტოლი	40	12	18	10	47:47	54	6	13	1	25:14	6	5	9	22:33
ლუთონი	40	15	8	17	55:58	53	10	5	5	38:31	5	3	12	17:27
ოლდემი	39	14	10	15	43:45	52	7	4	8	22:22	7	6	7	21:23
ბორნმუთი	40	15	6	19	51:55	51	10	4	6	31:16	5	2	13	20:39
რედინგი	40	13	12	15	47:57	51	8	8	4	23:15	5	4	11	26:42
ბრენტფორდი	40	13	11	16	43:51	50	8	5	7	24:25	5	6	9	19:26
უიკომბი	40	12	13	15	46:48	49	9	4	7	27:23	3	9	8	19:25
ბერი	39	11	15	13	52:52	48	7	8	5	33:29	4	7	8	19:23
რექსჰემი	40	12	11	17	45:56	47	6	6	8	20:24	6	5	9	25:33
კოლჩესტერი	40	13	8	19	52:72	47	9	3	8	29:34	5	5	10	23:38
კემბრიჯი	40	10	11	19	55:57	41	7	5	8	34:30	3	6	11	21:27
ოქსფორდი	40	11	7	22	37:65	40	5	4	11	20:35	6	3	11	17:30
კარდიფი	39	7	16	16	40:54	37	4	10	6	22:28	3	6	10	18:26
სკანთორპი	40	8	12	20	36:65	36	4	6	10	14:28	4	6	10	22:37
ბლეკპული	40	7	14	19	41:67	35	3	9	8	22:32	4	5	11	19:35
ჩესტერფილდი	39	5	12	22	25:52	27	4	7	9	14:19	1	5	13	11:33

ინგლისი. მესამე დივიზიონი

როტერჰემი	40	22	9	9	66:32	75	12	3	5	40:16	10	6	4	26:16
სუონსი	40	21	11	8	44:27	74	13	5	2	27:10	8	6	6	17:17
დარლინგტონი	39	20	11	8	60:31	71	12	7	0	38:11	8	4	8	22:20
ნორთჰემპტონი	39	19	7	13	51:40	64	14	2	4	31:14	5	5	9	20:26
პიტერბრო	39	18	10	11	55:49	64	12	4	4	34:26	6	6	7	21:23
ჩელტენემი	40	18	9	13	46:36	63	12	3	5	27:16	6	6	8	19:20
ბარნეტი	40	18	9	13	49:47	63	11	4	5	32:21	7	5	8	17:26
ჰარტლპული	40	18	8	14	52:44	62	14	1	5	28:15	4	7	9	24:29
პლიმუთი	40	15	16	9	50:40	61	11	9	0	36:16	4	7	9	14:24
ბრაიტონი	39	15	12	13	60:44	57	9	5	6	36:24	6	7	7	24:20
ტორკი	39	15	11	13	48:45	56	10	6	4	27:16	5	5	9	21:29
როჩდეილი	38	15	11	12	45:43	56	7	5	6	16:18	8	6	6	29:25
ლინკოლნი	40	14	13	13	65:60	55	10	5	5	36:21	4	8	8	29:39
მაკლსფილდი	40	15	10	15	56:54	55	8	6	6	30:26	7	4	9	26:28
მენსფილდი	40	16	7	17	48:55	55	9	5	6	31:22	7	2	11	17:33
ჰალი	40	12	14	14	38:36	50	6	8	6	23:17	6	6	8	15:19
საუთენდი	40	13	10	17	48:55	49	9	5	6	33:28	4	5	11	15:27
ჰალიფაქსი	40	13	9	18	36:47	48	6	5	9	19:20	7	4	9	17:27
ლეტონი	40	12	10	18	41:46	46	6	6	8	18:20	6	4	10	23:26
იორკი	40	10	13	17	36:51	43	6	8	6	19:21	4	5	11	17:30
ექსეტერი	40	10	9	21	41:64	39	7	5	8	23:28	3	4	13	18:36
კარლაისლი	39	8	10	21	40:69	34	6	6	7	22:24	2	4	14	18:45
შრიუსბერი	39	7	11	21	29:54	32	4	6	10	15:20	3	5	11	14:34
ჩესტერი	40	8	8	24	39:74	32	4	5	11	18:34	4	3	13	21:40

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	26	22	2	2	70:17	68	12	1	0	44:8	10	1	2	26:9
პანათინაიკოსი	26	21	4	1	69:18	67	12	1	0	41:4	9	3	1	28:14
ოფი	26	14	8	4	43:31	50	8	3	3	27:21	6	5	1	16:10
აეკ	26	13	5	8	46:33	44	8	0	4	23:11	5	5	4	23:22
არისი	26	11	7	8	39:32	40	7	5	1	26:12	4	2	7	13:20
ირაკლისი	26	12	4	10	46:44	40	10	0	3	30:16	2	4	7	16:28
პანიონიოსი	26	13	1	12	41:44	40	8	1	4	24:15	5	0	8	17:29
პაოკ	26	10	8	8	43:33	38	8	2	3	30:15	2	6	5	13:18
ქსანტი	26	10	8	8	29:29	38	9	4	1	22:8	1	4	7	7:21
იონიკოსი	26	8	10	8	31:36	34	6	5	2	19:9	2	5	6	12:27
პანლიაკოსი	26	9	4	13	32:36	31	7	1	5	21:16	2	3	8	11:20
ეთნიკოსი	26	8	4	14	23:38	28	7	2	4	19:13	1	2	10	4:25
პანაჰაიკი	26	6	9	11	27:36	27	6	2	6	20:16	0	7	5	7:20
კავალა	26	7	5	14	27:46	26	6	3	3	17:17	1	2	11	10:29
კალამატა	26	6	8	12	26:46	26	3	8	2	13:12	3	0	10	13:34
პატუდეფტიკი	26	4	7	15	20:39	19	3	6	5	12:17	1	1	10	8:22
ტრიკალა	26	4	6	16	24:54	18	2	5	5	12:17	2	1	11	12:37
აპოლონი	26	3	6	17	16:40	15	2	4	6	8:17	1	2	11	8:23

იტალია. სერია B

ვიჩენცა	29	15	6	8	52:31	51	11	2	1	34:10	4	4	7	18:21
ბრეშა	29	13	11	5	41:24	50	8	4	3	25:9	5	7	2	16:15
ატალანტა	29	13	8	8	39:28	47	10	3	2	28:14	3	5	6	11:14
ნაპოლი	29	12	10	7	40:33	46	8	5	1	24:12	4	5	6	16:21
სამპდორია	29	12	10	7	33:27	46	6	6	2	17:12	6	4	5	16:15
სალერნიტანა	29	11	9	9	43:41	42	9	4	1	27:12	2	5	8	16:29
ტრევზო	29	11	7	11	39:36	40	10	3	1	30:13	1	4	10	9:23
ჟენოა	29	11	6	12	35:32	39	9	4	2	26:12	2	2	10	9:20
კოზენცა	29	9	12	8	26:26	39	8	4	3	15:9	1	8	5	11:17
კიევო	29	10	9	10	36:37	39	7	6	2	21:14	3	3	8	15:23
რავენა	29	9	11	9	29:27	38	7	5	2	16:6	2	6	7	13:21
ჩეზენა	29	8	13	8	37:34	37		8	0	25:11	1	5	8	12:23
პესკარა	29	7	15	7	42:37	36		5	4	25:17	2	10	3	17:20
ალბანო	29	9	8	12	26:35	35	8	2	4	18:17	1	6	8	8:18
ემპოლი	29	9	8	12	28:44	35	9	3	2	19:15	0	5	10	9:29
ტერნანა	29	7	13	9	29:37	34	4	8	2	17:16	3	5	7	12:21
პისტოიეზე	29	9	8	12	27:32	31	8	4	3	17:10	1	4	9	10:22
მონცა	29	5	16	8	28:34	31	4	11	0	14:10	1	5	8	14:24
სავოია	29	6	9	14	28:43	27	5	7	3	18:15	1	2	11	10:28
ფერმანა	29	5	9	15	26:46	24	5	5	5	16:18	0	4	10	10:28

მეორე ბუნდესლიგა

კიოლნი	25	14	7	4	49:22	49	9	4	0	36:9	5	3	4	13:13
ბოხუმი	25	13	5	7	41:34	44	9	0	4	28:19	4	5	3	13:15
კოტბუსი	25	13	3	9	46:30	42	9	1	2	28:11	4	2	7	18:19
გლადბახი	25	10	9	6	40:30	39	8	2	3	27:13	2	7	3	13:17
ნიურნბერგი	24	11	6	7	39:37	39	9	3	0	28:12	2	3	7	11:25
ალემანია	25	10	9	6	35:37	39	6	4	2	20:12	4	5	4	15:25
ბერლინი	25	9	10	6	33:29	37	7	4	2	20:12	2	6	4	13:17
ვალდჰოფი	25	8	11	6	35:33	35	7	4	1	23:14	1	7	5	12:19
მაინცი	25	7	10	8	31:30	31	5	6	1	16:7	2	4	7	15:23
ჰანოვერი	25	8	7	10	36:38	31	5	4	3	21:16	3	3	7	15:22
ობერჰაუზენი	25	7	10	8	26:28	31	5	6	2	18:14	2	4	6	8:14
ფიურტი	25	6	12	7	25:29	30	2	10	1	8:6	4	2	6	17:23
ზტ. პაული	25	6	11	8	25:30	29	3	8	2	12:11	3	3	6	13:19
ქემნიცი	24	7	7	10	30:35	28	5	4	2	22:13	2	3	8	8:22
ოფენბახი	25	5	10	10	24:36	25	5	3	5	16:17	0	7	5	8:19
კიკერსი	25	6	6	13	35:48	24	6	3	4	22:21	0	3	9	13:27
ფორტუნა	25	4	11	10	21:34	23	4	6	2	13:12	0	5	8	8:22
კარლსრუე	25	3	10	12	28:39	19	2	5	5	10:12	1	5	7	18:27

უკრაინა

დინამო	18	16	2	0	46:8	50	11	0	0	34:4	5	2	0	12:4
კრივბასი	18	11	5	2	35:19	38	7	3	0	19:8	4	2	2	16:11
შახტარი	18	11	2	5	29:9	35	7	2	1	18:2	4	0	4	11:7
ვორსკლა	18	10	4	4	37:18	34	7	2	1	26:6	3	2	3	11:12
ზაპოროჟიე	18	8	5	5	24:18	29	6	2	1	17:9	2	3	4	7:9
მეტალისტი	18	8	3	7	25:23	27	6	2	0	15:5	2	1	7	10:18
მარიუპოლი	18	8	1	9	29:26	25	8	0	2	24:10	0	1	7	5:16
მეტალურგი	18	6	6	6	22:21	24	5	1	2	17:10	1	5	4	5:11
კარპატი	18	8	0	10	27:27	24	7	0	1	20:3	1	0	9	7:24
პრიკარპატია	18	5	6	7	15:24	21	4	3	2	11:8	1	3	5	4:15
დნიპრო	18	5	5	8	16:33	20	5	3	2	10:8	0	2	6	6:25
ცსკა	18	4	7	7	18:21	19	3	3	2	9:6	1	4	5	9:15
ტავრია	18	4	4	10	21:33	16	2	2	4	10:15	2	2	6	11:18
ნივა	18	3	6	9	23:37	15	3	3	3	15:14	0	3	6	8:23
ჩორნომორეცი	18	4	3	11	8:32	15	3	1	4	5:7	1	2	7	3:25
ზირკა	18	0	7	11	9:35	7	0	6	2	7:12	0	1	9	2:23

ჩეხეთი

სლავია	23	19	4	0	43:11	61	11	1	0	28:6	8	3	0	15:5
სპარტა	23	18	3	2	60:19	57	10	1	0	36:6	8	2	2	24:13
დრნოვიეცე	23	12	4	7	31:21	40	8	1	2	16:3	4	3	5	15:18
ტეპლიცე	23	8	7	8	33:33	31	7	3	1	20:9	1	4	7	13:24
ბოჰემიანსი	23	8	7	8	19:20	31	6	2	4	12:7	2	5	4	7:13
ბლშანი	23	9	3	11	22:36	30	8	0	4	13:12	1	3	7	9:24
ბრნო	23	8	5	10	25:28	29	7	3	2	20:10	1	2	8	5:18
ლიბერეცი	23	6	10	7	14:16	28	4	5	3	6:5	2	5	4	8:11
ბანიკი	23	6	9	8	34:36	27	4	6	2	23:18	2	3	6	11:18
დუკლა	23	7	6	10	23:31	27	6	3	2	17:11	1	3	8	6:20
ბუდეიოვიცე	23	8	3	12	26:35	27	7	1	3	18:9	1	2	9	8:26
სიგმა	23	5	11	7	25:30	26	3	6	3	15:14	2	5	4	10:16
ვიკტორია	23	6	7	10	30:37	25	5	5	1	21:15	1	2	9	9:22
ოპავა	23	5	8	10	26:29	23	5	5	1	18:9	0	3	9	8:20
ჰ. კრალოვე	23	3	10	10	17:28	19	2	6	4	9:12	1	4	6	8:16
იაბლონეცი	23	4	7	12	17:35	19	4	4	3	15:12	0	3	9	2:23

დანია

ჰერფიოლგე	22	13	4	5	38:30	43	9	1	2	26:15	4	3	3	12:15
ბრონდბიუ	22	10	6	6	38:25	36	7	3	1	24:10	3	3	5	14:15
ლიუნგბიუ	22	11	3	8	36:30	36	8	0	4	25:15	3	3	4	11:15
სილეიბორგი	22	9	7	6	38:22	34	6	4	1	21:7	3	3	5	17:15
აკადემისკი	22	9	7	6	34:27	34	4	4	3	18:13	5	3	3	16:14
ვიბორგი	22	9	5	8	31:32	32	4	3	3	14:13	5	2	5	17:19
ოლბორგი	22	7	10	5	32:25	31	6	2	3	19:11	1	8	2	13:14
კოპენჰაგენი	22	8	4	10	28:23	28	5	2	3	12:8	3	2	7	16:15
ოდენსე	22	5	9	8	19:28	24	1	6	4	8:16	4	3	4	11:12
ორჰუსი	22	5	6	11	21:36	21	3	3	4	12:14	2	3	7	9:22
ესბიერგი	22	6	3	13	24:40	21	3	3	5	11:11	3	0	8	13:29
ვაილე	22	3	10	9	24:45	19	1	6	5	13:27	2	4	4	11:18

შოტლანდია

რეინჯერსი	28	21	6	1	79:21	69	13	1	1	43:10	8	5	0	36:11
სელტიკი	27	17	2	8	74:32	53	9	1	3	44:13	8	1	5	30:19
ჰართსი	28	11	8	9	39:33	41	5	5	3	20:13	6	3	6	19:20
მოზერუელი	27	10	9	8	37:48	39	5	2	6	19:30	5	7	2	18:18
ჰიბერნიანი	29	9	9	11	41:47	36	6	5	5	26:24	3	4	6	15:23
სტ. ჯონსტონი	29	8	9	12	28:35	33	4	6	5	14:15	4	3	7	14:20
დანდი იუნ.	27	9	6	12	28:43	33	6	4	4	15:16	3	2	8	13:27
დანდი	28	8	4	16	33:54	28	1	3	9	11:28	7	1	7	22:26
კილმარნოკი	28	4	13	11	30:39	25	2	5	6	11:17	2	8	5	19:22
აბერდინი	27	6	6	15	32:69	24	4	4	6	20:32	2	2	9	12:37

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

ლეიდა	33	15	7	11	52:40	52	9	4	3	28:13	6	3	8	24:[illegible]
ესტრემადურა	33	14	10	9	37:32	52	11	6	0	27:7	3	4	[illegible]	[illegible]
სალამანკა	33	14	9	10	43:34	51	8	4	4	23:12	6	5	6	20:22
ლას პალმასი	33	13	11	9	43:33	50	6	6	4	21:14	7	5	5	22:19
ვილიარეალი	33	13	10	10	44:36	49	8	5	4	23:17	5	5	6	21:19
ტენერიფე	33	13	10	10	42:36	49	9	6	2	30:15	4	4	8	12:21
კორდობა	33	13	10	10	39:33	49	10	1	5	24:18	3	9	5	15:15
ლევანტე	33	12	13	8	44:41	49	9	6	2	27:13	3	7	6	17:[illegible]
ოსასუნა	33	15	4	14	33:30	49	9	2	5	19:10	6	2	9	14:[illegible]
სპორტინგი	33	14	6	13	43:39	48	8	3	6	24:18	6	3	7	19:21
ლეგანესი	33	13	10	10	37:37	46	8	5	3	18:8	5	5	7	19:29
მერიდა	33	11	12	10	32:31	45	6	6	4	18:13	5	6	6	14:18
ეიბარი	33	11	12	10	39:41	45	7	6	4	21:16	4	6	6	18:25
ალბასეტე	33	11	11	11	38:43	44	6	6	4	19:17	5	5	7	19:26
ბადახოსი	33	8	19	6	27:27	43	4	9	4	16:18	4	10	2	11:9
ელჩე	33	10	13	10	37:41	43	6	8	3	21:20	4	5	7	16:21
ხეტაფე	33	12	6	15	33:37	42	8	3	6	21:17	4	3	9	12:20
ატლეტიკო B	33	10	8	15	34:44	38	5	4	7	21:22	5	4	8	13:22
ლოგრონიესი	33	9	9	15	43:47	36	6	6	4	26:22	3	3	11	17:25
კომპოსტელა	33	8	12	13	37:44	36	5	5	6	20:18	3	7	7	17:26
უელვა	33	8	9	16	33:45	33	4	5	8	21:24	4	4	8	12:21
ტოლედო	33	7	7	19	25:44	28	6	3	8	17:18	1	4	11	8:26

პორტუგალია

სპორტინგი	28	19	7	2	47:19	64	12	3	0	30:9	7	4	2	17:10
პორტუ	28	18	6	4	52:19	60	13	1	0	34:7	5	5	4	18:12
ბენფიკა	28	17	6	5	45:25	57	12	2	0	29:8	5	4	5	16:17
გიმარაეში	28	14	4	10	42:30	46	12	1	2	29:10	2	3	8	13:20
ჟილ ვისენტე	28	12	8	8	38:27	44	8	3	2	25:9	4	5	6	13:18
მარიტიმუ	28	11	9	8	32:28	42	7	6	1	16:6	4	3	7	16:22

დღეიდან „სარბიელი“ იწყებს ცნობილი კალათბურთელის და მწვრთნელის ვალერი ალთაბაევის წერილების სერიალს. ბატონი ვალერის ნაბრძოლებში ბევრი რამ იქნებ ანბანურ ჭეშმარიტებასთან მიახლოებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ საშუალოზე, დღევანდელ ქართულ სპორტში ბანალურის ხელახლა სწავლაც საჭირო გაგვიხდა.

ამგვარი წერილი ერთგვარი სიახლეცაა ჩვენი გაზეთისთვის და, ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს როგორც მკითხველებს, ასევე კალათბურთში მოსაქმიანებსაც.

საკალათბურთო კონსპექტი

ვალერი ალთაგაევი
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი

დინამიური, ემოციური, სასარგებლო

კალათბურთის არსი, უბრალო და ყველასთვის კარგად ცნობილი: ერთმანეთის წინააღმდეგ მოთამაშე ორი გუნდიდან თითოეული მეტოქის კალათში რაც შეიძლება მეტი ბურთის ჩაგდებას ცდილობს; ამავდროულად, საკუთარ კალათში მეტოქისგან რაც შეიძლება ნაკლები ბურთის მიღებას ესწრაფვის.

კალათბურთის პოპულარობას მისი დინამიურობა განაპირობებს. მატჩის განმავლობაში სათამაშო სიტუაცია განუწყვეტლივ იცვლება. ამის გამო იცვლება გუნდების ფუნქციები. შემტევი გუნდი ბურთის დაკარგვისთანავე გადადის დაცვაში, ხოლო ბურთს დაუფლებული გუნდი ცდილობს მეტოქის დაცვის გარღვევას. სხვა სათამაშო სახეობებისგან განსხვავებით, ცვლილებები წამებში ხდება ხან ერთ, ხან მეორე ფართან. ეს მაყურებელს მუდმივად ემოციურ მდგომარეობაში ამყოფებს.

შეტევისა და დაცვის სხვადასხვა ელემენტების შესრულების ტექნიკა მეტად საინტერესოა, ხოლო თუ ამას მაღალი დონის კალათბურთელი აკეთებს — სანახაობრივადაც სასიამოვნო. გარდა ამისა, კალათბურთში ვარჯიში ხელს უწყობს ორგანიზმის მრავალმხრივ ფიზიკურ განვითარებას. ბუნებრივი მოძრაობები — სირბილი, ხტომა, ბურთის სროლა და პასი ზრდის სახსრების მოძრავუნარიანობას, ავითარებს კუნთებს, ამყარებს ნერვულ სისტემას, აწესრიგებს გულსისხლძარღვთა და სასუნთქი გზების მუშაობას. სირბილისა და ნახტომების მრავალფეროვნება ინტენსიურად ტვირთავს შინაგან ორგანოებს, კერძოდ, გულის კუნთს.

დადასტურებულია, რომ ნავარჯიშევი მოთამაშის მაჯისცემის აღდგენა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე უვარჯიშებლის. კალათბურთი შესანიშნავად ავითარებს მოძრაობის კოორდინაციას, რაც თავის მხრივ აძლიერებს ფსიქიკას.

ღია მოედანი — დარბაზი — ღია მოედანი

ადრე კალათბურს უფრო ხშირად ღია ცის ქვეშ თამაშობდნენ. მას შემდეგ, რაც კალათბურთმა ღია მოედნიდან დარბაზში გადაინაცვლა, მან ბევრიც მოიგო და ბევრიც დაკარგა. პირველ რიგში, დაკარგა ის სიმარტივე, რომელიც თამაშს ანიჭებდა და უნარჩუნებდა მასობრივ ხასიათს. დარბაზში ყველაფერი გათვლილია, იქ არსებობს მეცადინეობათა განრიგი. ამდენად, დარბაზში სათამაშოდ ან სავარჯიშოდ შენი სურვილის, შენი თავისუფალი დროის მიხედვით ვერ მიხვალ.

მიმაჩნია, რომ კალათბურთს პოპულარობას დაუბრუნებს ღია ცის ქვეშ გამართული ტურნირები. საქართველოს ბუნებრივი პირობები იძლევა საშუალებას, ამგვარი შეჯიბრებები წელიწადში 8-9 თვის განმავლობაში გავმართოთ. ეს ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის განვითარების დიდ პერსპექტივას გვისახავს.

მთელს მსოფლიოში პოპულარულია ქუჩის კალათბურთი, იგივე სტრიტბოლი. ჩემი აზრით, ამ თამაშის პოპულარიზაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში დიდი კალათბურთის განვითარების საქმეში. სტრიტბოლი გახლავთ მწვრთნელის მიერ ვარჯიშზე ნაჩვენები თუ ნასწავლი ელემენტის დახვეწის და ძვალრბილში გაჯდომის ჩინებული საშუალება. თუკი ბავშვი სტრიტბოლს თამაშობს, იგი უფრო ადვილად იმეორებს და იმახსოვრებს ვარჯიშზე ნასწავლ ელემენტს.

ჩვენ ჩავატარეთ სტრიტბოლში ექსპერიმენტული შეჯიბრება. წესები ოდნავ შეცვლილი იყო.

— თამაში მიმდინარეობს ცალ ფარზე, ორი ათწუთიანი ტაიმი.

— მოედანზე თითო გუნდიდან სამი კაცია. სულ კი განაცხადში ხუთი კალათბურთელია.

— ნებადართულია ორი პერსონალური ჯარიმა. მესამის მიღების შემთხვევაში მოთამაშე მოედანს ტოვებს.

— თუკი გუნდს ერთი მოთამაშე დარჩება, მაშინ წაგება ჩაეთვლება.

— შეცვლა შეუძლია გააკეთოს მხოლოდ იმ გუნდმა, რომელიც იმ მომენტში ფლობს ბურთს.

— შეტევისთვის განკუთვნილია 20 წამი.

— თუ გუნდი ჩააგდებს ბურთს, მომდევნო შეტევის უფლებაც მას ეძლევა.

— ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულს საჯარიმო სროლები გამოავლენს. საჯარიმოებს გუნდის ყველა წევრი ესვრის.

— დანარჩენი წესები დიდი კალათბურთიდანაა.

აღსანიშნავია, რომ ამნაირი სტრიტბოლი დინამიურობით და დაძაბულობით მკვეთრად განსხვავდება დიდი კალათბურთისგან. ჩაგდების შემდეგ ბურთის ჩამგდები გუნდისთვის დატოვების წესი დროის უმცირეს მონაკვეთში დიდი სხვაობის გაბათილების საშუალებას იძლევა. პერსონალური ჯარიმების რაოდენობის შემცირება აიძულებს მოთამაშეს, უფრო ყურადღებით იყოს დაცვაში. შემოკლებული ტაიმების წყალობით დღეში ძალიან ბევრი თამაშის გამართვა შეიძლება. ამდენად, შესაძლებელია მრავალგუნდიანი ტურნირების მოწყობა, რისთვისაც ორიოდ დღეც საკმარისი იქნება. ეს ფაქტორი კი ძალიან მნიშვნელოვანია ადგილებზე კალათბურთის პოპულარიზაციისთვის.

დაცვაში თამაშისას გვახსოვდეს!

დაცვაში თამაშისას კალათბურთელს უნდა ახსოვდეს: მოთამაშეთა 90 პროცენტი მემარჯვენეა. სროლისთვის მზადების მომენტში შემტევი (თუკი ის მემარჯვენეა) ოდნავ მარჯვნივ იწევს. ამდენად, გამართლებული მგონია დამცველის ამგვარი დგომი: ფეხები ნახევრადმოხრილია, მარცხენა ფეხი ოდნავ წაწეულია, მარცხენა ხელი კი შემტევს სროლაში ხელს უშლის.

დგომი ისე უნდა შეირჩეს, რომ შემტევმა მარცხნივ გადაიწიოს. დამცველმა მარცხენა ხელი იმიტომ უნდა ასწიოს, რომ, უკვე ვთქვით, შემტევთა 90 პროცენტი მემარჯვენეა (ცაცას წინააღმდეგ, ცხადია, მარჯვენა ხელით უნდა იბუშავო). დამცველის ამოცანაა, არ გააკეთებინოს შემტევს ზუსტი პასი და აიძულოს იგი ესროლოს მისთვის უხერხული მდგომარეობიდან.

დაცვაში მოთამაშეს არ უნდა დავიწყდეს: აუცილებელია დასწრებაზე თამაში, ანუ შემტევის წინააღმდეგ აგრესიულობა... როცა დამცველი პასიურია და სარკისებურად იმეორებს შემტევის მოძრაობებს, მაშინ იგი განწირულია, იგი ყოველთვის დაიგვიანებს. აუცილებელია შემტევის წონასწორობიდან გამოყვანა ცრუ მოძრაობით, უნდა აიძულო იგი, თავისი მოძრაობა შენს მოძრაობას დაუქვემდებაროს.

გაგრძელება იქნება

ტყუილად ჩამოვიდე და სკამზე დავჯდე?

დავით ბერძენიშვილმა მხარი კვლავ დაიზიანა



ბურთს დოლოდაბერეს ფოტო

დავით ბერძენიშვილი

მიმდინარე სეზონი ძალიან უიღბლო გამოდგა დავით ბერძენიშვილისთვის. საქართველოს ნაკრებისა და სლოვაკური „ლევიცეს“ ცენტრმა თავიდანვე ურთულესი ტრავმა მიიღო და ცხადი გახდა, წლეულს მთელი ძალით ველარ ითამაშებდა.

ეროვნული გუნდის თავკაცთა იმედის, ვინძლო „ბერძენა“ მაისისთვის მაინც მომჯობინდეს და ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეეშველოსო, ნელ-ნელა გაქრა. ხელმტკივანი დათო ახლა „ლევიცეს“ შემადგენლობაშიც იშვიათად ჩნდება. ბუნებრივია, მისი ნაკრებში ჩამოსვლის შანსებიც მიზერული გახდა...

— დავითარსე, სხვა რა შეიძლება დავარქვა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ძლივს ფორმაც აღვიდგინე და...

— რა შეგემთხვა?

— ძალიან მაწუხებს ხელი. ამას წინათ თამაშისას წავიქეცი და ძველებური ტკივილი ვიგრძენი. სულ ექიმებში ვარ, ახლაც იქიდან მოვდივარ, ამ წუთას შემოვედი.

— რაო, რას გეუბნებიან?

— ველარ გავიგე, ზოგი რას იძახის, ზოგიც — რას. ხომ იცით, მხარში რკინა მიდევს. ახლა მითხრეს, არასწორად გაქვს ჩადგმული. აღარ ვიცი, რა ვქნა.

— ხელმეორედ ხომ არ დაგჭირდება ოპერაცია?

— ოპერაცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავიკეთო, რკინა უნდა ამოშიღონ.

— ამას მაისისთვის აპირებდი...

— ასეა, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ იქნებ აღარც დაველოდო მაისს, რაც ადრე მოვიშორებ, ჩემთვის უკეთესია, როდემდე უნდა ვიყო ასე?

— სლოვაკურ ჩემპიონატში საერთოდ აღარ თამაშობ?

— ძალიან იშვიათად, მატჩის ბედი რომ გადაწყდება, მერედა შევყავარ მწვრთნელს. თან მაფრთხილებს, ორთაბრძოლებს მოერიდე, ტრავმა არ გაირთულოო. პრინციპულ თამაშებში საერთოდ აღარ მაყენებს, ერთ ან ორ წუთს თუ მათამაშებს, ვინმე რომ დავასვენო. დღეს ბრატისლავის „ინტერს“ ვხვდებით და არა მგონია, მოედანზე გარეკამ მომიწიოს.

— „ლევიცეს“ როგორ მისდის საქმეები?

— ამჟამად მეოთხეზე ვართ, „ჟილინა“ მოგვდევს ფეხდაფეხ, ჩვენ შორის ერთი ქულაა სხვაობა.

— კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილია შედეგით?

— ახლა სლოვაკეთში ექვსეულის თამაშები მიმდინარეობს. ეს მეორე წრეა, სულ კი ოთხ წრედ უნდა ჩატარდეს. ასე რომ, შედეგზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. ექვსეულები 10 მაისს მთავრდება, მერე რა მოხდება, ღმერთმა უწყის.

— ადრე ამბობდი, მიზნად სამეულში მოხვედრა დაგვისახესო...

— ასე იყო, მაგრამ, ვფიქრობ, გაგვჭირდება. ჩემს გარდა ბევრი წამყვანი მოთამაშეა ტრავმირებული. ახლა მწვრთნელები იმასაც ამბობენ, კალათბურთელები უცხოეთიდან ხომ არ მოვიწვიოთო.

— დათო, ნაკრებზე რაღას იტყვი? გამოდის, გამორიცხულია შენი ეროვნულ გუნდში ჩამოსვლა...

— აქაურებთან მოლაპარაკებულიც ვიყავი და დავითანხმე კიდეც. ვუთხარი, მაისში ნაკრებში უნდა წავიდე, რომ ჩამოვალ, რკინას მერე ამოვიღებ-მეთქი. ახლა ამას აზრი აღარა აქვს. ვგრძნობ, რომ არ შემიძლია თამაში, ტყუილად ჩამოვიდე და სკამზე დავჯდე, ნამდვილად არ მსურს. ჯობს, ისევ სხვამ ითამაშოს ჩემს ნაცვლად, ჯანმრთელი ვინც იქნება.

გიორგი ბიკაშვილი

საფრანგეთი

დარჩა ორი ადგილი

XXIX ტური

ლიმოჟი — სტრასბური 63:66, ნანსი — შოლე 68:56, შამპანი — ევრე 102:86, ბეზანსონი — ლე მანი 86:76, პარი სენ ჟერმენი — საონი 75:71, მონპელიე — ვილერბანი 59:101, დიჟონი — ანტიბი 92:64, პო ორტეზი — გრაველინი 66:47

საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლოსწინა ტური სამშაბათს გაიმართა და პლეი ოფის მონაწილე კიდევ ერთი გუნდი გამოვლინდა. „სტრასბურმა“ სტუმრად კორაჩის თასის მომგებ „ლიმოჟს“ აჯობა და საუკეთესო რვა გუნდში დაიბევა ადგილი, რადგან ბოლო ტურში ორი მისი მდევარი — „ლე მანი“ და „დიჟონი“ — ერთმანეთს ხვდება. მეოთხედფინალის ბოლო ორი საგზურის ბედი კი ბოლო ტურში გადაწყდება.

„ამ გამარჯვებით პლეი ოფში მონაწილეობა გავინაღდეთ. ეს ჩვენი თამაშით დავიმსახურეთ და არა წაგებით. ძალიან ვამაყობ მთელი გუნდით. ახლა ბოლო ტურში „გრაველინთან“ რევანშის აღებას შევეცდებით პირველ წრეში დამარცხებისათვის“ — თქვა „სტრასბურის“ მთავარმა მწვრთნელმა ფრედერიკ ვიტუმ.

ლიმოჟში გამართული მატჩი მშვენიერი სანახავი იყო. იგი თანაბარ, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა. დასაწყისში მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი მათი კაპიტანი იან ბონატო იყო, სტუმართაგან კი ფორტი გამოირჩეოდა შეტევებში. გამოკვეთილი უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა. თამაში, რომ იტყვიან, ქულა ქულაში მიდიოდა. მე-10 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 16:16. ამას მერე სტრასბურელებმა დაცვა გააძლიერეს და ხუთ წუთში სამქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს — 23:20.

„ბობლანში“ თავმოყრილი ქომაგების მიერ გამხნევებული ლიმოჟელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და ჩამორჩენაც აღმოფხვრეს, მაგრამ ფორტმა სამქულიანი ხაზის გარედან ორჯერ შეასრულა ტყორცნა ზუსტად და შესვენებაზე „სტრასბური“ ოთხი ქულით დაწინაურებული გავიდა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს. ლიდერობა უილიამსმა იკისრა, ზედიზედ რამდენიმე ბურთი ჩააგდო და თავისიანები წინ გაიყვანა — 38:36. თუმცა არც მეტოქე იყო გულხელდაკრეფილი. ვაიტისა და ლოტიენის დაჭერა კორაჩის თასის გამარჯვებულებს ერთობ უჭირდათ და 32-ე წუთზე კვლავ „სტრასბური“ დაწინაურდა — 52:49. ლიმოჟელები თითქოს დაიღალნენ და ვაიტის ზუსტი სროლის შემდეგ მოწინააღმდეგეს 6 ქულით ჩამორჩნენ (55:61, 36-ე წუთზე). თუმცა მატჩის ბოლო წუთებმა მაინც მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა და მათმა ამერიკელმა ლეგიონერმა ბრაუნმა საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 63:63, მაგრამ საბოლოოდ მაინც „სტრასბურმა“ იმარჯვა.

ევროლიგის მეოთხედფინალში თურქულ „ეფესთან“ დამარცხებულმა „ვილერბანმა“ „მონპელიე“ გააცამტვერა. მართალია, მასპინძლებს ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ასე სამარცხვინოდ დამარცხება მარტო ამას ვერ დაბრალდება. ბენიოს შეგირდებმა მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს და ჩემპიონატის ერთ-ერთ მაჩაჩალას უკვე პირველი ტაიმის შემდეგ 27 ქულას უგებდნენ (54:27), მეორეში კი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „საონისა“ და „ლე მანის“ მარცხები შესაბამისად პარიზსა და ბეზანსონში, რითიც მათ დიდად გაირთულეს პლეი ოფში მოხვედრის საქმე.

პრო A-ს კი წლეულს ან „მონპელიე“ დატოვებს და ან „ევრეს“ მძლეველი „შამპანი“. ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, რომელიც 15 აპრილს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: პო ორტეზი — ბეზანსონი, ლე მანი — დიჟონი, ანტიბი — შამპანი, ევრე — მონპელიე, ვილერბანი — ნანსი, შოლე — პსჟ, საონი — ლიმოჟი, სტრასბური — გრაველინი

ვილერბანი	29	23	6	2253:1962	52
ლიმოჟი	29	20	9	2164:1994	49
პო ორტეზი	29	20	9	2172:2078	49
პსჟ	29	18	11	2135:1910	47
შოლე	29	18	11	2171:2083	47
სტრასბური	29	17	12	2084:2061	46
საონი	29	16	13	2149:2014	45
დიჟონი	29	16	13	2216:2122	45
ლე მანი	29	16	13	2169:2112	45
ნანსი	29	13	16	2021:2059	42
ბეზანსონი	29	12	17	2134:2163	41
ევრე	29	10	19	2088:2215	39
ანტიბი	29	10	19	1941:2172	39
გრაველინი	29	9	20	2032:2274	38
შამპანი	29	7	22	2025:2222	36
მონპელიე	29	7	22	1978:2291	36



AFP ლიმოჟიდან

ლიმოჟი — სტრასბური 63:66. ლიმოჟელი მარკუს ბრაუნი (ბურთით) დავიდ ლემონის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

მაშ, ბომბარდირი არა ვარ?!

4 აპრილი

სიეტლი 106:93 დენვერი

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 13 პასი), ბერი (15), პატერსონი (10), ბეიკერი (7), გრანტი (26 ქულა, 12 მოხსნა); მაკკოი (12), ლუისი (8), მაქსველი (5), ფოსტერი (2)

დენვერი: ვან ექსელი (6 ქულა, 10 პასი), პოუზი (13), მაკდაიესი (17 ქულა, 15 მოხსნა), კლარკი (10), ლაფრენცი (6); მაკლაუდი (28), ჰერენი (12), გეტლინგი (1), როჯერსი

„ხალხმა შეიძლება ჩემზე თქვას, რომ მე კარგი დამცველი ვარ, ან ჩინებული მომხსნელი, მაგრამ ჩემს ბომბარდირულ თვისებებზე კრინტიც არავის დაუძრავს. ამ ბოლო წლებში არ ყოფილა შემთხვევა, მთლიანად გუნდს ჩემზე აეწყოს თამაში შეტევაში. ამ სალამოს ყველაფერი პირიქით იყო. რამდენიმე ბურთი ავაცილე, რომლებიც წესით უნდა ჩამეგდო, მაგრამ ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია და ამაში ძლიერ დამეხმარნენ თანაგუნდელები, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ“ — „დენვერთან“ 4 აპრილს გამართული შეხვედრა მიმდინარე სეზონში მართლაც რომ საუკეთესო იყო „სიეტლის“ ცენტრისთვის, ჰორას გრანტისთვის. 35 წლის გრანტმა, როგორც ჩანს, ახალგაზრდობა გაიხსენა. ფარი ისე დაიპყრო, როგორც ამას „ჩიკაგოში“ ყოფნისას აკეთებდა და სეზონში ყველაზე მეტ, 26 ქულას და 12 მოხსნას მოუყარა თავი. მატჩის შემდეგ კი დარბაზში მყოფთა მქუხარე ალოდისმენტები დამსახურა. რაც შეეხება აცილებულ სროლებს, გრანტმა თავმდაბლობა გამიჩინა, რადგან მთელი თამაში მშვენივრად ესროდა. 17-დან 13 ჩააგდო და სულ ოთხჯერ ვერ უწია მიზანს. იგივეს ვერ დაიტრაბახებს მისი მეწყვილე თავდასხმის ხაზში ვინ ბეიკერი, რომელსაც სროლები არ წაუვიდა, პირველი შვიდი აცილა. გრანტმა კი პირველი ათი სროლიდან ყველა ჩააგდო. გუნდის ლიდერმა, გამთამაშებელმა გერი პეიტონმა რომ შეატყო, გრანტს თამაში წაუვიდო, პასები არ მოაკლო. ივარგა გრანტის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა ყმაწვილმა ჯელანი მაკკოიმაც, რომლის 12 ქულა ასევე საუკეთესოა მისთვის მიმდინარე სეზონში. ამასთან მაკკოიმაც შესაშური სიზუსტე გამიჩინა, ექვსი სროლიდან ყველა ჩააგდო.

მასპინძელთა ამ ორი მაღლის გაღაღების ფონზე, ქართველ გულშემატკივართათვის არცთუ სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ „სიეტლის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას ერთი წამიც არ უთამაშია. იჯდა ვოვა სათადარიგოებში და მთელი მატჩის განმავლობაში მოწყენილი შეჰყურებდა, თუ როგორ არბევდნენ მისი (კონკურენტი) თანაგუნდელები მეტოქის კალათს. როგორც ჩანს, „სიეტლის“ მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა კვლავ აითვალწუნა სტეფანია და ერთ-ერთ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრილი პირველი ქართველი ამ სეზონში სკამზე ჯდომისთვის გაწირა. სტეფანია მოედანზე საშუალოდ შვიდ წუთსაც არ ატარებს (ნათამაშებ მატჩში), რაც ორჯერ ნაკლებია წინა, მისთვის პირველ პროფესიულ სეზონთან შედარებით. შესაბამისად, მისმა შედეგიანობამაც მოიკლო და საშუალოდ მატჩში სამ ქულას არ აღემატება.

რაც შეეხება თვით „სიეტლ“ — „დენვერის“ მატჩს, აქ „სიეტლს“ უნდა მოეგო. მასპინძლებმაც პროგნოზი იოლად აქციეს რეალობად. „სიეტლი“ პირდაპირ გაცოფებულია „დენვერზე“. ამას, ცხადია, თავისი მიზეზი აქვს. 1994 წლის პლეი ოფში ბოლო, მერვე ნომრად განთესილმა „დენვერმა“ რეგულარული სეზონის გამარჯვებული „სუპერსონიკი“ პირველივე წრიდან გაავდო. არადა, იმ სერიას „სიეტლი“ 2:0 იგებდა. ლიგის არსებობის მრავალწლიან ისტორიაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. „სიეტლი“ გვარიანად შერცხვა. მას შემდეგ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, „ნაგთსზე“ ჯავრი იყაროს და ამას წარმატებით ახერხებს. ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში „სიეტლმა“ ზედიზედ 14-ჯერ გაამწარა „დენვერი“, თან ისე, რომ თავისი უპირატესობა ერთხელაც არ გაუხდია საეჭვო.

REUTERS ტორონტოდან

ტორონტო — დეტროიტი. ტერი მილზმა ტორონტოელი ვინს კარტერის თავს დააფარა

ვანკუვერი 102:100 ჰიუსტონი

ვანკუვერი: ბიბი (27 ქულა, 10 პასი), აბდურრაჰიმი (21 ქულა, 14 მოხსნა), დიკერსონი (19)

ჰიუსტონი: ფრენსისი (30), კატო (16 ქულა, 13 მოხსნა)

ფინიქსი 83:84 ლეიკერსი

ფინიქსი: ჰარდეიი (23 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), რობინსონი (20)

ლეიკერსი: ონილი (32)

კლიპერსი 93:103 იუტა

კლიპერსი: ანდერსონი (20)

იუტა: მელოუნი (34), რასელი (18 ქულა, 10 მოხსნა)

დალასი 105:102 საკრამენტო

დალასი: ფინლი (38), სტრიკლენდი (21)

საკრამენტო: ვილიამსონი (20), დივაცი (16 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

ტორონტო 88:104 დეტროიტი

ტორონტო: მაკგრეიდი (28 ქულა, 11 მოხსნა), კარტერი (24)

დეტროიტი: ჰილი (32), სტეკჰაუზი (28)

მინესოტა 86:76 ატლანტა

(ძირითადი დრო 73:73)

მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 14 მოხსნა), სმიტი (18)

ატლანტა: ჯეკსონი (13)

მილუოკი 92:73 ჩიკაგო

მილუოკი: კასელი (19 ქულა, 12 პასი), ალენი (18)

ჩიკაგო: ბრენდი (18)

ორლანდო 107:97 სან ანტონიო

ორლანდო: ამაჯი (24), არმსტრონგი (23)

სან ანტონიო: რობინსონი (30)

მაიამი 111:85 კლივლენდი

მაიამი: მაშბურნი (17)

კლივლენდი: პერსონი (14)

შარლოტი 112:105 ბოსტონი

შარლოტი: მეისონი (27 ქულა, 11 მოხსნა), კოულმენი (25 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსი (25)

ბოსტონი: ანდერსონი (23), უოლკერი (22 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), პირსი (18)

ვაშინგტონი 102:93 ნიუ ჯერსი

ვაშინგტონი: ვიტნი (18)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (24)

„სიეტლისგან “განსხვავებით, ვერ იმარჯვა „საკრამენტომ“ და ახლა სტეფანიას გუნდი მას მხოლოდ ერთი წაგებით ჩამორჩება. ამ ორი გუნდის დავა მეშვიდე ადგილისთვის თანდათან ახალ ელფერს იძენს და ყველაფერს ალბათ 18 აპრილის მათი შეხვედრა გადაწყვეტს. „სიეტლსაც“ და „საკრამენტოსაც“ თავი ქუდში აქვთ. ქვეყანაც რომ დაიქცეს, ორივეს განაღდებული აქვს პლეი ოფი, მაგრამ თავსატეხი მაინც გასჩენიათ, რადგან მერვე ადგილი ავტომატურად არგუნებთ ძლევამოსილ „ლეიკერსთან“ დაჯახებას. ეს პერსპექტივა კი არავის ახარებს. „საკრამენტოს“ „დალასში“ თავისი ლიდერი, კრის ვებერი აკლდა. თუმცა უმისოდაც არ უთამაშიათ სტუმრებს ურიგოდ და გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ. მათი გეგმები „დალასის“ ოლსტარელმა მაიკლ ფინლიმ ჩაშალა — იმ დღეს ექვსი სამქულიანი ჩააგდო (რვა ცდიდან) და სეზონში ყველაზე მეტი, 38 ქულა მიითვალა. აქედან 14 ფინლიმ გადამწყვეტ მეოთხედში გაახერხა. მათ შორის ორი მნიშვნელოვანი საჯარიმო მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე, რამაც სტუმართა იმედებს ცივი წყალი გადაასხა.

სანამ „სიეტლი“ და „საკრამენტო“ „ლეიკერსის“ თავიდან ასაცილებლად ერთმანეთს ეძიძგილავებიან, ეს უკანასკნელი თამაშს თამაშზე იგებს. „ლეიკერსმა“ ზედიზედ მეათედ გაიმარჯვა და ლიგის ისტორიაში მესამე გუნდი გახდა, ვისაც ერთი სეზონის განმავლობაში სამჯერ მოუგია ათი და მეტი თამაში მიყოლებით. მასზე არაფერი არ მოქმედებს. ფილ ჯეკსონის შეგირდებს „ფინიქსთან“ მეორე ლიდერი, კობი ბრაიანტი აკლდათ, ვინც წინა თამაშში ნიუიორკელ კრის ჩაილდსს ეჩხუბა. ამას ლიგა არავის ჰპატიობს, ჩხუბისთავებიც ვერ ასცდნენ ჯარიმას. ჩაილდსმა, როგორც წამომწყებმა, 15 ათასდოლარიანი ჯარიმა და ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ბრაიანტი შედარებით იოლად გადარჩა. იგი სადისციპლინო კომიტეტმა 5 ათასი დოლარით და ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„ფინიქსთან“ „ლეიკერსს“ ძლიერ დაკლდა ბრაიანტი, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ „სანზს“ სულაც ორი ლიდერი — ჯეისონ კიდი და ტომ გულიოტა აკლდა ტრავმების გამო. გუნდს ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამთამაშებელი კიდის არყოფნა დაეტყო. ფინიქსელთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, კევინ ჯონსონისთვის, 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებლისთვის ეხმო. არადა, ტრავმებით გაწამებულ ჯონსონს ორი წელია, კალათბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული. ჯონსონი „ლეიკერსს“ ამ სეზონში მეორედ ეთამაშებოდა და არცთუ ურიგოდ გამოუვიდა, 14 ქულას და ექვს პასს მოუყარა თავი.

თვითონ თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ბევრს ბობოქრობდა „ლეიკერსის“ ცენტრი შაკილ ონილი, რომელიც ორი დღის წინ მარტის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მაგრამ „ფინიქსის“ ფეხმარდმა თავდამსხმელებმა იმდენი ქნეს, ხუთი პერსონალური მიაღებინეს და ბოლო მეოთხედში შეუმჩნეველი გახადეს — სულ ერთი ქულა გააკეთა. მის გუნდს კი გამარჯვება გამოცდილმა რობერტ ჰორიმ მოუტანა, რომელმაც საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანები 82:80 დააწინაურა, 33 წამით ადრე კი თამაშიდანაც ივარგა და თავისი გუნდი მეტოქეს ოთხი ქულით დააცილა. მასპინძელმა კლიფ რობინსონმა 22 წამით ადრე სამქულიანი კი ჩააგდო, მაგრამ როცა თამაშის დასრულებას რამდენიმე წამი აკლდა, ანალოგიური სროლა ააცილა.

ლიგის ორი უძლიერესი ფრთის, დეტროიტელი გრანტ ჰილისა და ტორონტოელი ვინს კარტერის მძაფრი დაპირისპირების მოლოდინში „ტორონტოს“ „ეარ კანადა სენტერში“ უკლებლივ ყველა ბილეთი გაიყიდა, მაგრამ 20 ათასი კანადელი ქომაგის გულის გასახეთქად, ჰილმა დაჩაგრა ჭაბუკი კარტერი, ისევე როგორც სტუმარმა „დეტროიტმა“ მასპინძელი „ტორონტო“. იმდენად აშკარა იყო „პისტონზის“ უპირატესობა, რომ იმთავითვე ყველაფერი ნათელი გახდა, გადაჭედილი დარბაზი კი საყვარელი გუნდის ცოდვილობას მთელი ორი საათი დამუნჯებული შესცქეროდა. სტუმარი გუნდის ორმა ოლსტარელმა — გრანტ ჰილმა და ჯერი სტეკჰაუზმა ხომ პირდაპირ სისხლი გაუშრეს მასპინძლებს და ერთად მოაგროვეს 60 ქულა. „ჩვენ ძლიერი დაცვა გვყავს. მეტოქეს არ ვაძლევთ საშუალებას, სროლების 50 პროცენტზე მეტი ჩაგდოს და ჩვენზე მეტი საჯარიმო ისროლოს. ჩვეულებრივ ასე ხდება, მაგრამ დღეს ჩვენს თამაშს აგრესიულობა აკლდა და წაგების მთავარი მიზეზიც ეს გახლავთ, თუმცა არც მეტოქე იყო სუსტი“ — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელმა ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელიც იმ დღეს თავისიანთა რიგებში საუკეთესო იყო, 28 ქულაც მიითვალა, მაგრამ ვერც მან და ვერც თამაშში გვიან გამოცოცხლებულმა ვინს კარტერმა გუნდს ვერ უშველეს.

ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს „ორლანდო მეჯიქი“. ფლორიდელებმა ზედიზედ მეშვიდედ იმარჯვეს, თან ვისთან, თვით ჩემპიონ „სან ანტონიოსთან“! მართალია, „სან ანტონიო“ ის აღარაა, რაც ამ ერთი წლის წინ, მაგრამ... ნურას უკაცრავად, „ორლანდოს“ უკვე ვეღარავინ უგებს იოლად, პირიქით, მან იქით დიდო კისერზე ბევრი კარგი მეტოქის ცოდვა და ეს უვარსკვლავო გუნდი წარმატებით ადგას პლეი ოფის გზას. თუმც „სან ანტონიოს“ ძლევა მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. 16 ათასმა კაცმა ოვაცია მოუწყო მწვრთნელ დოკ რივერსს და მის ბიჭებს, რომლებიც ამას ნამდვილად იმსახურებდნენ.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი*	47	26	64,4
ნიუ იორკი*	45	28	61,6
ფილადელფია	42	31	57,5
ორლანდო	38	36	51,4
ნიუ ჯერსი	31	43	41,9
ბოსტონი	30	44	40,5
ვაშინგტონი	27	47	36,5
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა*	49	24	67,1
შარლოტი	42	31	57,5
ტორონტო	40	34	54,1
დეტროიტი	38	35	52,1
მილუოკი	36	38	48,6
კლივლენდი	29	45	39,2
ატლანტა	26	47	35,6
ჩიკაგო	15	59	20,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა*	50	23	68,5
სან ანტონიო*	47	27	63,5
მინესოტა*	45	29	60,8
დალასი	33	41	44,6
დენვერი	30	44	40,5
ჰიუსტონი	28	46	37,8
ვანკუვერი	20	53	27,4
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
ლეიკერსი*	63	12	84,0
პორტლენდი*	54	19	74,0
ფინიქსი*	48	26	64,9
საკრამენტო*	42	31	57,5
სიეტლი*	42	32	56,8
გოლდენ სტეიტი	17	57	23,0
კლიპერსი	14	60	18,9

*— *გავიდნენ პლეი ოფში*



REUTERS მინეაპოლისიდან

მინესოტა — ატლანტა. ატლანტელი ალან ჰენდერსონი დინ გარეტსა (№22) და ვალი შჩერბიაკს შორის

რობერტ შავლაყაძე

დაიბადა 1933 წლის 4 აპრილს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1955), არის 1960 წლის რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის ვერცხლის პრიზიორი (1959, 60, 62). 1962 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, აშშ-სსრკ-ის ტრადიციულ მატჩში გამარჯვებული (1962). მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო ტურნირი.

მებრძოლი

რობერტ შავლაყაძე პირველი საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელია, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. იგი საერთოდ პირველი ქართველი მძლეოსანია, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია. ამ ინტერვიუში იგი გვესაუბრება თავისი სპორტული ბიოგრაფიის ზოგიერთ ეპიზოდზე, სარბიელს მიღმა გატარებულ ცხოვრებაზე, დღევანდელ ყოფაზე...

— თქვენ ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე, ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვეთ, თუმცა ჩემპიონობის ფავორიტებად სხვები ითვლებოდნენ, რადგან მათ უკეთესი პირადი შედეგები ჰქონდათ. გაიმარჯვეთ აგრეთვე აშშ-სა და საბჭოთა მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრაში, რომელიც გიგანტთა მატჩის სახელითაა ცნობილი და იქაც ფავორიტებად სხვები ითვლებოდნენ. ოქროს მედალი მოიპოვეთ სსრ კავშირის ჩემპიონატშიც, სადაც იმ დროის მსოფლიოს რეკორდსმენს ვალერი ბრუმელს აჯობეთ. მაინც რითი აიხსნება თქვენი წარმატებები, რითი თრგუნავდით მეტოქეებს?

— რომის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრებში ვიყავით მე, ვალერი ბრუმელი და ვიქტორ ბალშოვი. ამერიკის ნაკრებში გამოდიოდა იმდროინდელი მსოფლიოს რეკორდსმენი ჯონ ტომასი, რომლის მიღწევაც 2,22 სანტიმეტრი იყო. ვალერის საუკეთესო შედეგი კი 2,13 გახლდათ.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ოლიმპიურ ჩემპიონობას ტომასი მოიპოვებდა. ჩვენ ერთმანეთს ოლიმპიურ სოფელში დავუახლოვდით და დამეგობრდით კიდეც. ერთად ყოფნისას, როცა ჟურნალისტებსა და ფოტოკორესპონდენტებს გადაეყრებოდით ხოლმე, ისინი ინტერვიუსთვის თუ სურათების გადასაღებად ტომასს გვერდზე იხმობდნენ, მე კი ყურადღებას არ მაქცევდნენ. ამან ჩემს თავმოყვარეობაზე ძალიან იმოქმედა. ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებოდა ასპარეზობა, რათა შური მეძია. შური მეძია არა ტომასზე, არამედ იმ ჟურნალისტებზე და ფოტოკორესპონდენტებზე.

შეჯიბრება დილის ათ საათზე დაიწყო. საკვალიფიკაციო ნახტომის მერე ფინალში დავრჩით მე, ბრუმელი, ტომასი და ბალშოვი, რომელთაც ერთნაირი სიმაღლე (2,14) გვქონდა დაძლეული. ფინალში დაიწყო ფსიქოლოგიური და ტაქტიკური ბრძოლა, რომელშიც მეტოქეებზე უკეთ მომზადებული აღმოვჩნდი. ტომასმა და ბრუმელმა პირველი ცდა 1,95 მეტრით დაიწყეს, მე კი 2 მეტრით. საერთოდ, რომში ყველა სიმაღლეს მე პირველივე, ტომასი და ბრუმელი კი მეორე და მესამე ცდაზე იღებდნენ. ამიტომ მეტოქეებზე ერთი ნაბიჯით წინ ვიყავი. ჩემმა ტაქტიკამ გაამართლა და გავიმარჯვე, მეორე და მესამეზე კი შესაბამისად ბრუმელი და ტომასი გავიდნენ.

ამერიკელებმა ეს მარცხი ტრაგედიად აღიქვეს, რადგან მანამდე გამართული ცამეტი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ისინი სიმაღლეში ხტომაში მხოლოდ ორჯერ დარჩნენ უჩემპიონოდ. რომში კი მათი ჰეგემონია დაამხო თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ, თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ გახლდათ, როცა მე ამერიკელებს ვძლიე. ასე იყო ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე, 1959 წელსაც. მაშინ ფილადელფიამ უმასპინძლა „გიგანტების მატჩს“ — ამერიკისა და საბჭოთა მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეხვედრას.

სხვათა შორის, იქაც, შეჯიბრების დაწყებამდე, დაბალი შედეგიანობით გამოვირჩეოდი, მაგრამ გამარჯვება მაინც მე მოვიპოვე, რაც ამერიკელებმა შემთხვევითობას მიაწერეს. ამაზე ვუპასუხე, რომ ყველაფერი გაისად, რომის ოლიმპიურ თამაშებზე გაირკვევა-მეთქი. მართლაც, ამერიკელებს დავუმტკიცე, რომ ჩემი წარმატებების საწინდარი შემთხვევითობა კი არა, დიდი შრომის შედეგი იყო.

— ტოკიოს ოლიმპიადაზე, სადაც მეხუთე ადგილი დაიკავეთ, რაღამ შეგიშალათ ხელი მედლის მოპოვებაში?

— ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ჩემი წარუმატებლად გამოსვლა აიხსნება რადიკულიტით, რომელმაც ფინალურ ასპარეზობამდე ერთი დღით ადრე შემაწუხა, ჩემპიონობა კი ბრუმელმა მოიპოვა. არადა, ტოკიოში ჩემპიონობას უკვე ყველა მე მიწინასწარმეტყველებდა. მართლაც, იქ უკეთ ვიყავი მომზადებული, ვიდრე რომში.

საინტერესოა, რომ პირადი შედეგებით ზოგჯერ მეტოქეებს ჩამოვრჩებოდი, საერთაშორისო ასპარეზობებზე კი ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი. ამიტომ „მებრძოლი“ შემარქვეს. ხშირად „ტექნარსაც“ მეძახდნენ. ამიტომაც საბჭოთა ნაკრებში ყველა საპასუხისმგებლო შეჯიბრებას უყოყმანოდ მე მანდობდნენ და ეჭვი არ ეპარებოდათ ჩემს გამარჯვებაში.

სხვათა შორის, ბრუმელი თავის წიგნში — „სიმაღლე“, აღნიშნავს, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას შავლაყაძეს ვუმადლიო. რომ არა ჩემი ავადმყოფობა, იგი ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა. იგი წერს, იქ, სადაც შავლაყაძე მონაწილეობდა, მე ვერასოდეს ვიმარჯვებდიო. მართლაც, უჩემოდ გამართულ ასპარეზობაში მას არ წაუგია. პირად საუბარში ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, შენი მეშინია და როდესაც სახტომ სექტორზე გხედავ, გამარჯვების რწმენა მეკარგებაო.

სხვათა შორის, როდესაც ბრუმელმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (2,28), იმ შეჯიბრებაში მეც ვმონაწილეობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ფეხი დამიცურდა და მარჯვენა მკლავი ამოვიგდე, რის გამოც შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შევძელი, ჩემს გარეშე დარჩენილმა ბრუმელმა კი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ამით გახარებული ბრუმელი მაშინვე ჩემთან მოვარდა, გადამეხვია, გადამკოცნა და მადლობა გადამიხადა. რომ შევიცხადე, კი მაგრამ, მადლობას რისთვის მიხდი-მეთქი, მიპასუხა, შენ რომ არ გამოკლებოდი ასპარეზობას, მაშინ მსოფლიოს რეკორდს ვერ დავამყარებდიო.

— ახალგაზრდები ალბათ ვერა, მაგრამ თქვენი თაობის ადამიანები ძველებურად გცნობენ ქუჩაში?

— შარშანწინ საბერძნეთში, ოლიმპიაში, მთელი მსოფლიოდან მიგვიწვიეს ოლიმპიური ჩემპიონები. საქართველოდან ოლიმპიაში გავემგზავრეთ ნინო სალუქვაძე, დავით ხახალეიშვილი და მე. იქ ჩვენი მონაწილეობითაც დაფუძნდა ოლიმპიურ ჩემპიონთა ასოციაცია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად არც ვეტერანები დავიწყებიათ. რა თქმა უნდა, არც საქართველოში გვივიწყებენ და ყურადღებას ვგრძნობთ.

— საქართველოში თქვენამდე იყვნენ სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზე თქვენ ხართ პირველი და სამწუხაროდ, უკანასკნელიც, ვინც ჩემპიონობა მოიპოვა. თქვენ რამ გაფიქრებინათ ამ სახეობაში ვარჯიში? საერთოდ, როგორ მოხვდით მძლეოსნობაში?

— მე დავიბადე და გავიზარდე დიდუბეში. მტკვარი ახლოს იყო და ცურვაც იქ ვისწავლე. იქვე საჯირითო ადგილიც იყო. ცხადია, ცხენის ჭენებაც ვისწავლე. ფეხბურთსაც ვთამაშობდი.

საერთოდ, ახალგაზრდობაში სპორტის ბევრ სახეობაში ვცადე ბედი, მძლეოსნობაში კი სრულიად შემთხვევით მოვხვდი. მაშინ რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის მეათე კლასში ვიყავი. სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა როინიშვილმა მითხრა, მაღალი ხარ და ქალაქის პირველობაზე მძლეოსნობაში, სიმაღლეზე ხტომაში უნდა გამოხვიდეო. შევიცხადე, პატივცემულო, მე სიმაღლეზე არასდროს გადავმხტარვარ, ამისა არაფერი გამეგება-მეთქი და უარი ვუთხარი, მან კი დირექტორთან, მიშა შიშმელაშვილთან შემიყვანა. დირექტორმა დაჟინებით მომთხოვა შეჯიბრებაში მონაწილეობა. სხვა რა გზა მქონდა, იძულებული გავხდი მათ ნებას დავყოლოდი. მოხდა ისე, რომ 1,55 მეტრი გადავლახე და პირველი ადგილი დავიკავე. ასპარეზობას თურმე ესწრებოდა სიმაღლეზე ხტომაში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გაბრიელ ათანელოვი. მოგვიანებით, სწორედ მისი მეცადინეობით ხარკოვში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, 1,90 მეტრი დავძლიე და გამარჯვებაც მოვიპოვე. ამ შედეგმა საბჭოთა ნაკრებში მოსახვედრად ხელი შემიწყო.

— სხვა სახეობაშიც ხომ არ გიცდიათ ბედი?

— კრივზეც დავდიოდი, მაგრამ ერთხელ მწვრთნელმა მეტოქედ გამომიყვანა მძიმეწონისანი თანრიგოსანი. როდესაც მან დარტყმა მაგმა, სიმწრისგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა და ქუჩის ჩხუბზე გადავედი. ამ „საქმეში“ მე ვიმარჯვე, რაც დარბაზიდან გამოგდებად დამიჯდა. თუმცა მერე მწვრთნელმა რამდენიმეჯერ შინ მომაკითხა და მთხოვდა, რომ რინგს დავბრუნებოდი, შენგან კარგი მოკრივე დადგებაო.

— ესე იგი, რომ არა მძლეოსნობა, შეიძლება მოკრივეც გამოსულიყავით?

— არა, რატომ? შეიძლება მოფარიკავეც ვყოფილიყავი ან ტანმოვარჯიშე, ფეხბურთელი. სპორტის ყველა ეს სახეობა მიყვარდა და კარგი მონაცემებიც მქონდა. ფეხბურთში ალბათ კარგი მეკარე დავდგებოდი. მაგრამ ყველაფერ ამას მძლეოსნობამ გადაწონა. ალბათ ეს იმანაც განაპირობა, რომ სიმაღლეზე მხტომელთა პირველივე შეჯიბრში გავიმარჯვე.

სხვათა შორის, ძმლეოსნობაში შუბის ტყორცნაში, თარჯრბენში, სიგრძეზე ხტომაში, ჭოკით ხტომაშიც ვარჯიშობდი, რათა საერთო ფიზიკური განვითარება მიმეღო. ამ სახეობებში შეჯიბრებებზეც გამოვსულვარ და საპრიზო ადგილებიც დამიკავებია.

— თქვენი ყველაზე ბედნიერი დღე.

— ყველაზე ბედნიერ დღედ, ვალდებული ვარ, ჩავთვალო 1960 წლის 1 სექტემბერი, როდესაც რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გავხდი. ეს ჩემი შრომის ნაყოფი გახლდათ. არადა, რამდენი ადამიანია, რომელიც ცხოვრებაში ვერაფერს აღწევს, მე კი ჩემი კვალი დავტოვე. ეს, დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ არა მარტო ამ შედეგით, არამედ ჩემი ოჯახითაც. ჩემს ოჯახში ორი ქალიშვილი, კარგი სიძეები, შვილიშვილები.

— ცხოვრებაში ყველაზე ცუდად გასახსენებელი დღე რომელიღაა?

— ჩემთვის ავადმოსაგონარი დღე ისევ და ისევ სპორტს უკავშირდება, კერძოდ ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებს. 68 წლის კაცი ვარ და იმ მარცხს დღესაც გულისტკივილით ვიხსენებ. როგორც გითხარით, მაშინ უკეთ ვიყავი მომზადებული, ვიდრე რომში, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, მაგრამ წელის ტკივილმა მაინცდამაინც ასპარეზობის წინა დღეს შემომიტია.

— თქვენ სხვადასხვა დროს მწვრთნელად მუშაობდით. დღეს რას საქმიანობთ?

— აქტიური სპორტსმენობის დროსაც კი ვმუშაობდი მწვრთნელად. სწორედ მაშინ გავზარდე თემურ მდივანი, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში 2,15 სანტიმეტრიანი ნახტომით სპორტს თავი დაანება. მერე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელადაც ვმუშაობდი. ვიყავი მძლეოსნობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორიც. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეც. როდესაც საქართველოში ვითარება აირ-დაირია, ხელფასი სამსახურში მისსვლელად გზაშიც არ მყოფნიდა. ამიტომ იძულებული გავხდი პროფესია შემეცვალა და ხელი მომეკიდა კომერციისთვის.

— სპორტულ სარბიელზე ყველაზე მნიშვნელოვანი ნახტომი უდიდეს შეჯიბრებაზე განახორციელეთ, მაგრამ რა მიგაჩნიათ ცხოვრებაში ასეთ წარმატებულ ნახტომად?

— ესეც ისევ და ისევ სპორტს უკავშირდება, რადგან ჩემი საქმიანობა ამ სფეროში განვაგრძე. ოლიმპიური ჩემპიონობა სახელმწიფომ უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დამიფასა. ეს იყო 1960 წელს, 1997 წელს კი, დამოუკიდებელმა საქართველომ დამაჯილდოვა ღირსების ორდენით. ეს ჯილდოები ცხოვრებაში განხორციელებული ნახტომის დაფასება იყო.

— ოლიმპიური ჩემპიონობა თუ დაგეხმარათ ცხოვრებაში?

— ოლიმპიური ჩემპიონობა ყველას ეხმარება. ეს გამოიხატება პოპულარობაში. როცა აფასებენ შენს ნამოღვაწარს, ცდილობენ პატივი გცენ და სითბოთი გეკიდებიან, ეს დიდი ბედნიერებაა. თუ თქვენ ფინანსურ კეთილდღეობას გულისხმობთ, აქ წელგამართული თითო-ოროლა თუა, მაგრამ ამაში ვერავის დავძრახავ, რადგან ქვეყანაში ისეთი მდგომარეობაა, რომ პიროვნებებისთვის დღეს არ სცალიათ. საამისოდ დროა საჭირო. ვიმედოვნებ, ყველაფერი გამოსწორდება და მერე ძველებურად ვიგრძნობ სითბოსა და სიყვარულს.

— რომ არა სპორტი, ვინ იქნებოდა დღეს რობერტ შავლაყაძე?

— რობერტ შავლაყაძე მაინც რობერტ შავლაყაძე და პიროვნება იქნებოდა, რადგან გენებში ჩადებული შრომისმოყვარეობა თავის სიტყვას სპორტშიც თუ არა, სხვა საქმეში მაინც თავისას იტყოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება გავმხდარიყავი კარგი ინჟინერი, არქიტექტორი, ქირურგი ან ჟურნალისტი... არავინ თქვას, რომ შრომა უკვალოდ იკარგება.

გიგა გურასაშვილი

ასე ხტებოდა რობერტ შავლაყაძე



რომის ოლიმპიურ კვარცხლბეკზე: ჯონ ტომასი, რობერტ შავლაყაძე და ვალერი ბრუმელი



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲐᲜᲑᲣᲚᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲩᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲯᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲨᲠᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲠᲘᲗ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲕᲔᲠᲓᲘᲥᲢᲘ:

66 — ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, 73 — ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲔᲚᲘ

ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ბოლო სალიცენზიო ტურნირს გასულ უქმეებზე ჰოლანდიამ უმასპინძლა, თუმც ტიტების ქვეყანაში ქართველთაგან არავის უჭიდავია. ჩვენი ნაკრების ბირთვმა ჯერ კიდევ ვარშავაში დაამთავრა ასპარეზობა, თუმცა პოლონეთის მერე გაურკვეველი მდგომარეობა მხოლოდ 81 და 90 კგ კატეგორიებში იყო. ამიტომ ამ წონების ლიდერებმა — ჯონდო მუზაშვილმა და გია გუგავამ ორი კვირის წინ რომშიც იჭიდავეს. მუზაშვილი უსახელოდ გავარდა, გუგავამ კი ბრინჯაოს მედალი და შესაბამისად, ლიცენზიაც დაისაკუთრა.

საქართველოს ნაკრებმა ათიდან ხუთ — მოსკოვის, სოფიის, ბუდაპეშტის, პრაღისა და ვარშავის სალიცენზიო ტურნირებში იასპარეზა, ოლიმპიადის საგზურები გიორგი ვაზაგაშვილმა (66), გია გუგავამ (90), იური ჯიქურაულმა (100) და მძიმეწონოსნებმა მოიპოვეს. გადაწვეტილია, რომ სიდნეიში პირველ სამ წონაში ზემოთხსენებული ძიუდოისტები იჭიდავებენ, ხოლო მძიმეში მონაწილის ვინაობა ჯერ კიდევ გასარკვევია. საქმე ის არის, რომ აქ ჩოჩიშვილი და ალექსი დავითაშვილი გამოდიოდნენ, რომლებსაც სამი საუკეთესო შედეგის ჯამი თანაბარი აღმოჩნდათ. ამ და სხვა საკითხებზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ გვესაუბრება.

— სალიცენზიო ტურნირების შედეგებით, ალბათ, უკმაყოფილო არ იქნებით, რადგან მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე მოპოვებულ ორ საგზურს, კიდევ ოთხი მიუმატეთ და ოლიმპიადაზე თითქმის სრული გუნდით წარდგებით.

— უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. გუნდმა შეასრულა ის ამოცანა, რასაც მწვრთნელები სეზონის წინ ვუსახავდით და ოთხი ლიცენზია აიღო. ამ ტურნირებზე 16 მედალი მოვიგეთ, მათ შორის 6 ოქროსი. ერთადერთი წონა, სადაც უსაგზუროდ დავრჩით, 81-ია, მაგრამ ამას ველოდი კიდეც.

— ამათ უკვე ლიცენზირებული ნესტორ ხერგიანი (60) და გიორგი რევაზიშვილიც დავუმატოთ. ოლიმპიადაზე მათგან ყველაზე მეტად ვისი გეიმედებათ?

— ჯერ ამის თქმა ნაადრევია. ამ სალიცენზიო ტურნირების შედეგებს თუ გადავხედავთ, მაგალითად, იური ჯიქურაულმა ჩინებულად იჭიდავა. მან მოუგო პოლონელ ოლიმპიურ ჩემპიონ პაველ ნასტულას, პორტუგალიელ პედრო სუარესს, ბელგიელ ერიკ ვან დერ გოუს... ორ ტურნირში გაიმარჯვა და თავი არც სხვაგან შეურცხვენია, მაგრამ ოლიმპიადა ისეთი რამეა, წინასწარ ვერაფერს იტყვი.

— მძიმე წონაში რამაზ ჩოჩიშვილსა და ალექსი დავითაშვილს თანაბარი ქულები აქვთ. ოლიმპიადაზე რომელს წაიყვანთ?

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ ორივემ კარგად იჭიდავა. რეიტინგში მათ თანაბარი ქულები კი აქვთ, მაგრამ წინ ევროპის ჩემპიონატი და შეკრებებია. ყველაფერი მერე გაირკვევა.

— ახალგაზრდებზეც ვთქვათ. გუნდში ორი დებიუტანტი იყო — ხურრან ზვიადაური (90) და ფირუზ ტყეშელაშვილი (81), რომლებმაც კარგად დაიწყეს, მაგრამ... მათი გამოჩენა ადასტურებს, რომ ნაკრებში თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი უკვე დაიწყო.

— ჩემი აზრიც იყო და დეპარტამენტმაც გვირჩია, ახალგაზრდები გამოგვეცადა, მაგრამ ამ დონეზე საჭიდაოდ ისინი ჯერ მზად არ არიან. ეს თვალნათლივ ჩანდა. მათ გარკვეული ეტაპები კიდევ უნდა გაიარონ, ბევრი იმუშაონ. განსაკუთრებით ზვიადაურმა, რომელიც ფიზიკურად მოიკოჭლებს. ამ მხრივ ტყეშელაშვილი უკეთ გამოიყურება, მაგრამ ორივეს გამოცდილება აკლია.

— 81-ში ულიცენზიოდ დავრჩით. არადა, აქ სამი ძიუდოისტი — ტყეშელაშვილი, სოსო ლიპარტელიანი და ჯონდო მუზაშვილი გამოსცადეთ. ამ წონაში კრიზისი მართლა ამყარაა.

— გეთანხმებით. ჩვენ ყველა გამოვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. ყველაზე მეტს მაინც მუზაშვილმა მიაღწია.

— ლიცენზია ვაზაგაშვილმაც მოიპოვა. გავიხსენოთ მისი ასაკი, ამასწინანდელი ჩავარდნა. გიორგის ჭიდაობამ დაგაკმაყოფილათ?

— ძალიან. ამ ტურნირებზე მან რამდენიმე ძლიერ მეტოქეს მოუგო, ვარშავაში ჩემპიონიც გახდა, თან ფინალში რუსი მაგომედ ჯაფაროვი დაამარცხა. შეხვედრების უმეტესობა გიორგიმ წმინდად მოიგო, სოფიის ფინალშიც შემხვევით დამარცხდა რუს ისლამ მაციევთან. ვაზაგაშვილი ამჟამად კარგ ფორმაშია. მთავარია, ოლიმპიადამდე როგორ მივიყვანთ.

— ჩატარებული ხუთი ტურნირიდან ნაკრები ყველაზე უკეთ ვარშავაში გამოვიდა, სადაც ვაზაგაშვილი, გუგავა და ჯიქურაული ჩემპიონები გახდნენ, დავითაშვილი კი მეორე იყო. ეს შედეგი კანონზომიერია თუ თვითონ ტურნირი იყო ადრინდელებზე სუსტი?

— გუნდი ამ ტურნირს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ. უნგრეთში კი, მასპინძლებს შეჯიბრის ჩატარების ვადები შეუცვლიათ. ეს ჩასვლის მერე გავიგეთ, ამიტომაც იყო, ერთი დღით რომ დავიგვიანეთ და მსუ[illegible]ი წონები ვერ ვაჭიდავეთ. იქამდე ორი დღე-ღამე მატარებლით ვიმგზავრეთ, რამაც ბიჭები გადაღალა. ამიტომ სუსტად გამოვედით. მერე პრაღისთვის უკეთ მოვემზადეთ და შედეგიც გავაუმჯობესეთ, ვარშავაში კი წარმატებას სრული მზადყოფნის წყალობით მივაღწიეთ. ტურნირის სისუსტე აქ არაფერ შუაშია, სხვებს სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდა.

— ბოლო სამ ტურნირში ლიცენზირებულები — ხერგიანი და რევაზიშვილიც წაიყვანეთ, რომლებიც მერე მხოლოდ პრაღაში გამოვიდნენ. მათ როგორ იჭიდავეს?

— პრაღაში ორივემ კარგად იასპარეზა. რევაზიშვილი მესამე იყო. მას პოლონეთში არ უჭიდავია, ხოლო ხერგიანმა წაგო, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია. ისინი მზადებას ახლაღა იწყებენ და ოლიმპიადისთვის ძალებს ზოგავენ. ერთი სიტყვით, ჩვენი ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი დავრჩი.

— პრაღაში რევაზიშვილი ისევ 66-ში გამოიყვანეთ. არადა, ლიცენზია 73-ში მოიპოვა და ისიც თქვა, სხვაგან არ ვიჭიდავებო. მახსოვს თქვენი კომენტარიც, რომელ წონაში გამოვა, ამას მწვრთნელები გადავწყვეტთო. რა მოხდა, ძველ წონაში დაბრუნება თავად ისურვა თუ თქვენ დაიჟინეთ?

— მას არჩევანის უფლება ჯერ კიდევ შარშანდელი მსოფლიოს პირველობის მერე მივეცი, მაგრამ ახლა შევთანხმდით, რომ 66-ში იჭიდავებდა. ეს გუნდსაც სჭირდებოდა და თან გვაინტერესებდა, წონადაკლებული როგორ გამოვიდოდა. პრაღაში რევაზიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მერე კატეგორიულად გამომიცხადა, წონის დაკლება ცუდად მოქმედებს და 73-ის გარდა არსად ვიჭიდავებო. ვთხოვდი, პოლონეთშიც 66-ში ეჭიდავა, რადგან ეს მნიშვნელოვანი იყო. ვაზაგაშვილს იქ რომ არ გაემარჯვა, შეიძლება ულიცენზიოდ დავრჩენილიყავით, რევაზიშვილს კი შეეძლო, მისთვის მეტოქეები ჩამოეცილებინა. ამიტომ იყო ეს საჭირო და დაჟინება არაფერ შუაშია, მაგრამ გიორგიმ მაინც თავისი გაიტანა. თუ არ იჭიდავებდა, იქ რად მინდოდა და თბილისში გამოვუშვი, თან ვუთხარი, სწორად არ მოიქეცი-მეთქი. ოლიმპიადამდე დიდი დროა და 73-ში მერეც გამოვცდიდით. ის თვითნებურად მოიქცა და კვლავაც ასე აგრძელებს — არც ევროპის ჩემპიონატზე, არც ტურნირებზე ჭიდაობა არ სურს, ოლიმპიადამდე ასე მისვლა კი ყოვლად გაუმართლებელია. მე ამაზე ველაპარაკე და თუ არ დამიჯერებს, მერე საკუთარ თავს დააბრალოს.

— ესე იგი, 66-ში ლიდერობისთვის დავა დასრულებულად ჩავთვალოთ?

— დიახ. დავა მართლაც დასრულდა. ევროპაზეც, ოლიმპიადაზეც 66-ში ვაზაგაშვილი იჭიდავებს, რევაზიშვილი — 73-ში.

— ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებში სხვა ცვლილებებიც ხომ არ იქნება?

— არა, ევროპაზე ყველა ლიცენზიანტი გამოვა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲔᲩᲕᲔᲛᲔ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ოლიმპიადის მასპინძელმა სიდნეიმ, ახლახან ტყვიის მსროლელ მანდილოსნებს უმასპინძლა. მსოფლიოს რჩეული დიაცი ჩუბინები, მწვანე კონტინენტზე მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მათ შორის ჩვენებური ნინო სალუქვაძეც იყო, რომელიც სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, პნევმატური იარაღიდან კი პისტოლეტთან დაკავშირებულ ტექნიკური პრობლემების გამო შეჯიბრიდან მოიხსნა.

ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲑᲐᲠᲒᲓᲐ

ᲣᲙᲕᲔ გამორიცხული ამბავია, რომ 20 მაისს მაიკ ტაისონი მილანის რინგზე შეებრძოლება იტალიური წარმომავლობის ამერიკელს ლუ სავარეზეს. თავისი წინა ბრძოლა ინგლისელ ჯულიუს ფრენსისთან ტაისონმა მანჩესტერში გამართა, გუშინ კი გამოცხადდა, რომ თავის მომდევნო შეხვედრას „რკინის მაიკი“ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ჩაატარებს.

ამის შესახებ იუწყება ფინური გაზეთი „ილტასანომატი“. როგორც ამბობენ, ბრძოლა 19 აგვისტოსთვისაა დანიშნული, ტაისონის მოწინააღმდეგე კი ჯერჯერობით უცნობია.

ᲙᲚᲘᲩᲙᲝ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝᲐ

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ორგანიზაციის (ვბო) მძიმე წონის ქამრისთვის დამარცხებული, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო საოპერაციოა. შეგახსენებთ, რომ კლიჩკოს მესამე რაუნდში ასტკივდა მხარი, მეათემდე ითმინა, მერე კი საბრძოლველად აღარ გავიდა, რის შედეგადაც ჩემპიონობა ამერიკელ კრის ბერდს დაუთმო.

ახლა კლიჩკო ჰამბურგის კლინიკაში წევს და საოპერაციოდ ემზადება. ამბობენ, რომ უკრაინელი ვარჯიშის დაწყებას ექვსი თვის მერე შეძლებს.

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐᲛ ᲐᲞᲐᲢᲘᲐ

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲝᲗᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲝᲑᲐᲠᲔᲑᲓᲐ

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲔᲠᲘᲡ ბოლო მატჩს ბრიტანეთში დიდი გამოხმაურება და პატარა სკანდალი მოჰყვა. ინგლისი შოტლანდიას სტუმრობდა და გამარჯვების შემთხვევაში დიდ სლემს დაისაკუთრებდა. სკოტებს მანამდე ყველა თამაში წაგებული ჰქონდათ და მეზობლებს დიდი თავგანწირვით ეკვეთნენ. თანაც ბუნებრივმა პირობებმაც შეუწყოთ ხელი, წვიმიანმა ამინდმა მეტოქეების ღონე ერთგვარად გაათანაბრა. ერთი სიტყვით, მატჩი მასპინძლებმა მოიგეს და სტუმრებს დიდი სლემით გახარება არ აღირსეს. წაგების მიუხედავად, ექვსი ერის პირველობის პირველი ჩემპიონი მაინც ინგლისი გახდა და შეხვედრის დამთავრების შემდეგ, პრინცესა ანას გუნდისთვის შესაბამისი თასიც უნდა გადაეცა...

თუმცა კლაივ ვუდვორდის შეგირდები მეტად უზრდელურად მოიქცნენ. ინგლისელთაგან არავინ დარჩა მატჩისშემდგომ დაჯილდოებაზე. არც ტრადიციულ ბანკეტზე მისულა ვინმე.

არადა, ინგლისის რაგბის კავშირმა შოტლანდიელთაგან დაწვრილებით შეიტყო პროტოკოლის შესახებ და თავისი დელეგაციაც სათანადოდ დამოძღვრა. თუმცა დიდი სლემის ხელიდან გასხლტომამ ინგლისელები იმდენად დაამწუხრა, თავიანთი პრინცესაც არად ჩაავდეს. დედოფალ ელისაბედის ქალიშვილმა შოტლანდიელთა კაპიტან ენდი ნიკოლს კალკუტის თასი გადასცა, ეს იყო და ეს.

ამ ამბავმა, რა თქმა უნდა შოტლანდიელთა და ინგლისის სამეფო სახლის სამთრლიანი წყრომა დიმსახურა. ჰოდა, ინგლისური რაგბის მამებს მობოდიშება და თავის მართლება მოუხდათ. მათი თქმით, მორაგბეებმა „მარიფილდის“ სტადიონი ნაადრევად იმიტომ მიატოვეს, რომ გამარჯვებულთათვის კალკუტის თასით ტკბობის საშუალება მიეცათ. ნამდვილად ვერაა გასამართლებელი პასუხი, მაგრამ პრინცესას უპატივცემულობას ხომ ვერ დაბრალებდნენ ყველაზე ვაჟკაცური სპორტის მიმდევრებს? ასე რომ, ამ ბოდიშით საქმე ჩაიფარცხა, პრინცესა ანამ განაცხადა, რომ რაგბის სიყვარულის გამო ამ მცირე გაუგებრობას აპატიებს ინგლისელ მორაგბეებს.

ᲑᲐᲒᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

ლჰოცზე 2000

ქარავანი დიდი მიზნით კხუმბუს მყინვარს უახლოვდება

როგორც ამ ათიოდე დღის წინ ვიუწყებოდით, ქართველი მთამსვლელები, რუსებთან ერთად, ნეპალს გაემგზავრნენ. მათ გაერთიანებული ძალით განუზრახავთ დღემდე გადაუჭრელი პრობლემის გადაწყვეტა — დედამიწის ერთ-ერთი რვაათასიანი პიკის, ლჰოცზეს შუათანა ანუ ცენტრალურ პიკზე ასვლა.

ექსპედიციის წევრებმა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში, ტურიზმის სამინისტროში გამართეს ბრიფინგი, სადაც ითქვა, რომ მთამსვლელებმა იყიდეს ყველა საჭირო აღჭურვილობა და პროდუქტი. ბარგის საერთო წონამ 2 ტონამდე მიაღწია. ექსპედიცია სრული შემადგენლობით 1 აპრილს კატმანდუდან თვითმფრინავით გადაფრინდა მაღალმთიან სოფელ ლუკლაში. იქედან კი შვეულმფრენით გადაფრინდნენ უფრო მაღალმთიან სოფელ ნამჩე-ბაზარში, სადაც ჩამოყალიბდა 50-კაციანი მებარგულთა ქარავანი. აქ ჩვენს მთამსვლელებს შეუერთდა ექვსი შერპი ალპინისტი, რომლებიც 3 აპრილს გაუდგნენ მწვერვალისკენ მიმავალ გზას და სავარაუდოდ 2-3 დღეში მყინვარ კხუმბუზე საბაზო ბანაკს დასცემენ.

ქართულ-რუსული ექსპედიციის მიზანი არაერთ გუნდს ამოუჭრია გულში, რაც მხოლოდ მთავარი ან ლჰოცზე შარის დაძლევის შემდეგ ტრავერსითაა შესაძლებელი, მაგრამ იქ ასულთ ეს ვეღარ უცდიათ. საამისოდ მათ ან ძალა და ენერგია აღარ ჰყოფნიდათ, ან ლჰოცეზეს მასივს თავს ქარაშოტი დაუტეხია. ასე დაემართათ რუსებსაც, რომელთა ერთი წევრი ვლადიმერ ბაშკიროვი მთავარ მწვერვალზე ასვლის მერე დაშვებისას დაიღუპა.

ახლანდელი ექსპედიციის წევრებს, როგორც „სპორტ ექსპრესი“ იტყობინებოდა, გადაუწყვეტიათ დაღუპული მეგობრის ჩამოსვენება, მაგრამ როგორც თავის დროზე გაუწყეთ, ამგვარი ინფორმაცია ჩვენმა თმამსვლელებმა უარყვეს. ქართულ-რუსული ექსპედიციის გამგზავრების მეორე დღეს, „სპორტ ექსპრესმა“ თავისი ინფორმაცია გაიმეორა და დააკონკრეტა კიდეც. კერძოდ, იგი იტყობინებოდა: „ჰიმალაის ამ რვაათასიანი მწვერვალის დაპყობასთან ერთად მთამსვლელებს განუზრახავთ მოძებნონ და ჩამოასვენონ სახელგანთქმული ალპინისტის ვლადიმერ ბაშკიროვის ცხედარი, რომელიც 1997 წელს მთავარ მწვერვალზე, 8 200 მეტრის სიმაღლეზე დაიღუპა.

გუნდი უერთდულებს ასეთ მთებში მიღებულ ტაქტიკას: 8 000 მეტრის ზემოთ ჟანგბადის ბალონების გამოყენებას და 4 საშუალედო ბანაკში შერპთა დახმარებით ბარგის ატანას. ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე მთამსვლელები გადამწყვეტ იერიშს მიიტანენ მეოთხე ბანაკიდან (7 900 მ), როცა ბაშკიროვის გვამს იპოვიან და ჩამოასვენებენ, მთამსვლელები მწვანე ზოლზე, სოფელ ტიანგბოჩეში, ბუდისტური მონასტრის რაიონში დაისვენებენ. მაისში დაიწყება ექსპედიციის მეორე ეტაპი. მთამსვლელები ავლენ ზედა ბანაკში და ცენტრალურ ლჰოცზესკენ მიმავალ მარშრუტს გაამზადებენ, იქ ასვლას კი არაუგვიანეს 15 მაისისთვის აპირებენ“.

ჯომოლუნგმა (მარცხნივ) ლჰოცზეს მასივი

სინამდვილეში რას აპირებენ რუსები, ეს, ალბათ, ისევ მათ უწყიან. ყოველ შემთხვევაში, რუს თანაგუნდელ ქართველ თმამსვლელებს ბაშკიროვის ჩამოსვენების თაობაზე არაფერი სმენიათ. ჩვენს თმამსვლელებს რუსთა ამგვარი განცხადება ექსპედიციის სარეკლამო „ტრიუკად“ მიაჩნიათ.

ახლა ჩვენებს, ალბათ, ყველაფერი გარკვეული აქვთ, მაგრამ ამის შესახებ ჯერჯერობით არ უცნობებიათ.

ასეა თუ ისე, მათი ვარაუდი რეკლამის თაობაზე ჩვენც მართალი გვეჩვენება, რადგან 8 200 მეტრის სიმაღლიდან ცხედრის ჩამოსვენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყვიტო (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), თუ მიზად სხვას აღარფერს დისახავ, მით უმეტეს დღემდე გადაუჭრელ პრობლემას.

ახლა ვნახოთ, ვინ არიან ეს მთამსვლელები, რომლებსაც დიდი მიზანი — მთავარი ლჰოცზედან ცენტრალურ პიკზე ასვლა განუზრახავთ. რუსებით დავიწყოთ, რაკილა ამ მიზნის მიღწევა აქამდე ორჯერ უცდიათ. ამჟამინდელ ექსპედიციაში ასეთი ოთხია: ალექსანდრ ფოიგტი, გლებ სოკოლოვი, ევგენი ვინოგრადსკი და ვალერი პერშინი. ამათგან პირველმა ორმა ორჯერ სცადა ბედი, ჯერ მთავარი მწვერვალის (1997 წელს), მერე ლჰოცზე შარის (1998) გავლით, მაგრამ ამ პიკებზე ასვლის მერე უამინდობის გამო პირი იბრუნეს. მათთან ერთად პირველ ცდისას იყო პერმინიც, ხოლო მეორეზე — ვინოგრადსკი.

ევგენი ვინოგრადსკი ამ ქართულ-რუსული ექსპედიციის უხუცესი და ყველაზე „გამოცდილი მთამსვლელია. იგი 53 წლისაა. არის სსრ კავშირის შვიდგზის და რუსეთის ასევე მრავალგზის ჩემპიონი. 1989 წელს საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად განახორციელა კანჩენჯანდას მასივის ოთხი რვაათასიანი პიკის მანამდე გაუგონარი ტრავერსი. ორჯერ (1991, 1996 წ.წ.) ავიდა დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩო ოიუზე (იგივე K — 2), სამჯერ (1992, 1995, 1998) დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (იგივე ევერესტი, საგარმატხა), გადმოიხედა (1996) ტანმორჩილ რვაათასიან შიშა პანგმადანაც. ეს კაცი გახლავთ ექსპედიციის ექიმიც.

ვალერი პერშინი არის სსრ კავშირისა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. მას ორჯერ (1991, 1996) დაულაშქრავს ჩო ოიუ, დაულაშქრავს გირი (1993 წ), შიშა პანგმა (1996 წ) და ჯომოლუნგმა (1998 წ).

გლებ სოკოლოვი სსრ კავშირისა და რუსეთის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია. ლჰოცზეს ორი თავის გარდა ასულა მაკალუზეც (1996 წ).

ალექსანდრ ფოიგტი გუნდის კაპიტანი გახლავთ. იგი არის რუსეთის ჩემპიონი. მთავარი ლჰოცზესა და ლჰოცზე შარის გარდა დაულაშქრავს მაკალუ (1996 წ).

ექსპედიციას მწვრთნელად ახლავს სპორტის ოსტატი, ტაჯიკეთის დამსახურებული მწვრთნელი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი იური ბაიკოვსკი, ვინც ექსპედიციას ფსიქოლოგად უფრო გამოადგება და, ალბათ, არც „რიგით“ მთამსვლელობაზე იტყვის უარს, რითაც გუნდს მიზნის მიღწევაში მეტად დაეხმარება.

რუსთა დამსახურებათა ნუსხაში მხოლოდ რვაათასიანებზე ასვლები ვახსენეთ, მაგრამ მათ შვიდიათასიანებზეც არაერთი მნიშვნელოვანი ლაშქრობა განუხორციელებიათ.

რაც შეეხებათ ქართველებს, მათ შესახებ არაერთი ვრცელი მასალა გამოვიქვეყნებია და, როგორც იტყვიან, იმათი ყოველი ფეხის ნაბიჯი ცნობილია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ: გუნდში რვაათასიანებზე ასვლებით ყველაზე მეტად გამორჩეული არიან 44 წლის აფი გიგანი და 40 წლის ბიძინა გუჯაბიძე, რომლებიც 1995 წელს ავიდნენ დჰაულაგირზე, ხოლო შარმან ჯომოლუნგმაზე; ექსპედიციის მეთაური, 36 წლის ბენედიქტ (ბენო) ქაშაკაშვილი ასულა ჯომოლუნგმაზე (1999 წ), ხოლო გელა ოთარაშვილი დჰაულაგირზე (1995 წ). ამას გარდა მათ მონაწილეობა მიუღიათ სხვა რვაათასიან მწვერვალებზე მოწყობილ ექსპედიციებში. დალაშქრული აქვთ მრავალი შვიდიათასიანი პიკი, თავი გამოუჩენიათ ტექნიკურ ასვლებშიც ყოველი ამისთვის მათ ესენგეს ჩემპიონატში ოქროსა და ვერცხლის მედლები მოუპოვებიათ, რვაათასიანებზე მათი ასვლების სიმცირე კი აიხსნება ქართველთა ფინანსური ხელმოკლეობით და არა სხვა რამ მიზეზით.

ავთანდილ გურასაშვილი

4 აპრილი

ოტავა — ვაშინგტონი 4:0

0:0 2:0 2:0

1:0 სჩასტლივი 29'17 (1); 2:0 ალფრედსონი 39'19 (19); 3:0 ალფრედსონი 40'39 (20); 4:0 ჟიუნო 43'17 (13)

თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაირკვა, რომ ოტაველთა ძირითადი მეკარე ტომ ბარასო თითის ტრავმის გამო ვერ ითამაშებდა. მისი ადგილი პატრიკ ლალიმმა დაიკავა. ოტაველებმა ძალ-ღონე არ დაზოგეს, რათა ლალიმი ნაკლებად დატვირთულიყო (19 დარტყმა მოიგერია). მათ მთელი მატჩი მეტოქის ზონაში ჩაატარეს და დამსახურებულადაც მოიგეს.

ატლანტა — ფილადელფია 3:5

1:2 1:2 1:1

0:1 ზელეპუკინი 1'50 (11); 0:2 პრიმო 11'26 (7); 1:2 ვიშედკევიჩი 15'22 (1); 1:3 ბერუბი 27'42 (3); 2:3 კარლსონი 29'15 (4); 2:4 დელ მორი 33'43 (2); 3:4 სილვესტრი 51'27 (16); 3:5 განი 58'25 (20)

„მფრინავები“ კიდევ უფრო მიუახლოვდნენ აღმოსავლეთის ლიდერ ნიუ ჯერსის და, თუ დღეს ატლანტას თავიანთ მოედანზე მოუგეს, კიდეც გაუტოლდებიან მათ ქულათა რაოდენობით. „მფრინავმა“ სიმონ განიმ სეზონის ახალბედათა შორის მეორემ მიაღწია 20-გოლიან ზღვარს.

ტამპა — ბოსტონი 5:4

2:3 1:0 2:1

1:0 მოდინი 1'03 (22); 2:0 ლეკავალიე 1'46 (24); 2:1 ბანი 9'21 (7); 2:2 ნიკულასი 10'51 (4); 2:3 როლსტონი 15'44 (16); 3:3 ლეკავალიე 24'38 (25); 4:3 მ. ჯონსონი 47'39 (20); 4:4 ჰაინეი 47'58 (12); 5:4 დრული 59'00 (10)

სეზონის ბოლო საშინაო მატჩში, ტამპას 19 წლის კაპიტანმა ვენსან ლეკავალიემ (2+1), რომელსაც ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ ვარსკვლავად ჩამოყალიბდეს, ჩინებულად ითამაშა და ქომაგებს მომავლის იმედი ჩაუსახა.

სამველ ღარიბიანი

ვაშინგტონელ კენ კლის ოტაველი მარიან ჰოსა წელში შეევარდნია

კვირის მოთამაშე

არტურს ირბე (კაროლინა)



ალმოსავლეთში მერვე, საპლეიოფო საგზურის მოსაპოვებლად მებრძოლ სამ გუნდს შორის, თითქოს კაროლინას ყველაზე მცირე შანსი ჰქონდა. ბუფალოსა და მონრეალისგან განსხვავებით, იგი ხომ მუდამ მდევრის როლში იყო. მისი მეტოქეები სულ უფრო და უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. თუმც გადამწყვეტ მომენტში კაროლინა ერთ მუშტად შეიკრა და გასულ კვირას ჩატარებულ ოთხ მატჩში სამი მოგების შემდეგ, მოულოდნელად მეტოქეებზე წინ აღმოჩნდა.

განსაკუთრებული ქება მეკარე არტურს ირბემ დაიმსახურა, რომელმაც 3 მოგებულ თამაშში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა. თანაც უქმეებზე ჯერ კონკურენტი ბუფალო გააწბილა (3:1), შემდეგ კი ფილადელფიას გოლი არ გაატანინა (1:0). ირბე კარიერაში მეოთხედ გახდა კვირის საუკეთესო მოთამაშე. თუმც ლატვიელისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ხანგრძლივი რთული პერიოდი უკან დარჩა, მას კვლავ ენდობიან — წლეულს არტურმა კაროლინას კარში მუდმივი ადგილი მიიღო. თავად განსაჯეთ, კაროლინამ 80 მატჩი ჩაატარა, აქედან ირბემ 73 (!) შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

საუკეთესო ექვსეული. 27 მარტი — 2 აპრილი

არტურს ირბე (კაროლინა, 1); *იურკი ლუმე* (ფინიქსი, 1) — *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 5); *ტრევის გრინი* (ფინიქსი, 2) — *სკოტ გომესი* (ნიუ ჯერსი, 1) — *რობერტ ლანგი* (პიტსბურგი, 1)

სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

ნიუ ჯერსი	80	44	8	5	28	249:197	101
ვაშინგტონი	80	43	11	2	26	222:191	99
ტორონტო	79	43	7	3	29	238:215	96
ფილადელფია	79	42	12	3	25	227:177	99
ფლორიდა	79	42	6	5	31	235:201	95
ოტავა	79	39	11	2	29	235:205	91
პიტსბურგი	79	35	8	6	36	234:230	84
ბუფალო	79	34	10	3	35	206:201	81
კაროლინა	80	35	10	0	35	211:212	80
მონრეალი	79	33	9	4	37	187:190	79
რეინჯერსი	80	29	12	3	39	217:239	73
ბოსტონი	79	23	19	6	37	204:238	71
აილენდერსი	79	22	9	1	48	188:270	54
ტამპა	79	19	9	7	51	199:296	54
ატლანტა	79	14	7	4	58	165:304	39

დასავლეთ კონფერენცია

სენტ ლუისი	79	50	11	0	18	238:153	111
დალასი	79	43	9	6	27	205:174	101
კოლორადო	79	39	11	1	29	224:196	90
დეტროიტი	80	48	10	2	22	274:203	108
ლოს ანჯელესი	79	37	11	4	31	237:222	89
ფინიქსი	79	38	7	4	34	226:221	87
ედმონტონი	79	30	16	8	33	213:202	84
სან ხოსე	79	33	10	7	36	215:206	83
ანაჰაიმი	79	33	12	2	34	207:217	80
ვანკუვერი	79	29	14	8	36	217:229	80
კალგარი	79	31	10	5	38	202:241	77
ჩიკაგო	79	30	10	2	39	230:239	72
ნეშვილი	80	28	7	7	45	196:232	70

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ბაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ბარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

დაბრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

ნონა გაფრინდაშვილი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

ხმები რომ დაითვალა, ნონა გაფრინდაშვილმა თამაზ გიორგაძეს ორი ხმით აჯობა

ქართულ ჭადრაკს მეფე-დედოფალი ჰყავს

გუშინ, 12 საათსა და 20 წუთზე ჭადრაკის სასახლის სააქტო დარბაზის ორი მესამედი გაივსო. ხალხის განლაგება ტრადიციული იყო, შუაში 150-ზე მეტი დელეგატი, კარის მხარეს სტუმრები და აქეთ კიდევ მასმედიელები. თავშეყრის მიზეზი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც, აქედანვე გეტყვით, ორიგინალური სცენარით წარიმართა. ყრილობის შედეგიც საყურადღებო იყო, რასაც „სარბიელის" მოწინავეში გამოტანილი ცნობა დაგიდასტურებთ, აქ კი შეძლებისდაგვარად მომხდარის საფუძვლიანი ქრონიკა უნდა წარმოვადგინოთ.

ᲥᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ დასაწყისმა გაფანტა ის ეჭვი, რომელსაც ორიოდე თვის წინ ფედერაციის გამგეობის სხდომებზე ჩაეყარა საფუძველი და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, ზურაბ აზმაიფარაშვილისთვის სხდომის გაძღოლის უფლების ჩამორთმევას გულისხმობდა. მოქმედი პრეზიდენტი პრეზიდიუმის ცენტრში იჯდა და მისი იმპიჩმენტის საკითხის წამოწევამდე უძღვებოდა საქმეს. მისგან ხელმარცხნივ შენიშნავდით სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, კახი ასათიანს, მის მოადგილეს, მურთაზ მნათობიშვილს და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ემზარ ზენაიშვილს. ხელმარჯვნივ იყვნენ ვიცე-პრეზიდენტები, დავით გურგენიძე, კახა ჩიგოგიძე და ფედერაციის ექს-პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე, ერთადერთი ჩამოთვლილთაგან, ვინც აღმასკომის წინა სხდომაზე არ გვინახავს. თითქმის დასაწყისში პრეზიდიუმსვე შემატება დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, რომელსაც ამის გაკეთება აზმაიფარაშვილმა სთხოვა. პრეზიდენტმა შესავალი სიტყვა წარმოთქვა, ჯერ ფიდე-ს პრეზიდენტს, კარსან ილუმჟინოვს მიულოცა დაბადების დღე, შემდეგ თენგიზ გიორგაძეს 75 წლის იუბილე. თენგიზ გიორგაძე ფედერაციის გამგეობის საპატიო წევრად გაუჯანჯლებლად აირჩიეს და აზმაიფარაშვილმა ტრიბუნასთან გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც საანგარიშო სიტყვისთვის 40-წუთიანი რეგლამენტი მიიღო.

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ერთსაათიან გამოსვლაში არაფერი იყო ისეთი, რაც ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს" 2000 წლის პირველ ნომერში არ ეწერა. იგი ყრილობის დამსწრეებს მოსაწვევებთან ერთად ფოიეში დაგვიგზავნეს. ჟურნალის შინაგანი ფორმა ერთი შეხედვითაც არატრადიციული ჩანდა, სუფთა ჭადრაკთან მას მხოლოდ ქართველ მოჭადრაკეთა ნათამაშევი რამდენიმე პარტიის განხილვა და 2000 წლის რეიტინგ-ლისტები აკავშირებდა, თორემ სხვა მხრივ ეს იყო პროპრეზიდენტული პუბლიკაციების კრებული, რომელშიც აზმაიფარაშვილი და მისი ანონიმი მომხრეები, — ყველ შემთხვევაში ჟურნალში სხვა გვარი არ გვინახავს, — საკმაოდ არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ პრეზიდენტის ქმედებათა და პოზიციათა სისწორეს. ჟურნალის ირგვლივ ერთხანს გვარიანი კრიტიკა ისმოდა. სად არის ჟურნალში მითითებული მთავარი რედაქტორი და რედკოლეგიაო, კითხულობდა ოპოზიცია, აზმაიფარაშვილის პირადი საკუთრება ხომ არ არის, ოფიციალური გამოცემაა და ასე მოქცევის უფლება ვინ მისცაო. მთავარმა რედაქტორმა, თენგიზ გიორგაძემ აღნიშნა, რომ ნომრის გამოცემის ამბავი მასთან არავის შეუთანხმებია და პრეზიდენტს ქცევა დაუწუნა. იგივე გააკეთეს ზოგიერთებმაც და ბოლოს აზმაიფარაშვილმაც დაადასტურა, რომ ჟურნალი ნაჩქარევად და არცთუ კორექტულ კონტექსტში იყო გამოცემული. თენგიზ გიორგაძის სიტყვის ერთი ნაწილი პოზიცია-ოპოზიციის მორიგების პრობლემას შეეხო და სახელოვანმა მსჯჯმა და სპეციალისტმა პესიმისტურად შენიშნა, არცერთი არაფრის დამომობი არ ჩანს და მე როგორ უნდა ვიშუამდგომლო, ვერ გამიგიაო.

შემდეგ ყრილობამ მოიწყინა. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დარბაზში უსაქმურობამ დაისადგურა. მშვენიერი რეპუტაციის რამდენიმე პიროვნება ავიდა ტრიბუნაზე და ქართულად, რუსულადაც მხარეებს კონსენსუსისკენ და შეკავშირებისკენ მოუწოდა. ერთი იყო ოღონდ, არ ჩანდა მათი სიტყვები მაინცდამაინც ამინდის შემცვლელი, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი ისიც იყო, რომ პრეზიდენტი ყრილობაზე არც ისე მარტოსული ჩანდა, როგორც, ვთქვათ, აღმასკომის სხდომაზე, სადაც, ფაქტობრივად მარტო და ყოჩაღად იგერიებდა ოპოზიციის იერიშებს.

შესვენებაზე ხალხი არცთუ ურიგო განწყობით გავიდა, ამას ჭადრაკის სასახლის მეორე სართულზე სტუმართათვის განკუთვნილმა ბუტერბროდებმაც ერთობ შეუწყვეს ხელი. სჯა-ბაასი 15 წუთში უნდა განახლებულიყო. მაგრამ პაუზა ორჯერ მეტხანს გაგრძელდა და სხდომის მომდევნო ნაწილმა სტარტი აიღო თუ არა, აზმაიფარაშვილის განცხადებამ მოვლენთა განვითარების კულმინაციას ჩაუყარა საფუძველი. ნაცვლად იმპიჩმენტის საკითხის განხილვისა, რომელიც დღის წესრიგში მორიგი იყო, პრეზიდენტმა შემდეგი ფორმულა შემოიტანა: ის დარჩება პრეზიდენტად, ხოლო კანდიდატები თანაპრეზიდენტობისთვის გასწევენ კონკურენციას. მომდევნო ორი წლის მანძილზე თავად საგარეო საქმეებს გაუწევს კურირებას, ხოლო თანაპრეზიდენტი დანარჩენ საქმეებს მიხედავს. აზმაიფარაშვილმა ნათქვამის მოტივად არა თავისი პოზიციების შერყევა, არამედ ოპოზიციასთან შერიგების სურვილი დაასახელა...

მაშ, ორხელისუფლებიანობა! ვერ გეტყვით, როდის იშვა ეს აზრი. იქნებ აღრეც ფიგურირებდა. საეჭვოა, ეს აზრი აზმაიფარაშვილს ექსპრომტად მოეფიქრებინა, როგორც თავად განაცხადა. ერთი კი ფაქტია: პრეზიდენტის ტაქტიკურმა უკანდახევამ ოპოზიციის მყარი რიგები დია[illegible]ც შეაქანა. მათ კონსულტაციებისთვის მცირედი დრო (15 წუთი) ითხოვეს და ამჯერად სააქტო დარბაზი ბარე ორი საათით დაცარიელდა. სხდომის განახლებისას თამაზ გიორგაძე აზმაიფარაშვილის აზრზე მდგარი ვიხილეთ, ხოლო ნონა გაფრინდაშვილმა და ნინო გურიელმა იმპიჩმენტის საკითხის მოხსნა არ მოითხოვეს, ყრილობა დღის წესრიგით გაგრძელდესო. ახლა იმაზე გაიმართა კამათი, თანაპრეზიდენტისა და პრეზიდენტის დამოკიდებულება როგორი იქნებოდა, ხომ არ იარსებებდა რაიმე დაქვემდებარების მაგვარი და საერთოდ, ვინ ვინ უნდა ყოფილიყო. თამაზ გიორგაძემ წინადადება წამოაყენა, ერთი თანაპრეზიდენტი აზმაიფარაშვილი იყოს, მეორე ჩემსა და ქალბატონ ნონას შორის ავირჩიოთ და თუ ეს მე ვიქნები, თანაპრეზიდენტი დამერქვას და თუ გაფრინდაშვილი, მას პრეზიდენტიო. აზმაიფარაშვილმაც ნათქვამი მოიწონა. მაშინ იყო, გაფრინდაშვილი ტრიბუნაზე რომ ავიდა და გიორგაძეს კორექტულობა დაუწუნა, თვითონ კარგი კაცი გამოდის და მე ცუდი და ამბიციურიო. ჩემპიონი მოითხოვდა ყრილობის დღის წესრიგით გაგრძელებას და ბოლოს ყველა დაიყბულა, თუმცა ის იყო, ერთსაათიანი ხელახალი რეგისტრაცია გასრულდა, გარეთ ჩამობნელდა და აზმაიფარაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაწყებულიყო, რომ ნინო გურიელი გაფრინდაშვილის სახელით გამოვიდა და განაცხადა, ქალბატონი ნონა ემხრობა პრეზიდენტის იდეას არა იმიტომ, რომ მოსწონს, არამედ კონსენსუსი უნდაო. დარბაზში ტაშმა იგრიალა...

...როცა გაჭიანურებული ფარული კენჭისყრა დამთავრდა, პრეზიდიუმის მაგიდაზე დამზობილი საარჩევნო ყუთის გამოკვლევამ დაადგინა, რომ თანაპრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი გახდა, 76 ხმით გიორგაძის 74-ის წინააღმდეგ.

ყრილობის ეპილოგმა სრული გაგებით ჩაიარა. ოპტიმისტური გამონათქვამები, ერთად მდგარი გაფრინდაშვილი და აზმაიფარაშვილი, მას მედიის აქტიურობა, ზოგიერთთა ენერგიული მცდელობა, რათა წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანაზეც ეყარათ კენჭი, შეახსნილები დარბაზიდან, ყველანი მხარს ვუჭერთო და მხიარული რიარია... თქვენმა მონამორჩილმა მხოლოდ ღამის თერთმეტის ნახევარზე უწია რედაქციას და ამ წერილს იმ იმედით ასრულებს, რომ გუშინდელი დაახლოება არა მხოლოდ გარეგნული იყო.

დავით გულუა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

სიტუაცია ხშირად გამოუვალი ჩანდა, მაგრამ...

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია დაბადების 65 წლისთავსა და ღირსების ორდენით დაჯილდოებას ულოცავს ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, ძველ ლელოელს, ბატონ ოთარ ნოხაძეს

გააბოლე, სინიშ!

REUTERS ლოს ანჯელესიდან

პამელა სტეიპლზში

ყოველთვის ასეა ხოლმე ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთრში“. როცა „ლეიკერსი“ თამაშობს, ვიღაც გამოჩენილი მაინც მიჰყავ კალათბურთის საცქერლად. ამჯერად მსახიობი პამელა ანდერსონის რიგია. უყურეთ მას. ის კი კალათბურთს უყურებს.



მს კაცი საკალათბურთო „ფრანკფურტ სქაილაინერზის“ მოთამაშე სინიშა კელეჩევიჩია. მისმა გუნდმა ამ წამს 76:68 დაამარცხა „ალბა ბერლინი“ და გერმანიის თასი მოიპოვა. აქვს უფლება კელეჩევიჩს, მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, ოდნავ მოდუნდეს და სიგარაც გააბოლოს? რა თქმა უნდა, აქვს. გააბოლე, სინიშა!



REUTERS ოტავიდან

მიალურსმა

ცხელი ყინული ოტავაში. დახეთ, როგორ მიულურსმავს ტიხარზე იქაურ ვეიდ რედენს ვაშინგტონელი ულფ დალინი... აქვე უნდა ითქვას, რომ დალინი [redacted] დაშვებულა, რედენი კი არ დაუჯარიმებიათ. ასეთია ჰოკეი.

REUTERS ამანიდან

პოლიტიკური თავური

ბრიტანეთის საგარეო საკითხთა სახელმწიფო მინისტრი პიტერ ჰეინი იორდანიაში იმყოფება და როგორც ნაღდი ინგლისელი, ბურთთან ურთიერთობასაც არ უარობს. თუმცა, მის თავურებს უფრო სხვა დატვირთვა აქვს: იორდანიაში ჰეინი სწვევია ბაკას ლტოლვილთა სექტორს, რომელიც ჯერ კიდევ არაბ-ებრაელთა პირველი ომის დროიდან არსებობს და რომელშიაც იმ პალესტინელთა შთამომავლები ცხოვრობენ, ჯერ კიდევ 1967 წელს რომ დატოვეს საცხოვრისი.

ლენოქსი ემზადება

ოცდათხუთ დღეში ლენოქს ლუისი „შედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე გავა და პირველად დაიცავს თავის საჩემპიონო ტიტულებს. დონ კინგის გამოისობით ჯერჯერობით ბუნდოვანია, სამივე ქამარს შეეცილება ამერიკელი მაიკლ გრანტი ლენოქსს თუ მხოლოდ ორს, თუმცა, პენსილვანიაში მყოფი ლუისი რომ მონდომებით ვარჯიშობს, ამ სურათზეც ჩანს.



REUTERS სკოტლანდიიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, შამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძეველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli